بسم الله الرحمن الرحيم

# ნამაზი

ხასან იაგაში

პირველი გამოცემა
2001
ჯ.ა

Baskı,cilt: Erkam Matbaası
0212 671 07 07

# წინასიტყვაობა

ადამიანისათვის სამი სახის სიცოცხლე არსებობს. საააქაოსი, სასაფლაოსი და საიქიოსი. ამქვეყნად ადამიანის სული სხეულთან ერთადაა. ადამიანს სიცოცხლესა და ხალისს სული ანიჭებს, როდესაც სული სხეულს განშორდება, ადამიანი კვდება. სხეული რომც მიწაში დალპეს ან ცეცხლში ფერფლად იქცეს, სული არასოდეს განადგურდება. სიკვდილის შემდეგ იწყება სასაფლაოს ცხოვრება, სადაც შეგრძნება არის, მოძრაობა კი არა. წარღვნის დღის შემდეგაც კი სული და სხეული სამოთხეში ან ჯოჯოხეთში სამარადისოდ იარსებებენ.

სააქაოში და საიქიოში ადამიანის ბედნიერებისათვის საჭიროა მუსლიმანობა. ამქვეყნიური ბედნიერება კარგ ცხოვრებას ნიშნავს, იმქვეყნიური კი-სამოთხეში მოხვედრას. ალლაჰმა შეიცოდა ადამიანები და **ფეიღამბერების**[1] შუამავლობით მათ ბედნიერების გზა აცნობა, რადგანაც ადამიანები ამ გზას დამოუკიდებლად ვერ მიაგნებდნენ. არც ერთი ფეიღამბერი თავის ფიქრს არ გადმოგვცემს, მხოლოდ ალლაჰის ბრძანებებს გადმოგვცემენ. ამ ბედნიერების გზას რწმენა (იმანი) ჰქვია, მუხამმედ ფეიღამბრის რწმენას კი-ისლამი. ადამის მოდგმიდან მოუოლებული ბოლო ფეიღამბერი მუხამმედია. სხვა რწმენები დროში შეიცვალა და ახლა ბედნიერების გზა ისლამზე გადის. ისლამი გულით რწმენას, გამჩენი ალლაჰის ბრძანებების შესრულებასა და აკრძალვებისაგან თავის მორიდებას გვასწავლის. საუკეთესო ცოდნის წყარო **„ეჰლ-ი სუნნეთის“**[2] ბრძენთა დაწერ-

---

1. **ფეიღამბერი:** მოციქული, ელჩი.
2. **ეჰლ-ი სუნნეთი:** სუნნეთის შემსრულებელი, მუსლიმანი. სუნნეთი არის მუხამმედ ფეიღამბრის სიტყვები და ქცევები.

ილი წიგნებია და არა ყურმოკრული წიგნები.

რწმენის მიღების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი **ღიბაადეთი**[1] ნამაზია. დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა ყველა მუსლიმანისათვის აუცილებელი პირობაა, **ფარძია**[2]. ულოცველობა დიდი ცოდვაა. ნამაზი რომ სწორად ვილოცოთ, ამისათვის საჭიროა ნამაზის შესახებ საკითხები კარგად შევისწავლოთ. ამ წიგნის გამოცემის მიზანია გამჩენი ალლაჰის ნაბრძანები ნამაზის ლოცვის წესები მოკლედ და კონკრეტულად შევასწავლოთ.

*ალლაჰი იყოს თქვენი მფარველი*

## ნამაზი მნიშვნელოვანი ბრძანებაა

ადემ ფეიღამბრიდან მოყოლებული ყველა რელიგიას თავისი ნამაზი აქვს. ნამაზის ლოცვა ბოლო ფეიღამბრის-მუხამმედის მიმდევრებისთვისაც აუცილებელია, ფარძია. ნამაზის ლოცვა რწმენის აუცილებელი პირობათაგანი არ არის, მაგრამ, ნამაზის ლოცვა რომ ალლაჰის ბრძანება და ფარძია, ამის გულით დაჯერება რწმენის აუცილებელი პირობაა. ე. ი. ვისაც ნამაზის არ სწამს, მუსლიმანი არაა. ნამაზი რჯულის (დინის) საფუძველია, დასაყრდენია. ღირსეულია ვინც სწორად, გულით და მუდმივად ლოცულობს ნამაზს. ვინც ასე არ იქცევა რელიგიის დამრღვევია. წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: **„ნამაზი ისლამის რჯულის სათავეაო“** ისევე, როგორც არ არსებობს უთავო ადამიანი, ასევე არ არსებობს უნამაზო რჯულიც.

ნამაზი უპირველესი ვალდებულებაა. დიდმა ალლაჰმა იგი დააწესა, რათა ადამიანებს მხოლოდ

1. **ღიბაადეთი:** ღვთისმსახურება.
2. **ფარძი:** ღმერთის ნაბრძანები, რომლის შესრულება აუცილებელია.

მისთვის ელოცათ. ყურანის ასზე მეტი აეთი[1] ნამაზის ლოცვას გვიბრძანებს. ხადისში[2] ვკითხულობთ: „ალლაჰმა ყოველდღიურად ხუთჯერ ნამაზის ლოცვა გვიბრძანა და ჰპირდება სამოთხეში მოახვედროს ის, ვინც ნამაზს სწორად და სისტემატიურად ლოცულობს.“

რელიგიურ ბრძანებებს შორის ნამაზი ყველაზე ღირებულია. მუხამმედ ფეიღამბერი ბრძანებს: „ვინც ნამაზს არ ლოცულობს ისლამისა არა სცხია.“ სხვა ხადისშიც ასეა ნაბრძანები: **„მორწმუნეს ურწმუნოსაგან ნამაზი განასხვავებს.“** ე.ი. მორწმუნე ნამაზს ლოცულობს, ურწმუნო კი არა. მუნააფიყები (ორპირები) კი-ხან ლოცულობენ, ხან არა. მუნააფიყებს ჯოჯოხეთში დიდი ტანჯვა მოელით. წმინდა ფეიღამბერი ბრძანებს: „ვინც ნამაზს არ ლოცულობს, ჯოჯოხეთში ალლაჰის რისხვას ვერ გადაურჩება.“

ნამაზის ლოცვა ნიშნავს გაიაზროთ ალლაჰის სიდიადე და თქვენი უმწეობა. ამის მიმხვედრი ბოროტებას არ ჩაიდენს, მხოლოდ სიკეთეს დასთესს. რადგან იცის, რომ დღეში ხუთჯერ ალლაჰის წინაშე წარსდგება და სული ნათელით ევსება. ნამაზის ლოცვისას ყველა მოძრაობა სულისა და სხეულისთვის სასარგებლოა.

მეჩეთებში ჯგუფურად ნამაზის ლოცვა მუსლიმანებს ერთმანეთთან აახლოებს, ურთიერთ სიყვარულს ჰბადებს, ძმობის გრძნობას აღვივებს. უმცროსი უფროსს პატივისცემით, უფროსი კი მოწყალებით ექცევა. მდიდრები ღარიბებს ეხმარებიან. ვისაც მეჩეთში ვერ ნახავენ, სახლში მიაკითხავენ, რადგან „რწმენის მოძმეს ვინც მიეხ-

1. **აეთი:** ყურანის წინადადება.
2. **ხადისი:** მუხამმედ ფეიღამბრის სიტყვები.

მარჯება, ალლაჰიც იმის დამხმარეაო“ ბრძანებს წმინდა ფეიღამბერი. მუსლიმანები ერთმანეთს სიკეთეში ეჯიბრებიან, რათა ამ ხადისის მადლს ეზიარონ.

ნამაზი იცავს ადამიანებს ცოდვა და ბოროტებისაგან და წინაღუდგება მათ. „დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა კარების წინ მდინარეს ჰგავს. ვინც ხუთჯერ განიბანება სიბინძურე არ დარჩება. ასევე მცირე ცოდვებიც მიეტევებაო“ ვკითხულობთ ხადისში. ნამაზი ალლაჰის რწმენის შემდეგ ყველაზე დიდი ღვთისმსახურებაა, ამიტომაც ნამაზის ყველა ვალდებულებას (ნამაზის ფარძებს, ვააჯიბებს, სუნნეთებს მექრუჰებს, მუსთეხაბებს) უნდა მივაქციოთ ყურადღება. ერთ-ერთი ხადისი გვასწავლის: „ო, მორწმუნე მუსლიმანებო, თავის დროზე და სწორად შესრულებული ნამაზი მუსლიმანისათვის ალლაჰის წინაშე ყველაზე კარგი საქმეა, ფეიღამბრების სუნნეთია, მოწონებულია ანგელოზების მხრიდან, სინათლეა ცოდნისა, მიწისა და ცისა. სხეულის ძალა და სარჩოს ბარაქაა. საშუალებაა იმისა რომ ლოცვა (დუა) შესმენილი იქნეს, ნამაზი სიკვდილის ანგელოზებზე პასუხის გაცემისას დამხმარეა, სასაფლაოში სინათლეა, წარღვნის დღეს მუსლიმანების ჩრდილია, ჯოჯოხეთის ცეცხლში დამცველი ფარია, ბეწვის ხიდზე ელვისებურად გადამყვანია, სამოთხის გასაღებია, სამოთხეში თავზე გვირგვინია. დიდმა ალლაჰმა მუსლიმანებს რაც უბოძა, ყველაზე ძვირფასი ნამაზია, რაიმე მასზე ძვირფასი რომ ყოფილიყო ალლაჰი ჯერ მას მისცემდა მუსლიმანებს... ნამაზი რწმენის სათავე, ისლამის დასაყრდენი, ზეცის სინათლე და ჯოჯოხეთისაგან ხსნის გზაა.“

ერთხელ, წმინდა ალის გამორჩა იქინდი ნამაზის ლოცვა. დაიწყო მოთქმა დარდისაგან და მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, კვნესით და ვედრებით ალლაჰი მოიხსენია. როდესაც ეს ამბავი მუხამმედ ფეიღამბერმა შეიტყო, თავის მრევლთან (საჰაბეებთან) ერთად მივიდა ალისთან. როდესაც დაინახა რა დღეში იყო წმინდა ალი, მასაც ტირილი მოეძალა. ვედრება დაიწყო და მზე ხელახლა ამოიწვერა, შემდეგ კი ალის ამ სიტყვებით მიმართა: „ეი ალი! თავი მაღლა აღმართე და შეხედე, მზე ისევ მოსჩანს." მაშინ ალის ძალიან გაუხარდა და იქინდი ნამაზი ილოცა.

ერთხელ წმინდა ებუ ბექირმა ძალიან ბევრი ილოცა და ღამის დასასრულს ძილი მოერია და ვითირ ნამაზი გამორჩა. დილის ნამაზის დროს შეხვდა წმინდა ფეიღამბერს მეჩეთში და დარდისაგან ტირილი დაიწყო: „ეი, ალლაჰის ფეიღამბერო! წუხელ ვითირ ნამაზი გამომრჩაო." ევედრებოდა ალლაჰს მიტევებისათვის ასე ატირებული და წმინდა ფეიღამბერიც აატირა, მათ წმინდა ჯებრაილი[1] მიუახლოვდა და უთხრა: „ეი ფეიღამბერო გადაეცი ებუ ბექირს, რომ ალლაჰმა აპატია მას."

ალლაჰის მოყვარე (ევლია) ბაიეზიდ ბისტამი ერთ ღამეს ძალიან დაღლილი იყო და დილის ნამაზის სალოცავად ვერ გაიღვიძა. ისე გულით და დიდხანს მოსთქვამდა, რომ ბოლოს ხმა შემოესმა: „ეი, ბაიეზიდ, ეს შეცდომა გეპატია და გარდა პატიებისა 70 ნამაზის მადლიც ჩაგეთვალაო." რამდენიმე თვის მერე ისევ დაღლილს ძილი მოერია. დილით მივიდა ეშმაკი მასთან, ფეხზე შეეხო და გააღვიძა: „ადექი, ნამაზი უნდა გამოგრჩესო"

1. ჯებრაილი: რჩეული ანგელოზი. ის ღმერთსა და ფეიღამბრებს შორის შუამავალია

ბაიეზით ბისთამი გაოცდა: „შენ ეშმაკი ხარ, ამას როგორ აკეთებ, ყველას რაც უფრო მეტი ნამაზი გამორჩება, მით უფრო გიხარია და რისთვის მაღვიძებო?“ ამაზე ეშმაკმა უპასუხა: „ამასწინათ, დილის ნამაზი რომ გამოგრჩა, იმდენი იტირე, რომ 70 ნამაზის მადლი მოისხი, დღეს ეს მომაგონდა და გაგაღვიძე, რათა 70-ის ნაცვლად ერთი ნამაზის მადლი მოისხაო.“

ბრძენმა ჯუნეით ბაღდადმა ბრძანა: „ამქვეყნის ერთი საათი წარღვნის ათას წელს სჯობია, რადგან ამ ერთ საათში მრავალი ღირსეული და სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება, ხოლო წარღვნის ათას წელიწადში კი-არცერთიო“.

მაშინ, ო, მორწმუნე ძმაო, ფუჭ ამბებზე დრო არ დახარჯო, დროის ყადრი იცოდე და ზომით ხარჯე, რადგან წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „დროის ფუჭად და უვარგისად ხარჯვა უდიდესი უბე-დურებაა.“ დროულად ილოცე ნამაზები, რათა მადლი მოისხა და წარღვნის დღეს არ ინანო. „ვინც განზრახ, სიზარმაცით ნამაზს დროულად არ ილოცავს, მის საფლავში ჯოჯოხეთის 70 ფანჯარა გაიხსნება და წარღვნის დღემდე ტანჯვა-წამება არ აგცდებათო.“- ამბობს ხადისი. ვინც შეგნებულად არ ილოცავს ნამაზს და არ იდარდებს თუ ნამაზი გამორჩა, ის ურწმუნოს ტოლფასია და სიკვდილის დროსაც ურწმუნოდ მოკვდება. მაშ, რა ელით მათ, ვისაც არც ეშინია მომავალი ტანჯვისა, ვინც არ სცნობს ნამაზს საჭიროდ და სავალდებულოდ? ვინც შეგნებულად უარყოფს ნამაზს? ამ თემის შესახებ ყველა ბრძენი ერთი აზრისაა: ასეთი ადამიანი ურწმუნოა.

## ჩვენი რწმენა და ნამაზი

### უპირველესად ყველას უნდა სწამდეს:

დიდებულ ალლაჰს სურს, რომ ადამიანებმა ამ ქვეყნად კეთილად და ლაღად იცხოვრონ და საიქიოშიც სიმშვიდე და ბედნიერება მოიპოვონ. ამისათვის კი გვიბრძანა გავაკეთოთ კეთილი და სასარგებლო საქმეები. ხოლო უბედურების მომტანი ბოროტი საქმეები აკრძალა. დიდი ალლაჰის პირველი ბრძანება რწმენაა. ალლაჰის რწმენა ყველა ადამიანს სჭირდება, ყველა ადამიანისათვის აუცილებელია.

სიტყვასიტყვით რწმენა ვინმეს სრულ დაჯერებას და მის სიმართლეში ეჭვმიუტანელობას ნიშნავს. ისლამში კი რწმენა ალლაჰისა და მუხამმედ ფეიღამბრის დაჯერებას ნიშნავს. გვჯერა, რომ წმინდა მუხამმედი არის ჭეშმარიტი ფეიღამბერი დიდებული ალლაჰისა და გადმოგვცემს მის რჩევებსა და ბრძანებებს. რწმენა ნიშნავს გულით, წრფელად გვწამდეს. რამდენადაც ძალა შეგვწევს ვიღვაწოთ რწმენისათვის სიტყვითა და საქმით. ძლიერ რწმენას მივყავართ ნათელ მომავლამდე და როგორც გავურბივართ ცეცხლს ან შხამიან გველს, ისე უნდა ვისწრაფოდეთ მივუახლოვდეთ ალლაჰის ჭეშმარიტებას. რადგანაც გააზრებული გვაქვს ალლაჰის სიბრძნე და დიდებულება, გავრბივართ რა ტანჯვისაგან და უცოდინარობისაგან რწმენას შევეკედლებით. და ამ რწმენას ვინახავთ გულის ფიცარზე დაწერილს ურყევად და სამუდამოდ, მსგავსად მარმარილოზე ამოტვიფრული ნა-

წერისა. რწმენა, ეს არის გავითავისოთ და გულწრფელად დავიჯეროთ ყოველი სიტყვა წმინდა მუხამმედისა. ასეთ მორწმუნეებს მუსლიმანი ეწოდებათ. საჭიროა, ყველა მუსლიმანმა წმინდა მუხამმედის ნაჩვენები გზით იაროს. მისი გზა ყურანი ქერიმია და ისლამი ეწოდება. ამ გზის მისაყოლად საჭიროა ჯერ ვიწამოთ, შემდეგ შევისწავლოთ მუსლიმანობა, შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი, მოვერიდოთ არამს,[1] რჯულით აკრძალულ საქმეებს, შევასრულოთ სასიკეთო საქმეები და მოვიქცეთ რჯულის წესების შესაბამისად.

რწმენა ჩვენი რელიგიის საფუძველია. ურწმუნოთა არანაირ სიკეთესა და მადლს ალლაჰი არ სცნობს და არ იღებს. ვისაც სურს გახდეს მუსლიმანი უწინარეს ყოვლისა უნდა ირწმუნოს, შემდეგ ფიზიკურად გასუფთავდეს (ღუსლი[2] შეასრულოს). აბდესი, ნამაზი, ფარზი, არამი, ალალი და სხვა სარჯულო საკითხები შეისწავლოს.

## რწმენა სწორი უნდა იყოს

გონებისა და გრძნობისაგან აღქმული ინფორმაცია გვეხმარება მივაგნოთ ჭეშმარიტ რწმენას. ყველანაირი მეცნიერება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტყუილ-უბრალოდ არაფერი არ ხდება და ყველაფერს თავისი გამჩენი ჰყავს. რწმენა ნიშნავს შევისწავლოთ და გავითავისოთ, ყველაფერი, რასაც ბოლო ფეიღამბერი მუხამმედი გვირჩევს. თუ ზოგიერთ ცნობებს ეჭვის თვალით შევხედავთ და მხოლოდ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ურწმუნოობის ტოლფასია.

1. **არამი:** ალლაჰის მიერ აკრძალული (არაბულად ჰარამი).
2. **ღუსლი:** პირისა და ცხვირის წყლით ღრმად გამოვლება და მთლიანი სხეულის გულდასმით დაბანა.

ზოგი რამ გონებასთან პირდაპირ კავშირში არ არის. ფეიღამბერის ხადისები „ქჰლი სუნნეთის" ბრძენთა წიგნებიდან უნდა შევისწავლოთ და ვირწმუნოთ.

**ნამდვილი რწმენა ქვემოთმოყვანილ პირობებს უნდა შეიცავდეს:**

1. მორწმუნე მუსლიმანი რიდით სავსე უნდა იყოს, ალლაჰის რისხვისა უნდა ეშინოდეს, მაგრამ შეწყალებას მუდმივად უნდა იმედოვნებდეს. ცოდვას თუ ჩავიდენ, რწმენა დამეკარგებაო, უნდა ეშინოდეს და ცოდვას უნდა გაურბოდეს. ჩადენილი ცოდვების ალლაჰის მხრიდან პატიებისა კი ყოველთვის უნდა სჯეროდეს. ცოდვები გულით უნდა მოინანიოს, რადგან მომნანიებელი უცოდველის მსგავსია.

2. რწმენა მუდმივი და მყარი უნდა იყოს ყოველ წამშიც კი. „სამი წლის შემდეგ მუსლიმანობას უარვყოფო"-თუ კაცი იტყვის, ის იმ წამშივე ურწმუნო გახდება, ე.ი. ისლამისგან უარყოფილი იქნება.

3. რწმენა სიცოცხლეშივე უნდა გაითავისოს ადამიანმა, რადგან საიქიოში მისთვის ყველა შესაძლო მდგომარეობა თვალნათელი გახდება. სიკვდილის პირას ყველა ურწმუნო მორწმუნე ხდება ხოლმე, მაშინ, როდესაც რწმენა ურყევი უნდა იყოს და უნახავადაც, სიკვდილამდე უნდა ვირწმუნოთ. როცა თვალით ვნახავთ, უკვე იმის რწმენა ყაბული აღარ იქნება.

4. მზის დასავლეთიდან ამოსვლამდე უნდა ვიწამოთ. წარღვნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი მზის დასავლეთიდან ამოსვლაა. ამის მნახველი

ყველა ადამიანი იწამებს, მაგრამ ეს რწმენა ალლაჰის მხრიდან აღარ მიიღება და მაშინ ჰატიებისა და მონანიების კარები მათთვის დახშული იქნება.

5. უნდა გვწამდეს რომ გარდა დიდებული ალლაჰისა არავინ არ იცის უხილავი სამყაროს (საიქიოს) შესახებ. ანგელოზებმა, ჯინებმა, ეშმაკმა და ფეიღამბრებმაც კი არ იციან უხილავი სამყაროს შესახებ. მაგრამ ფეიღამბერებს და ალლაჰის საყვარელ ადამიანებს თვით ალლაჰი ზოგიერთ ამბებს აცნობებს.

6. რჯულში რწმენისა და ღიბაადათების შესახებ არსებული კანონები უყოყმანოდ უნდა ვირწმუნოთ. ისლამი სარჯულო კანონების ერთობლიობაა. ამიტომ ალლაჰის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეყნის, ფარძის, არამის ერთბაშად უნდა გვწამდეს. ვისაც ალლაჰი სწამს, მაგრამ ფეიღამბრებს უარყოფს, ურწმუნოა.

7. ისლამის რწმენის კანონები უყოყმანოდ უნდა დავიჯეროთ. უნდა გვწამდეს, რომ ნამაზის ლოცვა ფარძია, ალკოჰოლური სასმელების დალევა, აზარტული თამაშები, მევახშეობა და მექრთამეობა-არამი. თუ ალალს არამად, ან არამს ალალად მივიჩნევთ, რწმენას დავკარგავთ.

8. რწმენა ისლამის რჯულის საერთო წესებს უნდა ექვემდებარებოდეს. უნდა გვწამდეს ისე, როგორც მიგვითითებს მუხამმედ ფეიღამბერი და არა ისე, როგორც ხსნიან ფილოსოფოსები მეტაფიზიკოსები.

9. მორწმუნეს მხოლოდ ალლაჰის გულისთვის უნდა უყვარდეს ან სძულდეს სხვები. ალლაჰის მორწმუნე მუსლიმანები უნდა უყვარდეს, ისლამისათვის სიტყვითა თუ საქმით ზიანის მომტანები

უნდა სძულდეს. და ეს მტრობა გულით უნდა ატაროს.

(არამუსულმან მოქალაქეებსა და ტურისტებს მომღიმარი და სიკეთით სავსე უნდა მიეგებოს და თავისი მაღალი ზნეობით მათ ისლამის რელიგია შეაყვაროს).

10. იმ ჭეშმარიტი მუსლიმანების მსგავსად უნდა გვწამდეს, რომლებიც ფეიღამბერის გზას მიჰყვებიან. სწორი რწმენის მისაღებად რწმენა „ეჰლ-ი სუნნეთის" ბრძენთა წიგნებიდან უნდა შევისწავლოთ. ეჰლ-ი სუნნეთის ბრძენთა შორის ყველაზე თვალსაჩინო იმამი **ებუ ხანიფეა**.

## ეჰლ-ი სუნნეთის ბრძენთა (იმამების) შეხედულებანი რწმენის შესახებ

1. რწმენის ექვსი პირობის უნდა გვწამდეს. გვწამდეს ალლაჰისა, მისი ერთადერთობის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეყნის, კარგისა და ცუდის ალლაჰის მიერობის. ყველა ეს პირობები „ამენთუ"-შია თავმოყრილი.

2. უნდა გვწამდეს რომ ალლაჰის ბოლო წიგნში-ყურანი ქერიმში არის ალლაჰის სიტყვები.

3. მუსლიმანს საკუთარ რწმენაში ეჭვი არასოდეს არ უნდა ეპარებოდეს.

4. უნდა გვწამდეს წმინდა ფეიღამბერის, პატივით უნდა მოვიხსენიოთ 4 ხალიფე[1] (ხელმწიფე) და ყველა ის საჰაბე[2], ვისაც წმინდა ფეიღამბრის ნახვის პატივი ხვდა წილად.

5. ღვთისმსახურება რწმენის შემადგენელი ნაწილი არაა. ვისაც რწმენის პირობები გულით სწამს, მაგრამ სიზარმაცის გამო ან სხვა რაიმე

1. **4 ხალიფე:** ებუ ბექირი, ომერი, ოსმანი და ალი.
2. **საჰაბე:** მუხამმედ ფეიღამბრის მნახველი და მისი მხარდამჭერი.

მიზეზით ღიბაადეთს არ ასრულებს, ურწმუნოდ არ ითვლება. ასეთი ადამიანი მაინც მუსლიმანია, მაგრამ ცოდვიანი მუსლიმანი.

**6.** თუ იმამის[1] შესახებ არ ვიცით ცოდვიანია თუ არა, მასზე მიყოლით ნამაზის ლოცვა შეიძლება.

**7.** წმინდა ფეიღამბერის სულიერად და ფიზიკურად ერთ ღამეს ზეცაში ასვლის (მირაჯი) უნდა გვჯეროდეს. მირაჯი სიზმარში მოხდაო, ვინც იტყვის ეჰლ-ი სუნნეთი არ იქნება.

მუსლიმანები სამოთხეში ალლაჰს იხილავენ. ანგარიშსწორების დღეს წმინდა ფეიღამბერი მათი ცოდვების მიტევებისათვის ალლაჰს შეევედრება. არსებობს შეკითხვები სასაფლაოშიც, სასაფლაოს ტანჯვას სულიცა და სხეულიც გამოსცდის. ღვთისმსახურ და მოყვარე ადამიანებს (ევლიებს) საოცრების მოხდენა შეუძლიათ. საოცრებები ფიზიკის, ქიმიის ან ბიოლოგიის კანონებით ვერ აიხსნება და ლოგიკას არ ექვემდებარება. ამავე დროს იმდენად მრავალი და ცხადია, რომ მათი უარყოფა შეუძლებელია. ყურანი ქერიმის კითხვის, ღარიბებზე დახმარების შედეგად მოგებული მადლის მკვდრებზე ჩუქება შეიძლება. ეს მათთვის სასარგებლო იქნება.

## რწმენის პირობები

რწმენის პირობა ექვსია და ამენთუშია თავმოყრილი. ეს პირობები მუხამმედ ფეიღამბერმა გვაცნობა. ყველა მუსლიმანმა ბავშვს რწმენის ექვსი პირობა (ამენთუ) უნდა დააზეპირებინოს და მისი აზრი გააგებინოს. რწმენის პირობები ესენია:

„მე მწამს ალლაჰის, მისი ანგელოზების, წმინ-

1. იმამი: წინამძღოლი. ასევე ის, ვინც ჯგუფურად ნამაზს ალოცვებს.

და წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეუნის, ბედისწერის; ხეირისა და შერის (კარგისა და ცუდის) ღმერთის მიერობის. მწამს რომ ალლაჰი ერთია და მწამს რომ მუხამმედი მისი უული[1] და ფეიღამბერია."

## პირველი პირობა
# ალლაჰის რწმენა

ალლაჰის რწმენა ნიშნავს, რომ მე გულით მწამს ალლაჰის არსებობისა, მისი ერთადერთობისა. ალლაჰი არსებობს და მხოლოდ ერთია. არ არის მისი მსგავსი და თანამეუფლებე. მას უფლებამოსილებაში არანაირი შემცილებელი არ ჰყავს. ის გაჩენილებს არცერთი თვისებითა და ფორმით არ ჰგავს.

ყველა არსების, მათი ყველა ორგანოსა თუ უჯრედის გამჩენი მხოლოდ ალლაჰია. ალლაჰის ნამდვილად ცნობა და დახასიათება არავის არ შეუძლია, რადგანაც ეს გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შესახებ ყურანი ქერიმში მოცემული სიტყვები (თვისებები) და მნიშვნელობები უნდა გავიზეპიროთ და გავიაზროთ. რადგან ყველა მათგანი მყარი და სამარადისოა. ალლაჰი მხოლოდ მაღლა ან დაბლა, მარჯვნივ ან მარცხნივ, წინ ან უკან არ არის, ის ყოველთვის და ყველგანაა.

დიდებულ ალლაჰს 14 თვისება გააჩნია. ექვს მათგანს-ზაათი, რვა მათგანს-სუბუთი თვისება ჰქვია. ყველა მათგანის მნიშვნელობების გაგება და დაზეპირება კარგია.

1. უული: ღვთისმსახური, ღვთის მონამორჩილი.

**ზაათი[1] თვისებები:**

1. **ვუჯუდ** *(არსებობა)*: ალლაჰი არსებობს, მისი არსებობა აუცილებელია.

2. **ყიდემ** *(დასაწყისის უქონლობა)*: ალლაჰის არსებობას დასაწყისი არ გააჩნია.

3. **ბეყა** *(დასასრულის უქონლობა)*: ალლაჰის არსებობას დასასრული არ გააჩნია. არასოდეს გაქრება, არასოდეს მეტოქე არ ეყოლება, ვერასოდეს ვერავინ ვერ შეედრება.

4. **ვახდანიეთ** *(ერთადერთობა)*: ალლაჰი ერთადერთია, არ ჰყავს ბადალი, მოწილე ან მონახევრე სიტყვაში, საქმეში ან უფლებამოსილებაში.

5. **მუხალეფეთუნ-ლილხავადის** *(უმსგავსობა)*: ალლაჰი გაჩენილებს შორის არც ერთ არსებას არ ჰგავს.

6. **ყიამ ბი-ნეფსიჰი** *(არსებობის სხვაზე დამოუკიდებლობა)*: ალლაჰი საკუთარი ძალითაა, სხვაზე დამოკიდებული არაა. მას არ სჭირდება დრო და ადგილი. სხვა რომ არაფერი არ იყო, ის ყოველთვის იყო, არის და იქნება კიდეც, რადგანაც ის ვინმესაგან რაიმეს არ საჭიროებს.

**სუბუთი[2] თვისებები:**

1. **ხაიათ** *(სიცოცხლე)*: დიდი ალლაჰი ცოცხალია. მისი სიცოცხლე სხვა არავის სიცოცხლეს არ ჰგავს. მისი სიცოცხლე მუდმივი და სამარადისოა.

2. **ილმ** *(სიბრძნე)*: დიდმა ალლაჰმა ყველაფერი იცის და მისი ცოდნა სხვა არც ერთი არსე-

---

1. **ზაათი თვისებები:** მხოლოდ ალლაჰის კუთვნილი თვისებები.
2. **სუბუთი თვისებები:** თვისებები, რომლებიც გაჩენილებსაც გააჩნიათ. მაგ. სმენა. მაგრამ ალლაჰი გაჩენილების მსგავსად არ ესმის.

ბის ცოდნას არ ჰგავს. ალლაჰი წყვდიად ღამეში შავ ქვაზე შავი ჭიანჭველის ცოცვას ხედავს და მისი ფეხების ბაქუნის ხმა ესმის. მან იცის ადამიანთა ზრახვები, რასაც ადამიანები გულში ან ჭკუაში გაივლებენ ხოლმე. მისი ცოდნა არ იცვლება, მუდმივი და სამარადისოა.

**3. სემი** *(სმენა)*: დიდი ალლაჰი ისმენს. ისმენს ყოველგვარი შუამავალის გარეშე. მისი გაგონილი და მოსმენილი არც ერთი არსებისას არ ჰგავს. მისი ეს თვისებაც მუდმივი და სამარადისოა.

**4. ბასარ** *(მხედველობა)*: დიდი ალლაჰი ხედავს. ხედავს ყოველგვარი პირობისა და საშუალების გარეშე. მისი დანახული ადამიანის თვალით დანახულს არ ჰგავს.

**5. ირადე** *(ნებასურვილი)*: მისი ნება უსასრულოა და გააჩენს რასაც კი მოისურვებს. ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით ჩნდება. არ არის ძალა, რომელიც მის ნებას წინ აღუდგება.

**6. ყუდრეთ** *(ძლევამოსილება)*: დიდი ალლაჰი ყოვლისშემძლე, უძლეველია. არ არსებობს რაიმე სირთულე ან დაბრკოლება მისთვის.

**7. ქელამ** *(მეტყველება)*: დიდი ალლაჰი წარმოსთქვამს და ილაპარაკებს. მისი ნათქვამი ენით, ასოებითა და ხმებით არ გამოიხატება. ყურანში ალლაჰის სიტყვებია.

**8. თექვინ** *(გაჩენა)*: ერთადერთი გამჩენი ალლაჰია. ის რასაც მოისურვებს, იმას გააჩენს. არ არსებობს სხვა გამჩენი მის გარდა, რადგანაც ყველაფერს ალლაჰი აჩენს.

მეორე პირობა

# ანგელოზების რწმენა

ანგელოზების რწმენა ნიშნავს, რომ მე მწამს დიდი ალლაჰის ანგელოზებისა. ისინი ალლაჰის მონამორჩილნი, მსახურნი არიან და ყველა მათგანი ალლაჰის ბრძანებას ემორჩილება. ანგელოზები სინათლის სხივისაგან (ნურისაგან) არიან გაჩენილი, ცოცხლები არიან, ცოდვას არ სჩადიან, ქალი ან მამაკაცი არ არიან, არ იქორწინებენ, არ სჭამენ, არ სმენ, არ იძინებენ, ჭკვიანები და ნათლით სავსენი არიან. მათ შორის 4 რჩეული ანგელოზია:

1. **ჯებრაილი:** მისი მოვალეობაა ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები აცნობოს ფეიღამბრებს. ის ალლაჰსა და ფეიღამბრებს შორის შუამავალია, ელჩია.

2. **ისრაფილი:** მისი მოვალეობა **სურაში**[1] ჩაბერვაა. სურაში ორჯერ ჩაბერავს: პირველი ჩაბერვის მერე ალლაჰის გარდა ყველა ცოცხალი არსება მოკვდება. მეორედ ჩაბერვის მერე კი-ყველა მკვდარი ხელახლა გაცოცხლდება.

3. **მიქაილი:** მისი მოვალეობაა ბუნებრივი მოვლენების მართვა, გამოგვიგზავნოს პური არსობისა (რიზყი). სიიაფე, სიძვირე, ხვავი და ბარაქა-ყველაფერს ის განაგებს.

4. **აზრაილი:** მისი მოვალეობაა მიიბაროს ადამიანთა სულები.

არიან კიდევ სხვა ანგელოზებიც რომლებსაც სხვადასხვა მოვალეობა აკისრიათ: საფლავის ანგელოზები (მუნქერი და ნექირ), ადამიანის მხრებზე მყოფი ცოდვა-მადლის მწერალი ანგელოზები (ქირამენ ქაათიბინ), სამოთხის ანგელოზების

1. სურა: უზარმაზარი მილი.

მთავარი „რიდვანი“, ჯოჯოხეთის ანგელოზების მთავარი „მაალიქი“ და სხვ.

სამყაროში უამრავი ანგელოზია, მათი რაოდენობა ცნობილი არაა.

### მესამე პირობა

## წმინდა წიგნების რწმენა

წმინდა წიგნების მწამს ნიშნავს, რომ მე ვირწმუნე იმ წმინდა წიგნებისა, რომლებიც ალლაჰმა დედამიწაზე გამოგზავნა.

წმინდა წიგნები დედამიწაზე ვაჰის[1] გზითაა მოვლინებული და ზეცისეული წიგნებიც ეწოდება. ყველა მათგანი ალლაჰის წიგნებია, ყველა ჭეშმარიტია.

წმინდა წიგნები 104-ია. მათ შორის ოთხი დიდი წიგნია, ასი კი-ბროშურაა. ამათგან ალლაჰმა, 10 ბროშურა ადემ ფეიღამბერს, 50 ბროშურა შით ფეიღამბერს, 30 ბროშურა იდრის ფეიღამბერს, 10 ბროშურა იბრაჰიმ ფეიღამბერს გამოუგზავნა.

4 დიდ წიგნს შორის: თევრათი მუსა ფეიღამბერს, ზებური დაუდ ფეიღამბერს, ინჯილი ისა ფეიღამბერს და ყურანი ქერიმი მუხამმედ ფეიღამბერს გაუგზავნა.

დაწყებული პირველი ფეიღამბერი ადემიდან, დამთავრებული ბოლო ფეიღამბერ მუხამმედამდე დიდებულმა ალლაჰმა ეს წმინდა წიგნები გამოგზავნა, რათა ადამიანებს მშვიდობიანად, ბედნიერად ეცხოვრათ ამქვეყნად და შესძლებოდათ იმქვეყნად სამოთხეში შესვლა. ალლაჰმა ამ წმინდა წიგნებში ადამიანებს აცნობა და განუმარტა ყვე-

1. ვაჰი: ღმერთის მიერ ბრძანებებისა და აკრძალვების ფეიღამბრებზე ცნობა. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირ, ასევე ანგელოზის შუამავლობით.

ლა საჭირო თემა და საკითხი.

წმინდა წიგნებს შორის ყურანი ქერიმი უკანასკნელია. მისი გამოგზავნის შემდეგ სხვა წმინდა წიგნებმა აქტუალურობა დაკარგა და გაუქმდა კიდეც. ყურანი დედამიწაზე ერთბაშად არ ჩამოსულა, წმინდა მუხამმედი მას 23 წლის მანძილზე ღებულობდა.

ყურანი ქერიმი 114 სურესა[1] და დაახლოებით 6666 აეთისაგან შესდგება. ზოგჯერ აეთების რაოდენობა იცვლება, რაც ზეგიერთი გრძელი აეთის დანაწევრებით არის გამოწვეული.

ყურანი ქერიმში ალლაჰის სიტყვებია. ის მუხამმედ ფეიღამბრის უდიდესი სასწაულია. ყურანი ქერიმის სიდიადემ მის წინაშე დააჩოქა იმდროინდელი არაბეთის ლიტერატურა, პოეტები თუ მწერლები. რადგანაც ვერავინ ვერ შესძლო ყურანის მსგავსი მხოლოდ ერთი აეთის შექმნაც კი. ანდა როგორ შესძლებდა, ყურანში ხომ თავიდან ბოლომდე ალლაჰის სიტყვებია და ადამიანის ხელი არ ურევია. ყურანი ქერიმს გამჩენი ალლაჰი იცავს, რასაც ადასტურებს ის, რომ დღემდე მასში ერთი ასობგერაც კი არ შეცვლილა. ყურანი დღესაც ისეთია, როგორიც დედამიწაზე ჩამოვიდა და ქვეყნის ბოლო დღემდეც ასეთი ფაქიზი და უცვლელი იქნება.

მუხამმედ ფეიღამბერის გარდაცვალების შემდეგ, მისმა პირველმა დამხმარემ, ხალიფე-ებუ ბექირმა ყურანი ქერიმის აეთები ერთად შეკრიბა და ერთ წიგნში მ-უყარა თავი. (მანამდე აეთები ზოგი ხის ფირფიტებზე, ზოგი ტყავზე, ქვაზე და ა.შ. იყო დაწერილი). ამ წიგნს „მუსხაფი" უწოდეს. მესამე ხალიფემ-ოსმანმა ამ მუსხაფიდან

1. სურე: ყურანი ქერიმის თავი. ნაწილი.

6 ცალი კიდევ დააწერინა და სხვადასხვა რეგიონებში გაგზავნა.

- ყურანის კითხვის დროს აბდესი[1] აღებული უნდა გვქონდეს, ყიბლეს[2] მხარეს უნდა ვიდგეთ და ყურადღებით უნდა წავიკითხოთ.

- ნელა ნელა და გამოთქმით უნდა წავიკითხოთ.

წიგნის კითხვისას მისი ყველა აეთის მნიშვნელობა ღრმად უნდა გავიაზროთ.

- ყველა სიტყვა ზუსტი გამოთქმით უნდა წავიკითხოთ.

- წაკითხული რომ ალლაჰის სიტყვებია კარგად უნდა გავითავისოთ.

- ყურანი ქერიმის ყველა ბრძანებებსა და აკრძალვებს უნდა დავემორჩილოთ.

### მეოთხე პირობა

## ფეიღამბრების რწმენა

ფეიღამბრების რწმენა ნიშნავს რომ მე მწამს ალლაჰის ფეიღამბერების. ისინი შერჩეული არიან ფეიღამბრებად, რათა გვიჩვენონ სწორი გზა და დიდებულ ალლაჰზე მომსახურების, ლოცვის წესი. ფეიღამბრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მაგრამ ზოგიერთი განსაკუთრებული თვისებით ხასიათდებიან. ესენია:

1. სიდყ *(სიმართლე)*: ფეიღამბერები არასოდეს ტყუილს არ იტყვიან, ყველა სიტყვასა და საქმეში გულახდილნი და მართალნი არიან.

2. ემანეთ *(სანდოობა)*: ფეიღამბრები ყოველ მხრივ სანდონი არიან და არასოდეს მათთვის ჩაბარებულ ამანეთებს არ უმუხთლებენ.

1. აბდესი: იხ. გვ. 53

2. ყიბლე: ქააბისკენ მიმართულება. ქააბა მდებარეობს მექქაში „ჰარემის" მეჩეთში. მუსლიმანები ლოცვისას ქააბისკენ დგებიან.

3. ფეთანეთ (*ნიჭიერება*): ფეიღამბერები ძალიან ჭკვიანი და გამგებნი არიან. სიბრმავე, სიყრუვე ან მსგავსი ნაკლოვანებების მქონე ფეიღამბრები ქვეყნად არ ყოფილან.

4. ისმეთ (*უცოდველობა*): ფეიღამბერები არასოდეს არამ, აკრძალულ საქმეს არ მოიმოქმედებენ, არასოდეს პატარა ან დიდ არანაირ ცოდვას არ ჩაიდენენ. ისინი უცოდველნი არიან.

5. თებლიღ (*ცნობა*): ყველაფერი, რასაც ფეიღამბრები ხალხს აცნობენ, მათ დიდებული ალლაჰისაგან შეისწავლეს. წარმოთქმული არცერთი აკრძალვა ან ბრძანება მათი საკუთარი ნება-სურვილი არ არის. ისინი მხოლოდ ალლაჰის ბრძანებებს გვაცნობენ.

6. ადალეთ (*სამართლიანობა*): ფეიღამბერები არასოდეს სჩადიან სისასტიკესა და უსამართლობას, ჭეშმარიტებასა და სამართალს არავისი ხათრისათვის არ გადაუხვევენ.

7. ემნულ-აზლ: ალლაჰი მათ ფეიღამბრობის ტიტულს არ ჩამოართვამს. სააქაოშიც და საიქიოშიც მუდმივად ფეიღამბერები არიან.

ახალი რჯულისა და შარიათის ჩამომყალიბებელ ფეიღამბერს „რესული“ ეწოდება. ხოლო იმ ფეიღამბერს რომელიც წინა ფეიღამბრის შარიათს აგრძელებს „ნები“ეწოდება. არასოდეს ფეიღამბრები ერთმანეთისაგან არ უნდა გამოვარჩიოთ. ყველა ისინი ალლაჰის მხრივ შერჩეული, მართალი და ღირსეულნი არიან. და თუ ვინმეს რომელიმე მათგანისა არ სწამს, ის სხვა დანარჩენების მორწმუნედაც არ ჩაითვლება, ე. ი. ურწმუნოა, ვინაიდან ყველა ფეიღამბრების რწმენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რწმენის მეოთხე პირობათაგანია.

ადამიანი ბევრი ღვთისმსახურებით, ბევრი ლოცვით, ბევრი შიმშილისა და ტანჯვის გამოცდით ფეიღამბერი ვერ გახდება. ალლაჰი ვისაც შეარჩევს, მხოლოდ ის იქნება ფეიღამბერი.

ფეიღამბრების რაოდენობა ზუსტად არაა ცნობილი. ითვლება რომ 124.000 არიან. ამათგან ყურანი ქერიმში მხოლოდ 28 ფეიღამბერის სახელია მოხსენიებული. ესენია: ადემ, იდრის, ნუხ, ჰუდ, საალიხ, ლუთ, იბრააჰიმ, ისმაილ, ისჰაყ, იაყუბ, იუსუფ, შუღაიბ, მუსა, ჰაარუნ, დავუდ, სულეიმან, ეიუბ, ზულქიფლ, იუნუს, ილიას, ელიესა, ზექერია, იაჰია, ისა, მუხამმედ, უზეირ, ლოყმან, ზულყარნეიN.

მათ შორის სამი ფიღამბერი (**უზეირი, ლოყმანი, ზულქარნეინი**) ყურ'ანში მოხსენიებულია, მაგრამ საეჭვოა, ფეიღამბრები იყვნენ თუ არა.

## ჩვენი ფეიღამბერი წმინდა მუხამმედი

წმინდა მუხამმედი დიდებული ალლაჰის ფეიღამბერია, ფეიღამბერთაგან ყველაზე უპირატესი და უკანასკნელია. მამის სახელია აბდულლაჰი. დაბადებულია ჩვ. წ. აღრიცხვით 571 წლის 20 აპრილს, ორშაბათ დღეს გამთენიისას, ქალაქ მექქაში. მამა დაბადებამდე გარდაეცვალა. ექვსი წლისას დედა, რვა წლისას ბაბუა გარდაეცვალა. შემდეგ ბიძის ებუ თალიბის გვერდით იზრდებოდა. 25 წლის ასაკში წმინდა ხატიჯესთან დაქორწინდა, მისგან ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი შეეძინა. პირველ ვაჟიშვილს ქასიმი ერქვა. ორმოცი წლის ასაკში ყველა ადამიანსა და ჯინს ეცნობა მისი ფეიღამბერობა. ფეიღამბრობიდან სამი წლის შემდეგ ყველას რწმენისაკენ მოუწოდა. 52 წლის ასაკში ერთ ღამეს ალლაჰმა იგი მექქადან იერუ-

სალიმში მდებარე „აუსას“ მეჩეთში და იქედანაც ზეცაში აიყვანა და შემდეგ ისევ უკან-დედამიწაზე დააბრუნა. ამ მგზავრობას **„მირაჯი“** ეწოდება. ამ მგზავრობისას ფეიღამბერმა სამოთხე, ჯოჯოხეთი და დიდებული ალლაჰი იხილა. იმ ღამით ალლაჰისაგან მუსლიმანებისათვის დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვის ბრძანება მიიღო.

ჩვ. წ. აღრიცხვით 622 წელს დიდი ალლაჰის ბრძანებით მუხამმედ ფეიღამბერი მექქადან მედინეში წავიდა. ამ მგზავრობას **„ჰიჯრეთი“** ეწოდება. მუსლიმანური წელთაღრიცხვა ამ წლიდან იწყება და **ჰიჯრის წელთაღრიცხვა** ეწოდება. ჰიჯრის წელთაღრიცხვით 11, ჩვ.წ. აღრიცხვით 632 წელს ორშაბათ დღეს, 63 წლის ასაკში წმინდა ფეიღამბერი გარდაიცვალა.

წმინდა ფეიღამბერი თეთრგვრემანი, ყველაზე უფრო მშვენიერი იყო. მაგრამ ამას ყველას არ აგრძნობინებდა. ვინც ერთხელ მაინც, ნახავდა მის სილამაზეს (თუნდაც სიზმარში), მთელი მისი ცხოვრება მხიარულებაში და ბედნიერებაში გაივლიდა. იგი ყველა გაგებით დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე უფრო აღმატებული და მშვენიერი იყო. მისი ფიქრი, აზრი, ქცევები, ხასიათი, აგებულება და ძალა ყველა ადამიანისას აღემატებოდა.

ბავშვობისას ორჯერ ვაჭრებთან ერთად დამასკოს მახლობლად ბუსრაში წავიდა და უკან დაბრუნდა. ამის გარდა არსად და არასოდეს არ წასულა. ბრძენი იყო, მაგრამ სკოლაში არასოდეს წასულა, არავის გაკვეთილებს არ დასწრებია. მაგრამ ყველაფერი იცოდა, რადგან დიდი ალლაჰი მას ყველაფერს ატყობინებდა. ასევე ანგელოზი ჯებრაილიც მას ყველაფერს ატყობინებდა. ნათე-

ლი გული ჰქონდა, რომელიც მზესავით სხივებს აფრქვევდა. მის მიერ გაცემული ცოდნა და სიბრძნე რადიოს ტალღების მსგავსად ყველა ადგილზე აღწევდა: მთებში, ცაში, ზღვებში, ტყეებში და სხვ. ახლაც მისი საფლავიდანაც იფრქვევა მისი ცოდნა, ისლამი დღითიდღე იზრდება. რადიოტალღების დაჭერისათვის მიმღებია საჭირო, ხოლო ფეიღამბერის სიბრძნის ზიარებისათვის მიმნდობი, მორწმუნე, სწორი გზით მავალი და ცოდვებისაგან გაწმენდილი გულია საჭირო. ასეთი ადამიანი ფეიღამბერისეულ ნათელს მიიღებს და გაავრცელებს. მათ „ევლია" ეწოდებათ. რიგითმა ადამიანებმა გულით რომ უსმინონ და მისდიონ ევლიას, მათი გულიც განიწმინდება, განივრცობა, ჩამოყალიბდება და გაუმჯობესდება. დიდებულმა ალლაჰმა გააჩინა მზე, რათა მივიღოთ მისი სითბო და ენერგია და გავიზარდოთ, ხოლო წმინდა ფეიღამბერი ჩვენი სულისა და გონების მასაზრდოებლად გამოგზავნა. როგორც მზე ჰკვებავს ყველაფერს მატერიალურსა და სხეულებრივს, ისევე ევლიათა საუბრები, სიტყვები და ნათელი ჰკვებავს ჩვენს სულსა და გონებას, რამდენადაც ის წმინდა ფეიღამბერისაგან მომდინარეობს.

დიდებულმა ალლაჰმა ჯებრაილ ანგელოზის მეშვეობით მუჰამმედ ფეიღამბერს ყურანი ქერიმი გამოუგზავნა და ადამიანებს უბრძანა ეკეთებინათ სასარგებლო და სასიკეთო საქმეები საასოფლოშიც და საიქიოშიც, ხოლო ყველაფერი, რაც მავნებელია აკრძალა. ამ აკრძალვებსა და ბრძანებებს ისლამი, ისლამური რელიგია ანდა ისლამური ზნეობა ეწოდება.

მუჰამმედ ფეიღამბრის ყველა სიტყვა სწორი, ჭეშმარიტი და სასარგებლოა. ვისაც ასე სწამს მას

მუსლიმანი ეწოდება. ხოლო ვისაც ფეიღამბერისა არ სწამს, მას ურწმუნო ანუ „ქააფირი“ ეწოდება. ალლაჰს მუსლიმანი უყვარს და მას სამუდამოდ ჯოჯოხეთისთვის არ იმეტებს, ან სულ არ მოახვედრებს იქ, ანდა თუ ცოდვიანია, ცოდვის შესაბამისად მცირე ხანს ჯოჯოხეთში მოხვედრის მერე გაათავისუფლებს. ხოლო ურწმუნო სამოთხეში ვერ მოხვდება. პირდაპირ ჯოჯოხეთში წავა და სამუდამოდ იქ დარჩება. სამოთხეში მოხვედრის საფუძველი ფეიღამბერის რწმენა და სიყვარულია, ფეიღამბრის მიმართ ურწმუნოება მრავალ ტანჯვასა და უბედურებას მოიყოლიებს ხოლმე.

მუხამმედ ფეიღამბერს ყველა სხვა ფეიღამბერზე მეტი ჭკუა, გონება, სილამაზე, მჭევრმეტყველება, მოთმინება, გამჭრიახობა, შემწყალებლობა, გულუხვობა, სიკეთე, სიყვარული და შემბრალებლობა ჰქონდა. მეგობარსა თუ მტერს მიყენებულ ზიანსა და ბოროტებას ჰპატიებდა, არასოდეს საპასუხოდ არ ჰმტრობდა. როდესაც ურწმუნოებმა მას კბილები ჩაუმტვრიეს, ალლაჰს ასე შეევედრა: „ეი, დიდო ღმერთო, მიუტევე მათ, რადგანაც ამას უვიცობის გამო სჩადიანო.“

ასევე ფეიღამბერს ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა. საჭიროა მუსლიმანებმა შეისწავლონ და მიჰბაძონ ფეიღამბერს. ამ გზით ადამიანები სიკეთისა და ბედნიერების სათავეს მიაგნებენ და დიდებულ ალლაჰს მიუახლოვდებიან. რადგანაც ხადისში ვკითხულობთ: „იცხოვრეთ დიდი ალლაჰის ზნეობითო.“

## ესხაბი ქირამ

იმ მუსლიმანებს, რომლებსაც ჰხვდათ პატივი

ენახათ და ესაუბრათ მუჰამმედ ფეიღამბერთან **„ესჰაბი ქირამი“** ანუ **„საჰაბე“** ეწოდებათ. ყველა დროის ყველაზე საუკეთესო ესხაბი არის ებუ ბექირი. იგი პირველი ხალიფეა. მას მოჰყვებიან ხალიფე ომერი, მესამე ხალიფე ოსმანი და მეოთხე ხალიფე ალი. წმინდა ფეიღამბრის ხადისის მიხედვით, მსოფლიოს ქალებს შორის ყველაზე უპირატესნი არიან: ფატმა, აიშე, ხატიჯე, მერიემი და ასიე. კვლავ ერთ ხადისში წმინდა ფეიღამბერი ასე ბრძანებს: „ფატმა სამოთხის ქალბატონებს შორის ყველაზე აღმატებულია, ხოლო ხასანი და ხუსეინი კი სამოთხის ვაჟიშვილთა შორის ყველაზე საუკეთესონი არიან.“

ამათ რიგით **„აშერე-ი მუბეშშერე“** მოჰყვებათ. აშერე-ი მუბეშშერე არიან ათი საჰაბე რომლებსაც ფეიღამბერმა სიცოცხლეშივე სამოთხეში წასვლა უმახარობლა. ესენია: ებუ ბექირი, ომერი, ოსმანი, ალი, ებუ უბეიდე, თალხა, ზუბეიდი, სად ბინ ები ვაქქასი, საიდ ბინ ზეიდ და აბდურაჰმან ბინ ავფი. ჩვენ მოვალენი ვართ სიყვარულითა და პატივისცემით მოვიხსენიოთ ყველა საჰაბე, ვინც წმინდა ფეიღამბერს მიეხმარა ძნელ გზაზე და მისთვის ქონება და სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა. აკრძალულია და დიდ ცოდვად ჩაგვეთვლება მათი აუგად მოხსენიება და არასერიოზულობა.

ვისაც წმინდა ფეიღამბერი უყვარს, მისი საჰაბეებიც უნდა უყვარდეს. რადგან წმინდა ხადისი ამბობს: „თუკი ვინმეს ჩემი საჰაბეები უყვარს, ეს ჩემი სიყვარულისთვის უყვარს, ხოლო ვისაც საჰაბეები არ უყვარს, მეც არ ვუყვარვარ, ვინც მათ აწყენინებს-მე მაწყენინებს, ხოლო ვინც მე მაწყენინებს-დიდ ალლაჰს აწყენინებს. ალლაჰის გამრისხებელი კი უეჭველია დაიტანჯება.“ ასევე

სხვა ხადისში ვკითხულობთ: „როდესაც ალლაჰს სურს სიკეთით დააჯილდოვოს ვინმე, მაშინ მას საკუთარ სიცოცხლეზე მეტად ჩემს საჰაბეებს შეაყვარებსო." ფეიღამბრის გარდაცვალების დღეს ქალაქ მედინეში 33 ათასი საჰაბე იყო. სულ საჰაბეთა რიცხვი 134 ათასზე მეტი იყო.

## ოთხი მეზჰების[1] იმამები და სხვა ბრძენები

არსებობს რწმენის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. ეს ეჰლ-ი სუნნეთია. არის ეჰლ-ი სუნნეთის ოთხი ბრძენი, იმამი, რომლებიც მუსლიმანებს ასწავლიან ჭეშმარიტ მუსლიმანობას, ჭეშმარიტ გზას, რომელიც მიგვითითა წმინდა ფეიღამბერმა. ესენია:

1. იმამი ებუ ხანიფე: ხანეფი მეზჰების ლიდერი.
2. იმამი შააფი: შააფი მეზჰების ლიდერი.
3. იმამი მაალიქი: მაალიქი მეზჰების ლიდერი.
4. იმამი ხანბელი: ხანბელი მეზჰების ლიდერი.

დღეს ვინც არ მისდევს ამ ოთხ იმამს დიდ საფრთხეში იმყოფება, რადგანაც ფეიღამბრის ჭეშმარიტ გზას ესენი გვასწავლიან. ჩვენ ამ ბრძენთა მიერ დაწერილი ნაშრომები ნამაზის შესახებ ადვილად გასაგები გავხადეთ, გავამარტივეთ და თქვენ გთავაზობთ.

ყურანი ქერიმსა და ხადისებში არის რიგი ისეთი საკითხებისა, რომელთა გაგებაც ყველასათვის ძნელია. ამ და რიგ სხვა საკითხებს ნათლად ეს ოთხი იმამი გვიხსნიან. ოთხივე მეზჰები ჭეშმარიტებას ქადაგებს. მაგრამ მუსლიმანმა უნდა აირჩიოს მათ შორის ერთი და მიჰყვეს მის პრინ-

1. მეზჰები: არჩეული გზა, აქ. გზა, რომელიც წმინდა ფეიღამბრისგანაა [illegible]

ციჰებს. ყურანი ქერიმი ცოდნასა და მცოდნელებს აქებს. მაგალითად ერთ აეთში ვკითხულობთ: **„განა შეიძლება უცოდინარი მცოდნეს შეედაროს?!"** სხვა აეთში ალლაჰი ბრძანებს: „მუსლიმანებო, შეისწავლეთ მცოდნელთაგან ის, რაც არ იცით!" სხვადასხვა ხადისებში ნაბრძანებია: „ალლაჰი და ანგელოზები ადამიანებისათვის სიკეთის მასწავლებლებს ლოცავენ. წარღვნის დღესაც გადარჩებიან ჯერ ფეიღამბერები, შემდეგ სწავლულები და შემდეგ შეჰიდები[1]. ეი, ადამიანებო იცოდეთ რომ ცოდნა ბრძენთა მოსმენით შეიძინება. ისწავლეთ, რადგანაც ცოდნა ღვთისმსახურების ტოლფასია, მცოდნეებს ჯიჰადის[2] მადლი მიეწერებათ. სწავლა ქველმოქმედების (სადაყის გაცემის) გაწევის ტოლფასია, ბრძენისაგან ცოდნის შეძენა ღამის (თეჰეჯჯუდ) ნამაზის ლოცვის მსგავსია. ცოდნა ყველა ნააფილე ნამაზების ლოცვაზე უფრო დიდი მადლია, რადგან ცოდნა სასარგებლოა მსწავლელისთვისაც და მასწავლებლისთვისაც. ბევრ მადლს მოისხავს ის, ვინც სწავლობს იმისათვის, რათა სხვებსაც შეასწავლოს. სიბრძნე საუნჯეა, მისი გასაღები კი შეკითხვა და შესწავლაა. ყველაფერს სათავე აქვს ცოდნის სათავე ბრძენთა გულებია. ისწავლეთ და სხვასაც ასწავლეთ, რადგან ცოდნის გაცემა ცოდვების გამოსყიდვისთვის საკმარისია.

### მეხუთე პირობა

## საიქიოს რწმენა

საიქიოს რწმენა ნიშნავს, რომ მე მწამს იმქვეყნის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის. საიქიოს ცხოვ-

1. შეჰიდი: ღმერთის გზაზე ბრძოლაში თავგანწირული.
2. ჯიჰადი: ღმერთის გზაზე ბრძოლა.

რება ადამიანის სიკვდილის დღეს იწყება. არ არის ცნობილი როდის მოხდება წარღვნა, მაგრამ წმინდა ფეიღამბერმა წარღვნის ზოგი ნიშნები გვაცნობა: მოვა წმინდა მეჰდი, ისა ფეიღამბერი ციდან დამასკოში ჩამოვა, დეჯჯალი გამოჩნდება, ორი არსება იეჯუჯი და მეჯუჯი ყველა ადგილს აურევ-დაურევენ, მზე დასავლეთიდან ამოვა, დიდი მიწისძვრები მოხდება, ხალხს რწმენა დაავიწყდება, ყველგან ბოროტები და ცოდვიანები მომრავლდებიან, არამი საქმე და ლუკმა მომრავლდება, იემენიდან ცეცხლი წამოვა, მთები და ცა დანაწევრდება, მზე და მთვარე დაბნელდება და სხვ.

არსებობს სასაფლაოს დაკითხვა. მათ მუნქერ და ნექირ ანგელოზები იძლევიან. შემდეგი სიტყვები უნდა დავიზეპიროთ და ბავშვებსაც უნდა დავაზეპირებინოთ:(ჩემი ღმერთი ალლაჰია, ფეიღამბერი-წმინდა მუხამმედია, რჯული-ისლამია, წმინდა წიგნი-ყურანი ქერიმია, ყიბლე-ქაღბეა, მეზჰები-ხანეფი მეზჰებია).

წარღვნის დღეს ყველა მკვდრები ხელახლა გაცოცხლდებიან და ერთ ტიალ ადგილზე მოიყრიან თავს. ამ ადგილს „მახშერი“ ჰქვია. მადლიანებს ცოდვა-მადლის რვეულს მარჯვნიდან, ცოდვიანებს, ცუდ ადამიანებს კი-მარცხნიდან მისცემენ. ამის შემდეგ ცოდვა-მადლის ასაწონად სასწორს დადგამენ და ალლაჰის ბრძანებით ჯოჯოხეთზე ბეწვის (სირათის) ხიდს გადგმენ. ამ ხიდზე ყველა გაივლიან, ვინც სამოთხის ღირსი არ იქნება ხიდზე გადასვლას ვერ შესძლებს და ჯოჯოხეთში ჩავარდება.

იმქვეყნად ჩვენი ფეიღამბრის წყლის აუზი არსებობს. ამ აუზს „ქევსერი“ ჰქვია. ვინც ამქვეყნად ფეიღამბრის გზით იარა, წარღვნის დღეს იმ

აუზიდან წყლის დალევის უფლებას მიიღებს. ვინც იქიდან ერთხელ წყალს დალევს, არასოდეს წყალი აღარ მოსწყურდება.

იმ მუსლიმანების ჯოჯოხეთიდან გადარჩენისათვის, ვინც ცოდვები ჩაიდინა და მონანიების გარეშე გარდაიცვალა, ფეიღამბერები, ანგელოზები, ევლიები, ბრძენები (აალიმები), შეჰიდები ალლაჰს შეევედრებიან და ვისაც ალლაჰი ნებას დართავს, იმისი დიდი თუ პატარა ცოდვები მიტევებული იქნება.

არსებობს სამოთხე და ჯოჯოხეთი. სამოთხეს რვა კარი აქვს, ყოველ მათგანს სამოთხეში მივყავვართ. ჯოჯოხეთს შვიდი ქვესკნელი აქვს და პირველიდან მეშვიდემდე ტანჯვა-წამება უფროდა უფრო მატულობს.

მეექვსე პირობა

## ბედისწერის რწმენა

ბედისწერის რწმენა ნიშნავს, რომ მე მწამს ალლაჰის მიერ განსაზღვრული ბედისწერის, ხერისა (კარგის) და შერის (ცუდის) ალლაჰის მიერობის. ადამიანების თავს მოვლენილი ყველა სიკეთე თუ ბოროტება, მადლი თუ ცოდვა, მხოლოდ დიდი ალლაჰის ნება-სურვილით ხორციელდება.

დიდმა ალლაჰმა ადამიანებს ჭკუა-გონება მისცა და ამქვეყნად თავისუფალი ცხოვრებით დააჯილდოვა. ადამიანი რაიმე საქმის გაკეთებას როცა დააპირებს, ალლაჰი იმ საქმეს გააჩენს, არა აქვს მნიშვნელობა ეს საქმე ალალი იქნება თუ არამი, კაგი თუ ცუდი. მაგ. როცა ადამიანი დააპირებს გავლას, ალლაჰი მას მისცემს გავლის უნარს, როცა დააპირებს მოპარვას, ალლაჰი მას

ამის უნარსაც მისცემს, ვინაიდან ადამიანი ამქვეყნად თავისუფალია. მაგრამ ალლაჰს ადამიანის ცუდი საქმეები არ მოსწონდება და იმქვეყნად დასჯის. ადამიანი ამქვეყნად თავისუფალი რომ არ ყოფილიყო, მაშინ იმქვეყნად ანგარიშსწორებას რა აზრი ექნებოდა?!

ადამიანების გაჩენამდე ალლაჰმა მათი სულები გააჩინა და ბედისწერაც განსაზღვრა. როცა ვამბობთ, რომ ბედისწერა ალლაჰის მხრიდან განსაზღვრულიაო, ეს იმას კი არ ნიშნავს რომ ჩვენ ამქვეყნად თავისუფლნი არ ვართ, არამედ იმას, რომ ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე რაც უნდა გვეკეთებინა, ეს ყველაფერი ალლაჰმა ჩვენს დაბადებამდე იცოდა. მან ხომ ყველაფერი იცის.

ადამიანს ალლაჰმა ჭკუა და გონება იმიტომ მისცა რომ თავისი მომავალი თვითონვე განსაზღვროს და გაანალიზოს, აწონ-დაწონოს ყველაფერი და იფიქროს გადადგმული ნაბიჯის შედეგზე. მიენდოს ალლაჰს და იცხოვროს ბედნიერად. ყურანი ქერიმში ალლაჰი ასე ბრძანებს: „ვინც ალლაჰს მიენდობა, ის ალლაჰს უყვარს." „ვინც ალლაჰს მიენდობა, მისთვის ალლაჰი ყველაფრისათვის საკმარისია."

წმინდა ფეიღამბერი კი ასე ბრძანებს: „მე მორწმუნეთა ერთი ჯგუფი მიჩვენეს. მთები და ველები გაევსო მათ სიმრავლეს. გამიკვირდა და გამიხარდა. გაგიხარდაო? - შემეკითხნენ. - დიახ, გამიხარდა. ამათგან სამოთხეში მხოლოდ 70 ათასი დაკითხვის გარეშე შევაო. რომლები შევლენ-მეთქი, ვკითხე. „ვინც თავის ცხოვრებაში შელოცვას, ჯადოს, მარჩიელებს არ ურევს და მთელი არსებით მხოლოდ ალლაჰს ენდობაო."- მიპასუხეს.

# მეორე ნაწილი

## ღვთისმსახურება და ნამაზი

**რა არის ღვთისმსახურება?**

ღვთისმსახურება ანუ ღიბაადეთი ალლაჰის ბრძანებების შესრულება და აკრძალვებისაგან თავის მორიდებაა. გარდა ამისა ფეიღამბერებზე, ევლიებსა და სწავლულებზე მიბაძვაა.

ალლაჰმა ადამიანებს უთვალავი წყალობა (ნიღმეთი) და სიკეთე უბოძა. ამიტომ შეძლებისდაგვარად ალლაჰის დიდება ადამიანთა წმინდა მოვალეობაა. მაგრამ ადამიანები თავიანთი ნაკლოვანებებით ვერ იპოვიან საჭირო სიტყვებს ალლაჰის სადიდებლად. ზოგჯერ კარგს ვამბობთო ეგონებათ და სინამდვილეში ცუდი აღმოჩნდება. ალლაჰის სადიდებლად გაკეთებული სასიკეთო საქმეები და მოვალეობანი წმინდა ფეიღამბერის საშუალებით ალლაჰმა ადამიანებს აცნობა. ალლაჰის ნაბრძანებ ამ მოვალეობებს ისლამი ეწოდება. ფეიღამბერის გზის მიყოლა ალლაჰის დიდებას ნიშნავს, ხოლო ამ გზას ამცდარ არც ერთ ღვთისმსახურებას ალლაჰი არ მიიღებს, რადგანაც ადამიანების მოწონებულ ბევრ რამეს ისლამი ჰკიცხავს და იწუნებს.

აქედან ვხედავთ, რომ ვისაც ჭკუა აქვს ალლაჰისა და ფეიღამბრის გზიდან არ გადაუხვევს და ისე ადიდებს დიდ ალლაჰს.

ვინც მუხამმედ ფეიღამბერის შესაბამისად ცხოვრობს, მუსლიმანიც იმას ეწოდება. ღვთისმსახურებაც ალლაჰის მადლიერებასა და ფეიღამბერის შესაბამისად ცხოვრებას ეწოდება. ისლამი ორი

ნაწილისაგან შესდგება:

1. რისი რწმენაც გულით არის საჭირო.

2. რისი გაკეთებაც თან გულითა და თან სხეულით არის საჭირო.

სხეულით შესრულებულ ღვთისმსახურებებს შორის ყველაზე საუკეთესო არის ნამაზი. ნამდვილმა მუსლიმანმა დღეში ხუთჯერ ნამაზი უნდა ილოცოს.

## ვის ეწოდება რჯულში ვალდებული?

მოწიფულობის ასაკს მიღწეულ, ჭკვიან ქალებსა და მამაკაცებს რჯულში ვალდებული (მუქელლეფი) ეწოდებათ. ასეთი ადამიანი ჯერ ვალდებულია რწმენა მიიღოს, შემდეგ კი ღვთისმსახურება შეასრულოს. გარდა ამისა არამ საქმეებს თავი უნდა მოარიდოს.

ჭკუა აღიქვამს და არჩევს ერთმანეთისაგან კარგსა და ცუდს. ჭკუა ზომავს ორი კარგი რამისაგან უფრო კარგსა და ორი ცუდი რამისაგან უფრო ცუდს. ჭკვიანი ადამიანი კარგისა და ცუდის განსხვავებით კი არ კმაყოფილდება, არამედ კარგს ღებულობს და ცუდს კი უარყოფს. ჭკუა თვალს ჰგავს, ისლამი კი სინათლეს. თუ სინათლე არ იქნება, თვალი ვერ დაინახავს.

მოწიფულობის ასაკი გარდამავალი პერიოდის დასასრულს ნიშნავს. ბიჭებისათვის ეს პერიოდი 12 წლის შემდეგ იწყება. არსებობს ზოგი ნიშნები რითაც მოწიფულობა დადგინდება. ეს ნიშნები რომც არ გამოჩნდეს 15 წლის ბიჭი უკვე მოწიფულად ითვლება.

გოგონების გარდამავალი პერიოდი კი 9 წლის მერე იწყება. გოგონებიც ასევე, მოწიფულობის

ნიშნები რომც არ ჰქონდეთ 15 წლის მერე მოწიფულად ითვლებიან.

## ეფდალი მუქელლეფინი

ეფდაალი მუქელლეფინი ეწოდება იმ საქმეებს, რომელთა შევრულებისთვისაცვალდებულია ყველა მუსლიმანი. ეფდალი მუქელლეფინი რვაა:

1. **ფარძი**: ალლაჰის ნაბრძანები, რომლის შესრულებაც აუცილებელია. შეუსრულებლობის შემთხვევაში ადამიანს პასუხი მოეთხოვება. ფარძი ორნაირია:

1. ფარძი ღაინი.
2. ფარძი ქიფაე.

**ფარძი ღაინი:** ყველა მოწიფული მუსლიმანის მიერ აუცილებლად შესასრულებელი ბრძანებაა. მაგ. ხუთი დროის ნამაზის ლოცვა, მარხვა, ჰაჯობა, და სხვ. ვინც ფარძს უარჰყოფს, ურწმუნო გახდება.

**ფარძი ქიფაე:** ამ შემთხვევაში ზოგი მუსლიმანის შესრულებული ღიბაადეთით დანარჩენები თავისუფლდებიან. მაგ. მკვდრისთვის ლოცვის შესრულება *(ჯენაზე ნამაზი)*. თუ ერთ ადგილზე მიცვალებულზე ნამაზის ლოცვა საჭიროებს, ყველა მუსლიმანის ვალია რომ ილოცოს. მაგრამ თუ ზოგი მათგანი ილოცავენ, დანარჩენებზე ფარძი აღარ იქნება.

2. **ვააჯიბი** *(საჭირო)*: ვააჯიბი ისეთი საქმეა, რომლის შესრულება საჭიროა, შეუსრულებლობა კი აკრძალულია. მაგ: ვითირ ნამაზის ლოცვა, ბაირამ ნამაზის ლოცვა, ყურბანის დაკვლა, ფითრის გაცემა და სხვ. ვააჯიბი ფარძთან ახლოს დგას.

**3. სუნნეთი:** მუხამმედ ფეიღამბრის მიერ შესრულებული, ნათქვამი და ის საქმეები, რომლებიც ჩვენთვის არ აუკრძალავს. სუნნეთი სამი სახისაა:

ა) სუნნეთი მუექქედე·
ბ) სუნნეთი ღაირი მუექქედე·
გ) სუნნეთი ქიფაიე.

**ა) სუნნეთი მუექქედე** *(უწყვეტი სუნნეთი)*: ფარძისა და ვააჯიბის გარდა ჩვენი ფეიღამბრის მიერ თითქმის ყოველთვის შესრულებული, სულ მცირე შემთხვევებში შეუსრულებელი საქმეებია. მაგ. დილის ნამაზის ორი მუხლი სუნნეთი, შუადღის ნამაზის სუნნეთები და სხვ.

**ბ) სუნნეთი ღეირი მუექქედე** *(წყვეტილი სუნნეთი)*: ჩვენი ფეიღამბრის მიერ ზოგჯერ შესრულებული, ზოგჯერ შეუსრულებელი საქმეებია. მაგ. იქინდი ნამაზის სუნნეთი, ღამის (იათსი) ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთი და სხვ.

**გ) სუნნეთი ქიფაე** *(საკმარისი სუნნეთი)*: მისალმება, ეზანის კითხვა, ნამაზის ლოცვისას ყამეთი სუნნეთ-ი ქიფაეა. მაგ. რამდენიმე კაციდან ერთი რომელიმეს მისალმება საკმარისია. ყველა მათგანის ცალკ-ცალკე მისალმება საჭირო არაა.

**4. მუსთეხაბი:** მუხამმედ ფეიღამბრის მიერ ზოგჯერ გაკეთებული და ზოგჯერ გაუკეთებელი კარგი საქმეებია. სავალდებულო (ფარძი) მარხვის გარდა მარხვა, სადაყის გაცემა, ფარძი, ვააჯიბი და სუნნეთი ნამაზების გარდა ნააფილე ნამაზების ლოცვა. ამის შემსრულებელნი მადლს მოიგებენ და განკითხვის დღეს ფეიღამბრისაგან დახმარებას (შეფააღეთს) მიიღებენ. არშემსრულებლები პასუხს არ აგებენ.

**5. მუბახი:** ადამიანის სურვილისამებრ გასაკეთებელი საქმეები. მაგ. ალალი ჭამა-სმა, შემოსვა, სხვადასხვა ქონების მფლობელობა, დაჯდომა, ადგომა და სხვ.

**6. არამი:** *(არამი, აკრძალული).* გამჩენი ალლაჰის მიერ სასტიკად აკრძალული საქმეებია. ვინც არამ საქმეებს სჩადის, ამქვეყნად განსჯილი იქ-ნება, ჯოჯოხეთში კი-საშინელ ტანჯვა-წამებაში ჩავარდება. ალკოჰოლური სასმელების მიღება, ქურდობა, უზნეო საქციელი, ყომარის თამაში, პროცენტის აღება და მიცემა, მშობლების დაუფასებლობა, ტყუილის თქმა და სხვ. არამია. ვინც არამს უარჰყოფს, ურწმუნო (ქააფირი) გახდება.

**7. მექრუჰი:** მექრუჰი მოუწონარი საქმეა, რომელიც მუსლიმანს მადლს შეუმცირებს. მექრუჰი ორად იყოფა:

ა) თახრიმენ მექრუჰი.

ბ) თენზიხენ მექრუჰი.

**ა) თახრიმენ მექრუჰი:** რომელიმე ვააჯიბი საქმის მიტოვება. თახრიმენ მექრუჰი არამთან ახლოსაა.

**ბ) თენზიხენ მექრუჰი:** რომელიმე სუნნეთი საქმის მიტოვებაა. თენზიხენ მექრუჰი ალალთან ახლოსაა.

თახრიმენ მექრუჰის შემთხვევაში, ვინც ამ საქმეს განგებ გააკეთებს, ცოდვიანი გახდება და იმქვეყნად დაისჯება. მაგ. მზის ამოსვლისას ან ჩასვლისას ნამაზის ლოცვა. ვინც თახრიმენ მექრუჰს უარჰყოფს ურწმუნო არ გახდება.

თენზიხენ მექრუჰის შემთხვევაში კი, ასეთი საქმის გამკეთებელი იმქვეყნად არ დაისჯება, მაგრამ სამარცხვინო საქმეს ჩაიდენს და ფეიღამბრის დახმარებას ვერ მიიღებს. მაგ. მარჯვენა

ხელით ცხვირის მოწმენდა.

**8. მუფსიდი:** დაწყებული რომელიმე ღიბაადეთის (ღვთისმსახურების) შეწყვეტა. მაგ. ნამაზის ლოცვისას დალაპარაკება, მარხვისას შეგნებულად ჭამა-სმა და სხვ.

## ისლამის პირობები

ისლამის პირობა ხუთია. ისლამის მიმდევარს მუსლიმანი ჰქვია. ყველა მუსლიმანს ევალება ამ ხუთი პირობის შესრულება:

1. ისლამის უპირველესი პირობა **ქელიმე-ი შეჰადეთია.** ეს კი ნიშნავს წარმოვთქვათ და გულით ვირწმუნოთ სიტყვები: „ეშჰედუ ენ ლაა ილლაჰე ილლელლააჰ ვე ეშჰედუ ენნე მუხამმედენ ღაბდუჰუუ ვე რესუულუჰ." *(მე მწამს ერთადერთი ალლაჰისა და მწამს რომ მუხამმედი ალლაჰის ყული და ფეიღამბერია).* დედამიწაზე და ცაში არსად გარდა ალლაჰისა არ არსებობს ლოცვისა და თაყვანისცემის ღირსი ვინმე. ერთადერთი და ჭეშმარიტი ალლაჰი მხოლოდ ალლაჰია. იგი ყოველთვის ცოცხლობს და ყველა უპირატესობას ფლობს, არ აქვს არანაირი ნაკლი. წმინდა მუხამმედი მისი ფეიღამბერია.

2. ისლამის ხუთი პირობიდან მეორე **დღეში ხუთჯერ განსაზღვრულ დროში ნამაზის ლოცვაა.** საჭიროა ყველა მუსულმანმა იცოდეს, რომ დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა ფარძია. ნამაზის დროს უნდა გვახსოვდეს შესაბამისი ფარძი, ვააჯიბი, სუნნეთი და გული ალლაჰს მივაბაროთ. ყურანი ქერიმში ნამაზს **„სალათი"** ეწოდება, რაც ადამიანების ვედრებას, ანგელოზების მონანიებას და ალლაჰის წყალობას, მიტევებას ნიშნავს. ისლამის

მიხედვით კი-სარჯულო წიგნებში მითითებული მსვლელობების შესრულებით ლოცვას ნიშნავს.

3. ისლამის ხუთი პირობიდან მესამე **ზექათის გაცემაა.** სიტყვა-სიტყვით ზექათი ქებას, სილამაზეს, სისუფთავესა და კარგად ყოფნას ნიშნავს, ისლამის მიხედვით კი აუცილებელზე მეტი ქონების 1/40 ნაწილის გადახდას ნიშნავს. არსებობს ზექათის ქონების ოთხი ფორმა: ოქროსა და ვერცხლის ზექათი, მოგებული ვაჭრობიდან ზექათი, მსხვილფეხა საქონელიდან ზექათი და მიწათმოქმედების პროდუქტებიდან ზექათი. ამ მეოთხე ზექათს **„ოშური"** ეწოდება.

4. ისლამის ხუთი პირობიდან მეოთხე **წმინდა რამაზანის თვეში ყოველდღიური მარხვის დაცვაა.** ისლამის მიხედვით მარხვა, ალლაჰის ბრძანებისამებრ ყოველდღე საკუთარი თავის სამი რამისაგან დაცვას ნიშნავს. ეს სამი რამე ჭამა, სმა და სქესობრივი კავშირია.

5. ისლამის ხუთი პირობიდან მეხუთე, თუ ძალა შეგწევთ ცხოვრებაში ერთხელ **ჰაჯობაზე წასვლაა.** იმ პირობებით, რომ მგზავრობა იქნება სანდო და უხიფათო და თქვენს უკან დაბრუნებამდე თქვენს ოჯახობას არც რამე დააკლდება და არც რამე დაუშავდება, სიცოცხლეში ერთხელ არაბეთში, მექქაში წასვლა მუსლიმანისთვის ფარძია.

# მ ე ს ა მ ე   ნ ა წ ი ლ ი

## ნამაზის ლოცვა

ჩვენს რელიგიაში რწმენის შემდეგ ნამაზი ყველაზე მნიშვნელოვანია. ნამაზი რელიგიის დასა-

ურდენია, ისლამის მეორე პირობაა და საუკეთესო ღვთისმსახურებაა. მას არაბულად სალათ ეწოდება და ლოცვას, პატიებასა და შეწყალებას ნიშნავს.

ნამაზის ლოცვა ალლაჰის ყველაზე მოწონებული ღიბადეთია. მუსლიმანობის მიღების შემდეგ მეორე ბრძანებაა. პირველი ფარძიც ნამაზია. წარღვნის დღესაც რწმენის მერე მეორე შეკითხვა ნამაზის შესახებ იქნება. ვინც ნამაზის გამოცდას გაივლის სამარადისო ბედნიერებას მოიპოვებს. ჯოჯოხეთის ტანჯვისაგან გადარჩენა და სამოთხეში მოხვედრაც ნამაზზეა დამოკიდებული. სწორი ნამაზისთვის ჯერ სრული აბდესის[1] აღებაა საჭირო.

ნამაზი ყველა ღვთისმსახურებას მოიცავს და ადამიანებს ალლაჰთან აახლოებს. წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ნამაზი რელიგიის დასაყრდენია. მისი დამცავი რელიგიას აძლიერებს და მისი უარმყოფი რელიგიას ასუსტებსო." ნამაზის მლოცველი ცუდი და ბოროტი საქმის კეთებისგანაც დაცულია. ყურანი ქერიმში ალლაჰი ასე ბრძანებს: „სწორი ნამაზი ადამიანებს ბინძური, მდაბალი და ბოროტი საქმისაგან იცავს."

ნამაზი, რომელიც ადამიანს ბოროტებისაგან ვერ იცავს, მოჩვენებითი ნამაზია და სწორი არ არის. ჩვენ ნამაზის სწორად ლოცვას უნდა ვცდილობდეთ, რადგან ბრძენთ უთქვამთ, თუ ყველაფერს ვერ ვფლობთ, მცირედიც არ უნდა დავკარგოთო. არასწორი ნამაზის ლოცვას, სულაც ნუ ილოცავთო, ამას ალლაჰი არასოდეს გეტყვით. პირიქით უფრო სწორად და კარგად ილოცე, თუ

1. აბდესი: ხელების დაბანა მკლავების ჩათვლით, პირისახის დაბანა, თავის 1/4 ნაწილზე სველი ხელის მოსმა (მესჰი) და ფეხების დაბანა კოჭების ჩათვლით.

ილოცავო-გეტყვით. ეს პატარა ნიუანსი კარგად უნდა გავიაზროთ. ნამაზი ჯგუფურად ილოცეთ, ასე უფრო დიდი მადლის მომტანია. ნამაზის დროს გულები რიდითა და ალლაჰის სიყვარულით სავსე უნდა გქონდეთ. რადგანაც ადამიანის საიქიოს ტანჯვისაგან გადამრჩენი საშუალება ნამაზია. ალლაჰი ასე ბრძანებს: „**მუსლიმანები ტანჯვას გადაურჩებიან, რადგან ისინი ნამაზს რიდითა და მორჩილე-ბით ასრულებენ.**“

საფრთხით სავსე ადგილებში ნამაზის ლოცვა კიდევ უფრო მადლია. ბრძოლის დროს ჯარისკაცის სულ მცირე ნამაზსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახალგაზრდების ნამაზის ლოცვა ღირებულია, რადგან ისინი მრავალი ცდუნების დაძლევის ფასად ნამაზს ასრულებენ.

ახალგაზრდების ნამაზს სამი მტერი ჰყავთ: ეშმაკი, ცუდი სურვილები და ცუდი ამხანაგი. ამათგან ყველაზე საშიში ცუდი ამხანაგია. თუ ახალგაზრდა მათ არ აჰყვება და ილოცავს, მისი ფასიც უფრო აიწევს. ხანდაზმულ ადამიანზე უფრო მეტ მადლს მოისხამს და ამ მადლის საპასუხო ჯილდოც გაცილებით დიდი იქნება.

## ვისთვისაა ნამაზი ფარძი?

მოწიფული და ჭკუის მქონე ყველა მუსლიმანისათვის ნამაზი ფარძია. ამას სამი პირობა აქვს:

1. მუსლიმანობა.
2. ჭკუა-გონება.
3. მოწიფულობა.

ჩვენი რელიგიის მიხედვით გიჟისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ნამაზი ფარძი არ არის, მაგრამ დედ-მამამ ბავშვს ლოცვები პატარაობი-

დანვე უნდა დაასწავლოს და შეაჩვიოს. წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ყველანი მწყემსის მსგავსნი ხართ და როგორც მწყემსი იცავს თავის ფარას, თქვენც თქვენი ახლობლები ჯოჯოხეთისგან უნდა დაიცვათ, მათ მუსლიმანობა უნდა შეასწავლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდვას მიიმატებთო." ხოლო სხვა ხადისში ბრძანა: „ამქვეყნად ყველა ბავშვი მუსლიმანად ჩნდება, მათ შემდეგ დედ-მამა ებრაელად, ქრისტიანად ან ურწმუნოდ აქცევს ხოლმე."

მაშასადამე, ყველა მშობლის უპირველესი მოვალეობაა ბავშვს ყურანი ქერიმის კითხვა, ნამაზის ლოცვა და სწორი მუსლიმანობა შეასწავლოს. ეს მოვალეობა უნდა შეასრულოს ყველა მშობელმა, ვისაც სურს, რომ სააქაშიც და საიქიოშიც მოსვენებული იყოს. ამბობენ: „ხე ნერგობისას მოიღუნებაო." თუ გაზრდილს მოღუნვას დავუპირებთ გატყდება და დაზიანდება.

ბავშვი, რომელსაც შეთვისებული არ აქვს ისლამური სიბრძნე ცუდ ამხანაგებს იოლად აჰყვება და იოლად მოტყუვდება, აქედან გამომდინარე კი, დედ-მამისათვის, თავისი ქვეყნისათვის და ხალხისათვის მავნებელი გახდება.

## ნამაზის მლოცველთა მდგომარეობანი

### ციხიდან დამხსნელი ნამაზი

(ლეგენდა)

ჰორასნის ვალი აბდულლაჰ ბინ თაჰირი ძალიან მკაცრი იყო. ჟანდარმამ რამდენიმე ქურდი დააკავა, ამათგან ერთი გაიქცა. რამდენიმე დროის შემდეგ ჟანდარმამ ერთი მეფოლადე დააკავა და ვალის წარუდგინა. „ციხეში ჩასვითო"-ბრძანა

ვალიმ. მეფოლადემ საკანში ნამაზი ილოცა და ალლაჰს შევედრა: „ო, დიდებულო ღმერთო! დამიხსენი ამ ტანჯვისაგან, რადგან შენ ერთადერთმა იცი, რომ მე უცოდველი ვარ, გემუდარები გადამარჩინეო.“ ამ დროს ვალიმ სიზმარში ნახა, თითქოს ოთხმა კაცმა მისი ტახტი თავდაყირა გადმოაბრუნა. გამოეღვიძა, ნამაზი ილოცა და ისევ დაიძინა. ისევ იგივე სიზმარი ესიზმრა და მიხვდა, რომ ვიღაც უდანაშაულოს ცოდვა ჰქონდა. ლექსიც ხომ ასე ამბობდა:

„ათასობით იარაღი ვერ გააკეთებს იმას
რასაც გამთენიისას დაღვრილი ცრემლი.
ათას რკინასა და საკანს მტვრად აქცევს
მუსლიმანის გულიანი ლოცვა.“

ო, ღმერთო შენ ერთადერთი და ისეთი დიდებული ხარ, რომ დიდი თუ პატარა გაჭირვებისას მხოლოდ შენ ერთადერთს გევედრება და მხოლოდ შენი მავედრებელი მიაღწევს საწადელს.

ვალიმ მაშინვე ციხის უფროსს დაუძახა და ჰკითხა: „ვინმე უდანაშაულო ხომ არ არისო“. ციხის უფროსმა უპასუხა: „მე ეს არ ვიცი, მაგრამ ერთი ტუსაღი ნამაზს ლოცულობს, ბევრს ევედრება ალლაჰს და გაუთავებლად ტირისო“. დააძახებინა ტუსაღისთვის, გამოჰკითხა, უდანაშაულობა შეიტყო და გაათავისუფლა, თანაც უთხრა. „ბოდიში მომიხდია, ეს ათასი ვერცხლიც ჩემგან საჩუქრად აიღე და თუ რაიმე დაგჭირდეს მოდი და მთხოვეო.“ მაშინ მეფოლადემ უპასუხა: „მიპატიებია, ამ საჩუქარსაც მადლიერებით ვღებულობ, მაგრამ რაიმეს სათხოვნელად შენთან ვერ მოვალო.“ -რატომო? ჰკითხა ვალიმ. -რადგანაც შენი ტახტის გადმომყირავებელ ჩემს ალლაჰს განვუდგე და სხვას შევთხოვო მე არ შემეფერებაო. მე

ნამაზის ლოცვის მერე სიმშვიდე მოვიპოვე და როდესაც ალლაჰმა მოწყალებისა და მადლის თვალით გადმომხედა, ახლა სხვა ვისმეს რაიმე როგორ შევევედროო? განა არის ვინმე, ვინც შესთხოვა და ვერ მიიღო? თუ თხოვნა არ იცი, მაშინ ვერ მიიღებ. რიდი უნდა გაგაჩნდეს, რომ სიმშვიდე მოიპოვო. ლექსსაც მოუსმინე, რას ამბობს:

„ვინც ლოცვითა და რიდით თავისი თავი
ღმერთს წარუდგინა,
მოწყალების და მიტევების კარებიც
მისთვის გაიხსნება."

დიდი ევლიებიდან რაბიე ადვიემ ერთი კაცის ასეთი ლოცვა გაიგონა: „ღმერთო მოწყალების კარი გამიღეო" და უთხრა: „ეი, უგნურო დღევანდლამდე განა ალლაჰის მოწყალების კარი დახშული იყო, მაგას რომ ამბობო?"

გულის კარების გახსნისა და გასუფთავებისათვის უნდა ვილოცოთ

ღმერთო, ყველას დარდისაგან დამხსნელი მხოლოდ შენ ხარ! ნუ გაგვიმეტებ საიქიოს ტანჯვისათვის! ყველა გაჭირებულის დამხმარე მხოლოდ შენ ხარ. გთხოვ ამქვეყნად და საიქიოში ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო რამეები გამოგვზავნე. ამქვეყნად და საიქიოში არავისზე დამოკიდებული არ გაგვხადო, ეი დიდო ღმერთო. აამინ.

## სახლი დასწვოდა
(ლეგენდა)

ევლია სამიდ თავილი ერთხელ ნამაზს ლოცულობდა. მის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ხალხი მოცვივდა და ცეცხლი ჩააქრო. ევლიას ცოლი გაუბრაზდა: სახლი იწვება ხალხი ცეცხლს აქრობს,

ათასი საქმეა, შენ კი თითსაც არ ანძრევო. ევლიამ უპასუხა: ალლაჰის სახელით ვამბობ, რომ არაფერი არ გამიგიაო.“ აი, ამდენად ჩაღრმავებოდა იგი ალლაჰს და ცდილობდა მასთან მიახლოებას. ამ მცდელობაში საკუთარი თავიც კი დაჰვიწყებოდა.

## წყალი ქვაბში
(ლეგენდა)

ესხაბი ქირამიდან აბდულლაჰ ბინ შეჰირი ჰყვება: „დიდებული ფეიღამბრის გვერდით ნამაზს ვლოცულობდი, მისი მკერდიდან ადუღებული წყლით სავსე ქვაბიდან გამოსული ხმის მსგავსი ხმები ისმოდაო.“

## ისარი ფეხში
(ლეგენდა)

წმინდა ფეიღამბერის რჩეული სიძე ალი, ნამაზის ლოცვის დროს გარე სამყაროს ისე გამოეთიშებოდა ხოლმე, მსოფლიო რომ დანგრეულიყო, ვერც კი მიხვდებოდა.

გადმოცემა ასეთია: ერთ-ერთ ბრძოლაში წმინდა ალის ფეხში ისარი შეესო და ძვალამდე ჩაატანა. ექიმს როცა აჩვენეს, ექიმმა ურჩია ძალიან გეტკინება, ამიტომაც ძლიერი გამაყუჩებელი წამალი უნდა გაგიკეთოო, თორემ ტკივილისაგან გაგიყდებიო. ალიმ უპასუხა: წამალი რა საჭიროა, ცოტაც დაიცადეთ ნამაზის დრო მოვიდეს და მაშინ გამოიღეთო. მართლაც ნამაზის დრო მოვიდა. ექიმმა ალის ფეხი გაუჭრა და ისარი ამოიღო. როდესაც ლოცვა გაათავა, ალი მიუბრუნდა ექიმს

და შეეკითხა: -რა ჰქენით ისარი ამოიღეთ თუ არაო. ამოვიღეთო, უპასუხა ექიმმა. -მე კი არა გამიგია რაო, გაიღიმა წმინდა ალიმ.

ამაში საკვირველი არაფერია. იუსუფ ფეიღამბრის სილამაზეს ეგვიპტელი ქალები ისე მოეხიბლა, რომ ხახვის დაჭრისას ხელის თითები როგორ დაიჭრეს ვერც კი გაიგეს. თუ ალლაჰის სიყვარულმა ადამიანებს საკუთარი თავი დაავიწყა, აქ საკვირველი არაფერი არ არის. ასევე მუსლიმანები სიკვდილის დროს დიდებულ ალლაჰს დაინახავენ და ასე სიკვდილის ტკივილებსაც დაივიწყებენ.

## გულის შემაღონებელი წამალი
(ლეგენდა)

ერთ-ერთ ევლიას-ამირ ქაისის ფეხზე კეთრის ავადმყოფობა დაეწყო. ექიმმა: უნდა მოვჭრაო, ბრძანა. კარგით გემორჩილებით, მოჭერითო, მიუგო ამირმა. და მოჭრეს კიდეც. რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფობა მთელ ფეხს მოედო. ამისათვის ქირურგიაო საჭირო, თქვეს და დაამატეს: ძლიერი გამაყუჩებელი წამალიც მოიტანეთ, თორემ მოჭრისას ტკივილისაგან ავადმყოფი გაგიჟდებაო. ამაზე ამირმა უპასუხა: -რა საჭიროა წამალი, მოიყვაეთ ვინმე ვინც ყურანი ქერიმს კარგად კითხულობსო. მართლაც ასეთი კაცი მოიყვანეს და ქირურგმაც თავისი საქმე დაიწყო. ფეხი მოჭრა, გაკერა, გაასუფთავა და შეუხვია. როდესაც ყურანი ქერიმის კითხვა დამთავრდა ამირმა იკითხა: -რა ქენით, მომჭერით ფეხიო? და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო მოჭრილი ფეხი ხელში დაიჭირა და ალლაჰს ასე მიმართა: „ო, ღმერთო ამ ფეხის მომცემი შენ ხარ, მე შენი მონა

ვარ. ყველა უფლება შენია. და როდესაც წარღვნის დღეს შენ მემეკითხები: -შენ არც ერთ ცოდვაში ფეხი არ ჩაგიდგამსო?“ მე გიპასუხებ: -ო, ღმერთო! მე არც ერთ ცოდვაში ფეხი არ ჩამიდგამს-მეთქი.

## თავგანწირვა ნამაზისათვის
(ლეგენდა)

მანამ, სანამ ბურსა ოსმალების ხელში გადავიდოდა, ქალაქში მცხოვრები ერთი ბერძენი მალულად მუსლიმანი გამხდარა. მისი ახლო მეგობარი ბერძენს გამუსლიმანების საბაბი შეეკითხა.

-დედ-მამის რჯული ასე მალე როგორ გასცვალეო? ამაზე ბერძენმა მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა: -ტყვედჩავარდნილი მუსლიმანებიდან ერთ-ერთი მცირე ხანს ჩემს გვერდით იყო დატოვებული. ვხედავ, რომ ეს ტყვე ჩაკეტილ ადგილას წელში იხრება და იმართება, იხრება და იმართება. რას აკეთებ-მეთქი შევეკითხე. ტყვემ სახეზე ხელები გადაისვა და მითხრა: -ნამაზს ვიცავ და თუ ნებას მომცემ ყოველი ნამაზისათვის ერთ ოქროს გაჩუქებო. მეც სიხარბემ მძლია და დავთანხმდი. მერე და მერე ფასი ავუწიე და ერთი ნამაზის საფასურად ათ ოქროს ვიღებდი. ტყვე ამაზეც თანახმა იყო. ნამაზისათვის ტყვეს თავგანწირვა ძალიან მაკვირვებდა და როდესაც შენ გათავისუფლებ-მეთქი ვუთხარი, ტყვეს ძალიან გაუხარდა და ასე დამლოცა:

„ეი, ღმერთო! ეს ადამიანი შენი რწმენით დააჯილდოვეო“. მეც იმ დროს მუსლიმანად გახდომა გავივლე გულში. ეს სურვილი ისე გაძლიერდა რომ მაშინვე ქელიმე-ი შეჰადეთი წარმოვთქვი და მუსლიმანობა მივიღეო.

## ნამაზის სახესხვაობები

მუსლიმანებისათვის ნაბრძანები ნამაზები სამი სახისაა:

1. **ფარძი ნამაზები:** მასში შედის ყოველდღიური ხუთი ნამაზი, პარასკევის ნამაზი და მიცვალებულის ნამაზი.

2. **ვაჯიბი ნამაზები:** მასში შედის ვითრის, ბაირამის, შეპირვებული ნამაზები და დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი ნააფილე ნამაზები.

3. **ნააფილე ნამაზები:** მასში შედის ხუთი დროის ნამაზის სუნნეთები, თერავის ნამაზები და მადლის მომრავლების მიზნით შესრულებული თეჰეჯჯუდის, იშრაყის, დუჰას, ევვაბინისა და ისთიხარე ნამაზები. ნაფილე ნამაზის ლოცვა ფარძი არ არის. ვაჯიბი და ფარძი ნამაზებიდან დავალიანების არ მქონე თუ ნააფილე ნამაზს შეასრულებს, მადლად ჩაეთვლება.

## ხუთი დროის ნამაზი

ნამაზის ლოცვა ალლაჰის ბრძანებაა. ყურანი ქერიმში ალლაჰი ასზე მეტ ადგილას ბრძანებს: „ნამაზი ილოცეთ!“ მოწიფული და გონებრივად სრულფასოვანი ყველა მუსლიმანისათვის ყურანი ქერიმსა და ხადისებში ნამაზის ლოცვა ნაბრძანებია.

ყურანი ქერიმში ასეა ნაბრძანები: „ადიდეთ, ახსენეთ ალლაჰი დილაობით და საღამოობით. ყო-

ველი თაყვანისცემა მხოლოდ ალლაჰისათვისაა განკუთვნილი."[1] „ნამაზები სისტემატიურად ილოცეთ!"[2] ალლაჰის განდიდებაც სწორედ ნამაზის ლოცვას გულისხმობს. „დღეში ხუთჯერ ნალოცი ნამაზის მადლი ცოდვებს სპობს და ეს კეთილი რჩევაა ყველა მუსლიმანისათვის."[3]

მუხამმედ ფეიღამბერმა ბრძანა: „დიდმა ალლაჰმა მუსლიმანებს დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა უბრძანა. დიდი ალლაჰი სრულად აბდესის ამღებს და გულმოდგინედ ნამაზის მლოცველებს შეიწყალებს და ცოდვებს მიუტევებს."

ხუთი დროის ნამაზი ორმოც მუხლს უდრის. აქედან 17 მუხლი ფარძია, 3 მუხლი ვააჯიბი, 20 კი -სუნნეთია.

1. **დილის ნამაზი** ოთხი მუხლია. პირველი ორი მუხლი სუნნეთი, მეორე ორი მუხლი ფარძია. ეს სუნნეთი ძალიან ძლიერია და მას ვააჯიბსაც უწოდებენ.

2. **შუადღის ნამაზი** ათი მუხლია. პირველი ოთხი მუხლი სუნნეთია, მეორე ოთხი მუხლი ფარძი, ფარძის მერე ორი მუხლი სუნნეთია.

3. **იქინდი ნამაზი** რვა მუხლია. პირველი ოთხი მუხლი სუნნეთია, მეორე ოთხი მუხლი ფარძია.

4. **საღამოს ნამაზი** ხუთი მუხლია. პირველი სამი მუხლი ფარძი, მეორი ორი მუხლი სუნნეთია.

5. **ღამის ნამაზი** 13 მუხლია. პირველი ოთხი მუხლი სუნნეთია, მეორე ოთხი მუხლი ფარძი, შემდეგ ორი მუხლი ბოლო სუნნეთია. ამის მერე სამ მუხლ **ვითირ ნამაზს** ვლოცულობთ.

იქინდისა და ღამის პირველ სუნნეთები ღეირი მუექქედ სუნნეთებია. მათი ლოცვისას მეორე მუხ-

1. რუმის სურე, აეთი: 17-18. 2. ბაყარას სურე, აეთი: 239
3. ჰუდის სურე, აეთი: 114

ლზე ქთესიათუს, ალლაჰუმე სალლის, ალლაჰუმმე ბაარიქის ლოცვები (დუები) წაიკითხება. მესამე მუხლზე ფეხზე წამოვდგებით, ბისმილლასა და სუბხანექე-ს წავიკითხავთ.

როდესაც პირველი მუხლი ნამაზი სრულდება, სხვა მუხლები ფეხზე წამოდგომით იწყება და ახლიდან ფეხზე წამოდგომამდე გრძელდება. ბოლო მუხლი მისალმებით მთავრდება. წყვილ მუხლებზე მეორე სეჯდეს მერე დაჯდომა ნებადართულია.

ყველა მუხლის შესაბამისად არსებობს ფარძი, ვააჯიბი, სუნნეთი, მუფსიდი და მექრუჰი. შემდეგ ქვესათაურებში ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით.

## ნამაზის ფარძები

ფარძი არის დიდი ალლაჰის ბრძანება და ჩვენ მისი შესრულება გვაკისრია. ფარძის შეუსრულებლად ღვთისმსახურება სწორად არ ჩაითვლება. ნამაზის შესრულებისას 12 ფარძის შესრულება სავალდებულოა. ამ ფარძებს შორის 6 ნამაზის დაწყებამდე, ხოლო 6 კი ნამაზის ლოცვის პერიოდში სრულდება. ნამაზის დაწყებამდე შესასრულებელ ფარძებს შართი ეწოდება, ნამაზის ლოცვისას შესასრულებლებს -რუქუნი.

### ლოცვის დაწყებამდე შესასრულებელი ფარძები:

1. **ხადესთენ თაჰარეთ:** აბდესის აღებასა და სქესობრივი კავშირის შემდეგ ღუსლის (მთელი ტანის დაბანა) შესრულებას ნიშნავს.

2. **ნეჯასეთთენ თაჰარეთ:** ორგანიზმის, ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გასუფთავებას

ნიშნავს.

**3. სეთრ-ი ავრეთ:** საფარავი (სასირცხვილო) ადგილების დაფარვას ნიშნავს. ნამაზის ლოცვისას მამაკაცებს ჭიპიდან მუხლისთავებამდე, ქალებს კი-პირისახის, ხელებისა და ფეხების გარდა მთლიანი სხეული უნდა ჰქონდეთ დაფარული. ნამაზის ლოცვისას საფარავი ადგილების დაფარვა ფარძია.

**4. ისთიყბალ-ი ყიბლე:** ყიბლეს მიმართულებით (ქაღბესკენ) ლოცვას ნიშნავს. ყიბლე ქაღბეშია, ქაღბე კი-მექქეში.

**5. ნიეთი:** ნამაზის სალოცავად გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს. ნიეთის გულით თქმაა საჭირო. ნიეთს ასე ვამბობთ: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის, მაგალეთად, დღევანდელი დილის ნამაზის ფარძის სალოცავად"

**6. ვაქით:** ნამაზის ლოცვის დროს ნიშნავს. ყველა ნამაზს თავისი დრო გააჩნია. დროის მოსვლამდე ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. მაგ. შუადღემდე უფრო ადრე შუადღის ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. ვინც ილოცავს, არ ჩაეთვლება, დროის მოსვლის შემდეგ ხელახლად უნდა ილოცოს.

**ლოცვისას შესასრულებელი ფარძები:**

**1. იფთითაჰ თექბირი:** პირველ თექბირს ნიშნავს. ნამაზის ლოცვის დასაწყისში ხელებს ყურებამდე ავიტანთ და ასე ვამბობთ: **„ალლააჰუ ექბერ!"**. ნამაზის ლოცვის დასაშყისში „ალლააჰუ ექბერ" თქმა ფარძია.

**2. ყიამ:** ნამაზის ლოცვისას ფეხზე დგომას ნიშნავს. რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე ფარძი ნამაზის ლოცვისას ფეხზე თუ არ დავდგებით, ლოცვა მოიშლება.

**3. ყირაათ:** ნამაზის ლოცვისას ყურანის კითხ-

ვას ნიშნავს. ნამაზის ლოცვისას ყურანიდან აეთების კითხვა აუცილებელია, ფარძია.

**4. რუქუღ:** ნამაზის ლოცვისას წელში მოხრას ნიშნავს. წელში მართი კუთხით მოვიხრებით და ხელებს მუხლებზე დავიწყობთ. მოხრილ მდგომარეობაში სამჯერ **„სუბჰაანერობბიელ ღაზღვიმ"** ვამბობთ. სამჯერ „სუბჰაანერობბიელ ღაზიიმ" თქმის ტოლი დროით წელში მოხრილად ყოფნა ფარძია. რუქუღის შესრულებისას სხეული და სალოცავი ადგილი ერთიმეორის პარალელური უნდა იყოს.

**5. სუჯუდ:** სალოცავ ადგილზე თავის დადებით თაყვანისცემას (სეჯდეს) ნიშნავს. სუჯუდის შესრულებისას შუბლი, ცხვირი, მუხლები და ხელები სალოცავ ადგილს (ძირს) უნდა შეეხოს. ხელის თითები გაშლილი უნდა იყოს. ნამაზის ლოცვისას სუჯუდის (სეჯდე) შესრულება ფარძია.

**6. ყაღდე-ი ახირე:** ნამაზის ლოცვისას ბოლო ჯდომას ნიშნავს. ოთხმუხლიანი ნამაზების ლოცვისას მეორედ ჯდომა, ორმუხლიანი ნამაზების ლოცვისას კი-ერთხელ ჯდომა ფარძია. ლოცვისას **„ეთთეხიიაათუ"**-ს ბოლომდე ჩაკითხვის ტოლი დროით დაჯდომა ფარძია.

ნამაზის დიდი მნიშვნელობა მისი შესასრულებელი პირობების სიმრავლითაც ნათელი ხდება. ამას თუ ვააჯიბებს, სუნნეთებს, მუსთეხაბებს, მუფსიდებსა და მექრუჰებს მიუმატებთ კიდევ ერთხელ ნამაზს მთელი მისი სიდიადით ვიხილავთ. ადამიანები საბრალო, უმწეო და უსუსური არსებები არიან. ყოველი ამოსუნთქვისას თავიანთი გამჩენი ალლაჰის დახმარებას საჭიროებენ. ნამაზი არის ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანებს თავიანთ უმწეობასა და უსუსურობას შეაგრ-

ძნობინებს.

განვიხილოთ ნამაზის ფარძები უფრო დაწვრილებით:

## ლოცვის დაწყებამდე შესასრულებელი ფარძები

### 1. ხადესთენ თაჰარეთ:

ამ ქვეთავში აბდესი, ღუსლი (მთელი სხეულის დაბანა, სხეულის აბდესი) და თეიმუმი (მტვერიანი ხელის მოსმა) განვმარტოთ.

### აბდესის აღება:

აბდესის აღება ნამაზის ფარძებიდან ერთ-ერთია. ყურანი ქერიმის ხელში აღების, სეჯდეს შესრულების და მიცვალებულის ნამაზის ლოცვის წინაც აბდესის აღება ფარძია. ყოველ დროს აბდესიანი ყოფნა, ლოგინში აბდესიანი დაწოლა, აბდესიანი ჭამა და სმა დიდი მადლია.

თუ ადამიანი აბდესიანი გარდაიცვალა, შეჰიდის მადლს მიიღებს. წმინდა ფეიღამბერმა ასე ბრძანა:

-„თუ ადამიანი აბდესიანი გარდაიცვალა სიკვდილის ტკივილებს არ გამოსცდის, რადგან აბდესი მორწმუნეობის მიმანიშნებელია, ნამაზის გასაღები და სხეულის ცოდვებისაგან განმწმენდი საშუალებაა."

-„როდესაც მუსლიმანი აბდესს იღებს მას ცოდვები ყურებიდან, ცხვირიდან, თვალებიდან, ხელებიდან და ფეხებიდან გაშორდება და დაჯდომისასაც ცოდვამიტევებული დაჯდება."

-„ღიბაადეთებს შორის ყველაზე ხეირიანი ნამაზია. მუსლიმანადაც აბდესის სისტემატიურად

ამღები ჩაითვლება. მუსლიმანი დღისითაც და ღამითაც აბდესიანი უნდა იყოს. თუ ასე მოიქცევა ალლაჰის მხრივ დაცული იქნება. საჭმელი და სასმელიც კარგად შეერგება. საჭმელი და სასმელი მის მუცელში ყოფნის განმავლობაში მისთვის ცოდვების მიტევებისათვის ალლაჰს შეევედრებიან.“

არის აბდესის ფარძები, სუნნეთები, წესები, აკრძალვები და მომშლელი ფაქტორები. აბდესის გარეშე შეგნებულად ნამაზის მლოცველი ურწმუნო გახდება. თუ ნამაზის დროს აბდესი დაირღვა, ადამიანმა მაშინვე უნდა შეწყვიტოს ნამაზი. უმალ აბდესი უნდა აიღოს და ნამაზი ხელახლა ილოცოს.

**აბდესის ფარძები:**

აბდესის ფარძი ოთხია:

1. ორივე ხელისა და მკლავის იდაყვების ჩათვლით დაბანა.
2. პირისახის დაბანა.
3. თავის ერთ მეოთხედი ნაწილის მესჰი (სველი ხელით შეხება).
4. ორივე ფეხის დაბანა კოჭების ჩათვლით.

**როგორ აიღება აბდესი?**

1.,აბდესის დაწყებისას „ეღუზუბისმილლას“[1] ვამბობთ და ხელები სამჯერ კარგად უნდა დავიბანოთ. ამ პროცესში ასე ვიკითხავთ: „დიდება და თაყვანისცემა ალლაჰს, რომელმაც გვაჩუქა ჩვენ რწმენა და ისლამის რელიგია. დიდება ალლაჰს,

1. ეღუზუბუსმილლა: ეღუზუბილლააჰი მინეშშეიტაანირრაჯიიმ. ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ.

რომელმაც ისლამი განმანათლებლად და წყალი განმწმენდად გააჩინა.“

2. მარჯვენა ხელით სამჯერ პირს წყლით გამოვივლებთ. ამ პროცესში ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! მე, შენს უმწეო მონას, მასვი ერთი ჯამი წყალი წმინდა ფეიღამბრის აუზიდან, რათა მეტი აღარასოდეს მომწყურდეს.“

3. მარჯვენა ხელით სამჯერ ცხვირს წყლით გამოვივლებთ და მარცხენა ხელით ცხვირს მოვიწმენდთ. ამ პროცესში ასე ვკითხათ: „დიდო ღმერთო! მაგრძნობინე მე სამოთხის სურნელება, მიბოძე სამოთხის წყალობა და მაშორე სუნი ჯოჯოხეთისა.“

4. პრისახეს ვიბანთ სამჯერ, წვერის ძირებამდე მიგვაქს წყალი. ამ პროცესში ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! გაათეთრე ჩემი სახე, ისევე როგორც შენი ნათელით გაათეთრე ევლიების სახეები. და როდესაც ჩემს მტრებს სახე შავი ექნებათ, ჩემს სახეს ჩადენილი ცოდვებიდან გამომდინარე შავად ნუ მიქცევ.“

5. მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავი იდაუკების ჩათვლით უნდა დავიბანოთ. ამ პროცესში ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! მომეცი მე ცოდვამადლის რვეული მარჯვენა მხრიდან და ჩემი საიქიო ანგარიშგება გამიადვილე.“

6. მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი იდაუვის ჩათვლით უნდა დავიბანოთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! ცოდვა-მადლის რვეული უკნიდან და მარცხენა მხრიდან არ მომაწოდო და საიქიოს ანგარიშგება არ გამიძნელო.“

7. ორივე მკლავის დაბანის შემდეგ სველი ხელი თავის 1/4 ნაწილზე უნდა გადავისვათ (მესჰი). ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! ჩემი სხე-

ული და თმები ჯოჯოხეთში არ დასწვა. წარღვნის დღეს, როცა საშინელი სიცხე იქნება, მე ჩრდილის ქვეშ გამაგრილე და მომასვენე.“

8. შემდეგ უურებზე მოვისვამთ სველ თითებს. ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! მაქციე მე ჭკვიანი სიტყვის მსმენელად და უველაზე საუკეთესოს შემსრულებლად.“

9. შემდეგ კისერზე სველ ხელებს მოვისვამთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! დაიფარე ჩემი კისერი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან.“

10. მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხი უნდა დავიბანოთ სამჯერ (კოჭის ჩათვლით). ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! ფეხები გამიმაგრე ბეწვის ხიდზე იმ დღეს, როდესაც მრავალს ფეხი დაუცურდება.“

11. კვლავ მარცხენა ხელით მარცხენა ფეხი უნდა დავიბანოთ სამჯერ (კოჭის ჩათვლით). ამ დროს ასე ვიკითხავთ: „დიდო ღმერთო! ურწმუნოების ბეწვის ხიდზე ფეხების დაცურების დღეს ჩემი ფეხები ხიდზე დაამაგრე!“

წმინდა ფეიღამბერმა ასე ბრძანა: „ვინც აბდესის აღების შემდეგ „ინნა ენზელნაჰუ...“ სურეს ერთჯერ ჩაიკითხავს, ალლაჰი მას მართალი სალხის მადლს მისცემს, თუ ორჯერ ჩაიკითხავს შეჰიდების მადლს მისცემს და თუ სამჯერ ჩაიკითხავს წარღვნის დღეს ფეიღამბრებთან ერთად აღსდგება.“

სხვა ხადისში ასეა ნაბრძანები: „ვინც აბდესის აღების შემდეგ ათჯერ „ალლაჰუმმე სალლს“ ჩაიკითხავს, მის დარდსა და ტკივილებს ალლაჰი მოსპობს და კაცს გააბედნიერებს, მის ვედრებასაც მიიღებსო.“

თუ ეს ლოცვები (დუები) არ იცით, მათ გარეშეც

შეიძლება აბდესის აღება. მაგრამ ამათი კითხვა ძალიან დიდი მადლია. ვინც აბდესის ლოცვები არ იცის აბდესის დროს ქელიმე-ი შეჰადეთი წარმოსთქვას, ესეც მადლად ჩაეთვლება.

## აბდესის სუნნეთები:

1. აბდესის დაწყებისას ბისმილლის თქმა.
2. ხელების მაჯებიანად სამჯერ დაბანა.
3. პირის სამჯერ ახალ-ახალი წყლით გამოვლება.
4. ცხვირის სამჯერ ახალ-ახალი წყლით გამოვლება.
5. პირის დაბანისას წარბების, წვერის, ულვაშების დასველება.
6. პირის დაბანისას ორივე წარბის ქვემოთ დასველება..
7. წვერის სიღრმეში სველი ხელით შეხება (მესჰი).
8. წვერის სველი თითებით ჩამოვარცხნა.
9. კბილების გამოწმენდა, გასუფთავება. (მისვაქის ხმარება აუცილებელი სუნნეთია.)
10. მთლიან თავზე მესჰი, სველი ხელის გადასმა.
11. ორივე ყურზე ერთხელ სველი ხელის შეხება.
12. კისერზე ხელის სამი ერთმანეთზე მიტყუპებული თითის გადასმა.
13. ხელისა და ფეხის თითებს შუას დასუფთავება.
14. დასაბანი ადგილების სამჯერ დაბანა.
15. პირის დაბანის დროს მთელი გულით ნიეთის თქმა.

16. თანამიმდევრობის დაცვით დაბანა.
17. დასაბანი ადგილების მაგრად გაწმენდა.
18. ყველა ორგანოს სწრაფად და ერთმანეთის მიყოლებით დაბანა.

## აბდესის აღების წესები (ადაბი):

აბდესის აღების წესებს აბდესის მუსთესაბებსაც უწოდებენ. ესენია:

1. აბდესის აღება ნამაზის დროის მოსვლამდეა საჭირო. დაგვიანებულებმა შეიძლება მერეც აიღონ.

2. ტუალეტში ყიბლეს მარჯვნივ ან მარცხნივ ყოფნა. აბდესთის დარღვევის დროს ყიბლეს წინა ან უკანა მხარეს შემობრუნება თახრიმენ მექრუჰია.

3. დაბინძურებული ადგილების კარგად დაბანა.

4. დაბანის შემდეგ ნაჭრით შემშრალება.

5. დაბანის შემდეგ სასწრაფოდ სასირცხვილო ადგილების დაფარვა.

7. ყიბლეს პირდაპირ აბდესის აღება.

8. ყოველი ორგანოს დაბანისას ქელიმე-ი შეჰადეთის წარმოთქმა.

9. აბდესის ლოცვების (დუების) კითხვა.

10. პირში წყლის გამოვლებისას მარჯვენა ხელის ხმარება.

11. ცხვირის გამორეცხვისას მარჯვენა ხელის ხმარება.

12. ცხვირის მოწმენდისას მარცხენა ხელის ხმარება.

13. პირის გამოვლებისას კბილების მისვაქით გასუფთავება. თუ მისვაქი არ არის ჯაგრისის ხმარება.

14. პირის გამოვლებისას, თუ მარხვა არ არის პირში წყლის ღრმად გამოვლება, ყელში წყლის გამოვლება. ეს აბდესისა და ღუსლის დროს მადლია, მარხვის დროს მექრუჰია.

15. ცხვირის გამოვლებისას წყლიანი ხელის ცხვირთან ახლოს მიტანა.

16. ყურის ბანისას ერთი თითის ყურის ღრმულში შეყოფა.

17. ფეხის თითებს შუას დასუფთავებისას, მარცხენა ხელის ნეკი თითის გამოყენება.

18. ხელების ბანისას ბეჭდის მოხსნა. თუ ბეჭედი ძალიან ვიწროა მოხსნა ფარძია.

19. წყალი ბევრიც რომ იყოს ეკონომიურად ხარჯვა.

20. ცხიმის წასმის მსგავსად წყლის ძალიან მცირე რაოდენობით არ ხმარება. (სამ-სამჯერ დასაბან ადგილებზეც კი მინიმუმ ორ-ორი წვეთი წყალი უნდა მოხვდეს).

21. თასით აბდესის აღების შემდეგ იმ თასის სავსე დატოვება.

22. აბდესის მერე ორი მუხლი ნამაზის ლოცვა.

23. ნააბდესევის კიდევ ერთი აბდესის აღება. ანუ ნამაზის ლოცვის შემდეგ სხვა ნამაზისათვის ახალი აბდესის აღება.

24. პირისახის დაბანისას თვალის მიდამოების, ქუთუთოების დასუფთავება.

25. სახის, ხელებისა და ფეხების მსგავსი, დასაბანად ფარძი ადგილების საჭიროზე მეტი დაბანა. (მკლავების ბანისას ხელისგულები წყლით აავსეთ, რათა წყალი იდაყვის მიმართულებით ჩამოედინებოდეს.)

26. აბდესის წყლით ტანსაცმელი და თავ-ფეხი არ უნდა დასველდეს, არ უნდა შეეშხეფოს.

27. თქვენს მეზჰებში რაც მექრუჰი არ არის და სხვა მეზჰებში თუ ფარძია, იმისი გაკეთება მუსთეხაბია.

## აკრძალული ქცევები აბდესის მიღებისას:

აბდესის აღებისას ზოგიერთი ქცევები არამი ან მექრუჰია:

1. აბდესის დარღვევის დროს უიბლე ჩვენს წინ ან უკან არ უნდა მოვიქციოთ.

2. ტუალეტის დროს სხვა ვინმეს გვერდით სასირცხვილო ადგილების გამოჩენა არამია.

3. ტუალეტში სისუფთავის ჩატარების დროს მარჯვენა ხელი არ უნდა ვისმაროთ.

4. წყლის უქონლობის შემთხვევაში, ტუალეტში სისუფთავის ჩასატარებლად სხვისი კუთვნილი ნივთების ხმარება, ასევე ძვლებით, საქონლის საკვებით, ნეხვით, საკვები პროდუქტებით, კრამიტის ნატეხით, ბალახებით, ნაჭრით, ფოთლებითა და ქაღალდით გასუფთავება მექრუჰია.

5. აუზში, სადაც აბდესს ვიღებთ არ უნდა ჩავაფურთხოთ და ცხვირი არ უნდა მოვიხოცოთ.

6. დასაბანი ადგილები ნაკლულად ან გადაჭარბებით არ უნდა დავიბანოთ. სამზე მეტად ან ნაკლებად არ უნდა დავიბანოთ.

7. აბდესის ადგილები სისუფთავისათვის ნახმარი ნაჭრით არ უნდა გავიმშრალოთ.

8. პირის დაბანისას წყალი პირზე არ უნდა შევიშხეფოთ. შუბლიდან ქვემოთკენ უნდა დავიბანოთ.

9. წყალს არ უნდა შევუბეროთ.

10. პირი და თვალები მაგრად არ უნდა დავკეტოთ. ტუჩების და თვალების მიდამოებში დაუსვე-

ლებელი პატარა ადგილიც რომ დარჩეს, აბდესი სრულად არ ჩაითვლება.

11. მარჯვენა ხელით ცხვირი არ უნდა მოვისოცოთ.

12. თავზე, კისერზე და ყურებზე სველი ხელის გადასმისას ხელი ერთზე მეტად არ უნდა დავასველოთ. ხელის შეხების გამეორება დაუსველებლად ნებადართულია.

**მისვაქის[1] ხმარება:**

აბდესის აღებისას მისვაქის ხმარება სუნნეთი მუექქედეა. ხადისში ვკითხულობთ: „მისვაქის ხმარებით ნალოცი ნამაზი, მისვაქის გარეშე ნალოც ნამაზზე 70-ჯერ უფრო მეტად ღირებულია.“

ხოლო წიგნში „სირაჯ-ულ-ვეჰჰაჯ“ მოთხრობილია მისვაქის ხმარების 15 სარგებლობის შესახებ:

1. სიკვდილის დროს „ქელიმე შეჰადეთის“ თქმის საბაბი გახდება.
2. ღრძილებს გააძლიერებს.
3. ლორწოს მოსპობს.
4. ამონახველს მოსპობს.
5. პირის ღრუს შიდა ტკივილებს მოსპობს.
6. პირის სუნს მოსპობს.
7. დიდი ალლაჰის თანხმობას მიიღებს.
8. თავის ძარღვებს გააძლიერებს.
9. ეშმაკი დაღონდება.
10. თვალებს ნათელი მოემატება.
11. მადლი და სიკეთე გამრავლდება.
12. სუნნეთის შემსრულებელი გახდება.

1. მისვაქი: არაბეთში ერთ-ერთი ხის ფესვისგან დამზადებული კბილების საწმენდი. ჩვენი ფეიღამბერი მისვაქს იყენებდა.

13. პირის ღრუ სუფთა ექნება.

14. ლამაზად და კარგად ილაპარაკებს.

15. მისვაქის გამოყენებით ნალოცი ორი მუხლი ნამაზის მადლი, მისვაქის ხმარების გარეშე ნალოცი 70 ნამაზის მადლზე მეტია.

## აბდესის აღებისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

თუ ძალიან გამოუვალი მდგომარეობა არ არის ქვემოთჩამოთვლილ წესებს უნდა მივსდიოთ:

1. ორივე ხელით საპყარი (მახინჯი) სისუფთავეს ვერ შეასრულებს. მხოლოდ მკლავებს მიწაზე, ხოლო სახეს კედელზე შეახებს და ასე თეიმუმს ჩაატარებს. და თუ სახეზე ჭრილობები აქვს აბდესის გარეშე ილოცავს ნამაზს. ნამაზს არ მიატოვებს.

2. ავადმყოფს მისი მეუღლე, ბავშვები, ოჯახის წევრები და ახლობლები მიეხმარებიან აბდესის აღებაში.

3. უწყლობის შემთხვევაში ქვით ან ქვის მსგავსი საგნებით ტუალეტში სისუფთავის ჩატარება შეიძლება, წყლის მაგივრობას გასწევს.

4. გიჟი ან დაბნედილი ადამიანი თუ 24 საათის განმავლობაში გონს ვერ მოეგო ამ პერიოდში გავლილ ნამაზებს ხალახლა აღარ ილოცავს. ნარკოტიკული საშუალებებით ან სასმელით გაბრუებულმა ყველა გავლილი ნამაზი უდა აანაზღაუროს. თუ ავადმყოფი ძალიან ცუდადაა ნამაზი გადავადდება და შემდეგ ანაზღაურდება.

5. აბდესის ასაღებ ადგილას შესვლისას სპეციალური შარვლის ჩაცმა და თავის მობურვა სასურველია, მუსთეხაბია.

6. ტუალეტში შესვლისას მიშველ ხელში დიდი ალლაჰის სახელნახსენები წარწერა ან ყურანი ქერიმის აეთები არ უნდა გვქონდეს.

7. ტუალეტში მარცხენა ფეხის გადადგმით შედით და მარჯვენა ფეხის გადადგმით გამოდით.

8. ტუალეტში დაიკუზეთ (ჩაჯექით) და ამ დროს არ ილაპარაკოთ.

9. სასირცხვილო ადგილებს არ შეხედოთ და ტუალეტში არ ჩააფურთხოთ.

10. არცერთ წყალში, მეჩეთის კედელზე, სასაფლაზე ან გზაზე არავითარ შემთხვევაში არ მოშარდოთ.

**აბდესის მომშლელი ფაქტორები:**

1. ტუალეტის პროცესები.
2. პირიდან გამოსული ბინძური რამეები:

-პირსავსედ პირისღებინება.

-ამოხველებისას თუ ფურთხს სისხლი მოჰყვა და სისხლი ნხევარზე უფრო მეტი იქნება.

-კუჭიდან ან ფილტვებიდან ამოსული სისხლი მცირე რაოდენობისაც რომ იყოს.

-ყურებში ჩაწვეთებული ცხიმი თუ პირიდან გადმოიღვრება.

3. კანის, ჩირქის და სხვ. გამოდენა. თუ სისხლი აქეთ-იქეთ არ გადაიღვრება აბდესი არ მოიშლება.

-თუ ქურდანის და მისვაქის ხმარებისას გამოსული სისხლი პირის ღრუს მოედო, აბდესი მოიშლება.

-თუ ჭიპიდან, ყურიდან ან ძუძუებიდან ავადმყოფობის გამო რაიმე სითხე მოედინება, აბდესი მოიშლება.

-თუ ცხვირის ცინგლებს სისხლი მოჰყვება აბდესი მოიშლება.

4. ძილი. დაძინებისას, წამოწოლისას ან რაიმეზე მიყრდნობისას დაძინებით აბდესი მოიშლება.

5. გულის წასვლა, სულიერი ავადმყოფობები, ეპილეფსია ან ძალიან სიმთვრალე აბდესს მოშლის.

6. ნამაზის ლოცვისას ხარხარით სიცილი ნამაზსაც და აბდესსაც მოშლის. მაგრამ თუ ბავშვი გაიცინებს, არ მოიშლება. ხმადაბალი სიცილით მხოლოდ ნამაზი მოიშლება. უბრალო, უხმო ღიმილი ნამაზსა და აბდესს არ მოშლის. თუ სიცილი სხვამაც გაიგონა ხარხარი ეწოდება, თუ თვითონაც ვერ გაიგონა ღიმილი.

7. გაშიშვლებული ფორმით სამარცხვინო ადგილების რაიმეზე შეხება ქალის და მამაკაცის აბდესს მოშლის.

თუ აბდესის აღების შემდეგ მის დარღვევაში ეჭვი შეგვეპარა, აბდესი მიღებულად ითვლება. თუ ვიცით, რომ აბდესი მოიშალა და ეჭვი გვეპარება ახალი აბდესი ავიღეთ თუ არაო, ახალი აბდესის აღებაა საჭირო.

**ფაქტორები, რომლებიც არ შლის აბდესს:**

1. ნახველის ღებინება.

2. სისხლის ამონთხევისას თხევადი სისხლი, თუ სისხლი ფურთხის ნახევარზე უფრო ცოტაა.

3. კბილებიდან გამოსული სისხლი თუ ფურთხის ნახევარზე უფრო ცოტაა.

4. თავიდან გამოსული შედედებული სისხლი, რაც არ უნდა ბევრი იყოს.

5. კუჭიდან და ფილტვებიდან გამოსული შედე-დებული სისხლი.

6. თუ ყურებში ჩაწვეთებული ცხიმი ყურიდან ან ცხვირიდან გადმოიღვარა.

7. ცხვირში ჩადებული რაიმე დღეთა გასვლის მერე თუ ცხვირიდან გამოვა.

8. ვაშლის ჩაკბეჩის დროს თუ მასზე სისხლს დავინახავთ.

9. თუ ტკივილის გარეშე სახვის, კვამლის, გაზის ან სხვა მიზეზით ცრემლები წამოვიდა.

10. თუ ქალი ჩვილს ძუძუს აწოვებს.

11. ოფლისდენა, რაც არ უნდა ბევრი იყოს.

12. რაც არ უნდა უკბინოს და სისხლი სწოვოს ბუზმა, რწყილმა, ტილმა და სხვ.

13. მცირედი სისხლდენა (თუ სისხლი აქეთ-იქეთ არ გადაიღვრება), მცირედი პირისღებინება.

14. დაძინებისას მიუყუდებული საგნის გამოწევის შემდეგ თუ არ დავეცემით.

15. ნამაზის ლოცვისას დათვლემით.

16. მოკეცილ მუხლებზე თავის ჩაძოდებით და დაძინებით.

17. ძირს დაჯდომით დაძინება თუ არაფერს არ მივეყრდნობით.

18. თუ უუნაგირო ცხენის ზურგზე დავიძინებთ.

19. ნამაზის დროს გაღიმებისას.

20. თუ ნამაზის დროს გაცინებას მხოლოდ თვითონ გავიგონებთ მხოლოდ ნამაზი მოიშლება.

21. თმის, ულვაშის ან წვერის შეჭრისას.

22. ჯრილობის გარეთა კანის მოძრობისას.

# მესთებზე მესჰის გაკეთება

**რა არის მესთი?**

მესთი არის თხელი ტყავისაგან დამზადებული ყელიანი ფეხზე ჩასაცმელი, რომელსაც წინდებთან ერთად ვიცვამთ ფეხსაცმელში. მესთის ჩაცმის შემდეგ ყველა დროის ნამაზისათვის აბდესის აღებისას ფეხების დაბანა საჭირო არაა, მესთებზე მესჰის გაკეთება საკმარისია.

**რა არის მესჰი?**

მესჰი წარმოსდგება არაბული სიტყვისაგან „მესიჰ“, რომელიც ქართულად გაწმენდას, გასუფთვას ნიშნავს. ისლამის რჯულში კი-მესთებზე სველი ხელის მოსმას მესჰი ჰქვია.

ისლამის კანონების შესრულება ძალიან ადვილია. აბდესის აღებისას თუ მესთი გვაცვია, ფეხებს აღარ დავიბანთ, მესთებზე მხოლოდ მესჰს გავიკეთებთ. მესთებზე მესჰის გაკეთება მხოლოდ აბდესის აღებისას შეიძლება. ტანის დაბანისას (ღუსლის შესრულებისას) მესთების გახდა და ფეხების დაბანა აუცილებელია.

მესთებზე მესჰის გაკეთება სუნნეთია.

**მესჰის გაკეთების წესი:** აბდესის ბოლოს ფეხებს წყლით აღარ დავიბანთ. მესთების გაუხდელად ხელის თითებს სუფთა წყლით დავისველებთ, მესთებზე დავაწყობთ და უკანა მიმართულებით მოვისვამთ. ხელის თითები გაშლილი უნდა იყოს. მესჰის გაკეთებისას მარჯვენა და მარცხვენა ხელების მინიმუმ სამ-სამი თითი უნდა გამოვიყენოთ. მესთი ტყავის ან სხვა წყალგაუმტარი მასალისაგან უნდა იყოს დამზადებული. მესთი კოჭებს უნდა ფარავდეს და შიგ ფეხი თავისუფლად უნდა იყოს.

**მესჰისათვის განკუთვნილი დრო:** აბდესს ავიღებთ და მესთებს ჩავიცვამთ. მესთების ჩაცმის შემდეგ, აბდესის მოშლიდან 24 საათის განმავლობაში აბდესის აღებისას მესთებზე მესჰის გაკეთება შეიძლება.

მგზავრებს 72 საათის განმავლობაში, ე.ი. სამი დღე-ღამე შეუძლიათ მესთზე მესჰის გაკეთება.

ის, რაც აბდესს მოშლის, მესჰსაც მოშლის. ამის გარდა ერთი ან ორივე მესთის გახდა, მესჰისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვა მესჰს მოშლის. გარდა ამისა, თუ მესთი იმდენად გახეულია, რომ ფეხის სამი თითი ნახევში ეტევა, აბდესი მოიშლება.

აბდესის მოშლამდე თუ მესთს გავიხდით, ან მესჰისათვის განკუთვნილი დრო გავა, ხელახლად აბდესის აღება საჭირო არაა, მხოლოდ ფეხების დაბანა საკმარისია. მაგრამ 24 საათის გასვლის შემდეგ მესთებზე მესჰის გაკეთება აღარ შეიძლება.

მგზავრობაში თუ მესთები ჩავიცვით და მესჰი გავაკეთეთ და 24 საათის განმავლობაში სახლში დავბრუნდით, 24 საათის გასვლამდე მესჰის გაკეთებას გავაგრძელებთ. თუ სახლში დაბრუნებამდე 24 საათზე მეტი დრო გავიდა, მესთებს გავიხდით და ფეხებს დავიბანთ.

ქუდზე, თავსახვევსა და ხელთათმნებზე მესჰის გაკეთება არ შეიძლება.

## შეხვეულზე მესჰი

ჭრილობა, მოტეხილობა და სხვ. თუ წყლის შეხებით გაღიზიანდება, აბდესის ან ტანის დაბანისას მესჰს გავიკეთებთ.

თუ ჭრილობა ან მოტეხილობა სველი ხელის მოსმითაც (მესჰითაც) გაღიზიანდება, მაშინ მხოლოდ შეხვეულზე გავიკეთებთ მესჰს. და თუ შეხვეულზე მესჰის

გაკეთება უარყოფით ზეგავლენას ახდენს, მაშინ მესჰ-საც აღარ გავიკეთებთ.

მთლიან ჭრილობაზე ან შეხვეულზე მესჰის გაკეთება აუცილებელი არაა, ნახევარზე უფრო მეტ ნაწილზე მესჰი საკმარისია.

შეხვეულზე მესჰის გაკეთებას განკურვნამდე, ჭრილობის მოშუშებამდე გავაგრძელებთ.

თუ ჭრილობაზე შეხვეულ მესჰგაკეთებულ ნაჭერს გამოვიცვლით, ახალ ნაჭერზე მესჰის გაკეთება საჭირო არაა.

თუ ჭრილობის ან მოტეხილობის გამო ერთ ფეხზე მესჰს გავიკეთებთ, მეორეს დაბანაა საჭირო, მესჰის გაკეთება არ შეიძლება. ან კიდევ ორივე ფეხზე მესთს ჩავიცვამთ და აბდესის აღებისას მესჰს გავიკეთებთ.

თუ ჭრილობაზე ან მოტეხილობაზე მესჰის გაკეთება უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს, ან საკმარისად განიკურნება, შეხვეულ ნაჭერზე მესჰის გაკეთება არ შეიძლება, თვით ჭრილობაზე უნდა გავიკეთოთ მესჰი.

## ღუსლი
### (მთლიანი სხეულის დაბანა)

ნამაზი სრულად რომ ჩაითვალოს აბდესის და ღუსლის სწორად შესრულებაა საჭირო. სქესობრივი კავშირის, პოლუციის, ქალებში მენსტრუაციის ციკლისა და მშობიარობის მერე ადამიანი ჯანაბეთი (დაბინძურებული) ხდება. ჯანაბეთმა ადამიანმა ღუსლის აბდესი უნდა აიღოს, ე. ი. პირი და ცხვირი წყლით ღრმად უნდა გამოივლოს და მთლიანი ტანი გულდასმით უნდა დაიბანოს.

წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ღუსლის შემსრულებელ ადამიანს, სხეულზე ბალანივით ბევრი მადლი მიეწერება, ამდენივე ცოდვა მიეტევება.

სამოთხეში წოდება აუმაღლდება, ღუსლის სამაგიეროდ მისთვის განკუთვნილი მადლი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია. მაშინ დიდებული ალლაჰი თავის ანგელოზებს ასე მიმართავს: შეხედეთ ამ ადამიანს, ღამე წამოდგომა არ დაზარდა, გაიხსენა რა ჩემი ბრძანება და ღუსლი შეასრულა. თქვენ იყავით მოწმენი, რომ მე მას ცოდვები მივუტევე."

ხოლო სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „დაბინძურებისას (ჯანაბეთობისას) სასწრაფოდ ღუსლი შეასრულეთ, რადგანაც ამ ტიპის სიბინძურისაგან (ქირამენ ქაათიბინ) ანგელოზებს სული უწუხდებათ." იმამი გაზალმა ბრძანა: „ერთმა კაცმა სიზმარში მითხრა: ერთხელ სქესობრივი კავშირის მერე არ გავსუფთავდი, ახლა ტანზე ცეცხლის პერანგი ჩამაცვეს და კიდევ იმ ქცევისათვის ვიტანჯებიო." წმინდა ფეიღამბრის სხვა ჰადისში სწერია: „სახლში, სადაც სურათები, ძაღლები, და სქესობრივი კავშირის მერე დაუბანელი ადამიანები იმყოფებიან, წყალობის ანგელოზები არასოდეს შევლენო."

ვინც ერთი ნამაზის დროს ჯანაბეთი გაატარებს, იმქვეყნად ძალიან დიდ ტანჯვას მიიღებს.

### ღუსლის შეუსრულებლად აკრძალულია:

1. ნამაზის ლოცვა.
2. ყურანის კითხა, ან ყურანზე და აიეთებზე ხელის შეხება.
3. ქაღბაზე შემოვლა (თავაფი).
4. მეჩეთებში შესვლა.

### ღუსლის ფარძები:

1. პირის წყლით კარგად გამოვლება. თუ პირის

ღრუში ნემსის წვერისოდენა ადგილიც კი დაუსვე-ლებელი დარჩა ის ღუსლი ქმედითად არ ჩაითვლე-ბა.

2. ცხვირის წყლით კარგად გამოვლება. თუ ცხვირში ნემსის წვერისოდენა ადგილიც კი დაუ-სველებელი დარჩა ის ღუსლი ქმედითად არ ჩაით-ვლება.

3. სხეულის ყველა ადგილის კარგად დაბანა. ჭიპის, ულვაშების, წვერის, წარბის ქვეშა ადგი-ლებს დაბანისას ყურადღება უნდა მივაქციოთ. თუ ტუჩებზე, თვალის ქუთუთოებზე, ფრჩხილებზე ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილზე არის ნივთიე-რებები, რომლებიც წყალს არ ატარებენ (მაგ. ფრჩხილების ლაქი) ღუსლი ქმედითად არ ჩაით-ვლება.

### ღუსლის სუნნეთები:

1. უპირველესად ხელების დაბანა.
2. სასირცხვილო ადგილების დაბანა.
3. მთელი სხეულის საგულდაგულოდ გასუფ-თავება-დაბანა.
4. ღუსლზე ადრე ჩვეულებრივი აბდესის აღება.
5. მთელი სხეულის კარგად შეჩაჩქნით სამჯერ დაბანა.
6. მთელი სხეულის კარგად დაბანის შემდეგ ერთხელ კიდევ ორივე ფეხის დაბანა.

### როგორ სრულდება ღუსლი?

1. თავდაპირველად ორივე ხელი და სასირცხ-ვილო ადგილები კარგად დაიბანეთ და სხეულზე არსებული სიბინძურე გაისუფთავეთ.

2. შემდეგ ჩვეულებრივი აბდესი ღუსლის ნიეთით აიღეთ. აბდესის აღებისას პირი და ცხვირი წყლით კარგად (ღრმად) გამოივლეთ. თუ ფეხების ქვეშ წყალი არ გროვდება, ფეხებიც დაიბანეთ. თუ გროვდება, ფეხები სულ ბოლოს დაიბანეთ.

3. მთელ სხეულზე სამჯერ წყალი გადაივლეთ. ჯერ თავზე, მერე მარჯვენა მხარზე, მერე მარცხენა მხარზე. პირველი დასხმის დროს ტანი დაიზილეთ. დაუსველებელი ადგილი არ უნდა დარჩეს. რადგანაც ნემსის წვერისოდენა მშრალი ადგილიც რომ დარჩეს, ღუსლი ქმედითად არ ჩაითვლება.

ღუსლის დროს ერთ ადგილას დასხმული წყალი თუ სხვაგანაც მოხვდება, იმ ადგილსაც გაასუფთავებს, რადგანაც ღუსლის შესრულებისას, მთელი სხეული ერთ ორგანოდ ითვლება. აბდესში კი ასე არ არის. ღუსლის დასრულების მერე აბდესის აღება მექრუჰია. აბდესი დასაწყისში უნდა ავიღოთ, მაგრამ თუ აბდესი მოგვეშალა მისი გაახლება საჭიროა.

## ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობანი

**მენსტრუაციის ციკლი:**

მენსტრუაცია ეწოდება სისხლდენას, რომელიც ცხრა წლის ზემოთ მყოფ გოგონას ეწყება და მინიმუმ სამ დღეს გრძელდება. თეთრის გარდა სხვა ფერის სისხლი ან ამღვრეულიც რომ იყოს, მაინც მენსტრუაციის სისხლია. როდესაც გოგონას მენსტრუაციის ციკლი (თვიური) ეწყება, უკვე სქესობრივად მოწიფულია და რელიგიური კანონების შესრულება ევალება. ე. ი. უკვე ყველაფრისათვის

პასუხისმგებელია. ამ ასაკიდან რელიგიური წესების შესრულება სავალდებულო ხდება. თვიურის დორს სისხლდენის პერიოდი მინიმუმ სამი, მაქსიმუმ ათი დღეა. ყველამ თავისი თვიურის დრო უნდა იცოდეს. გოგონამ დედისაგან, ბებიისაგან მამიდისაგან და სხვა ახლობლებისაგან თვიურის შესახებ უნდა შეისწავლოს. მენსტრუაციის ციკლს სხვანაირად „ჰაიზი“ ეწოდება.

**მშობიარობა:**

მშობიარობის შემდგომ ქალებში რამდენიმე დღით სისხლდენა შეინიშნება. ამ პერიოდს „ნიფასი“ ეწოდება და მინიმალური დრო არა აქვს. მაქსიმუმი კი-40 დღეა. 40 დღის მერე სისხლი რომც არ შეწყდეს, ღუსლი შეასრულეთ და ნამაზის ლოცვა დაიწყეთ. 40 დღეზე დიდხანს სისხლი ავადმყოფობის მიმანიშნებელია.

ამ დროებში ქალი ნამაზს ვერ ილოცავს, ვერ იმარხულებს, ყურანი ქერიმს ხელს ვერ მოჰკიდებს, სეჯდეს ვერ გააკეთებს, მეჩეთში ვერ შევა, ქაღბეს ვერ შემოუვლის. ქალებმა სასურველია მეუღლეებს შეატყობინონ თვიურის დროები, რადგან წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „თვიურის დღეების ქმრისაგან დამფარავი ქალი ცოდვას იმატებსო.“

სისხლდენის დამთავრებისას ღუსლის შესრულება ფარძია.

**ციკლის დარღვევა:**

ციკლის დარღვევა ანუ „ისთიხაზა“ ეწოდება სისხლდენას, რომელიც ემართებათ ძირითადში ცხრა წლისაზე პატარა გოგონებს, კლიმაქსს გადაცილებულ ქალებს, რომელიც სამ დღე-ღამეზე

ცოტასა და ათ დღე-ღამეზე ბევრს გრძელდება, რომელიც მშობიარობის შემდეგ 40 დღეზე მეტს გრძელდება. ეს სისხლდენა ავადმყოფობის მიმანიშნებელია და საჭიროა მივმართოთ ექიმს.

ისთიხაზას სისხლდენა ცხვირიდან სისხლდენას წააგავს, ამიტომაც მის მქონეს ნამაზის ლოცვა და მარხვა შეუძლია.

## თეიმუმი

თეიმუმი უწყლოდ განსუფთავებას ნიშნავს, როდესაც აბდესის ასაღებად ან ღუსლის შესასრულებლად წყალი არ მოიძებნება ანდა სახმარად უვარგისია, მიწით, კრამიტით, ქვით და ქვიშით და სხვ. თეიმუმს ვასრულებთ.

**შემთხვევები, როდესაც თეიმუმის შესრულება შეიძლება:**

1. ღუსლისა და აბდესისათვის წყლის ვერ შოვნა. (წყლის ძებნა ყოველთვის ფარძია).
2. წყლის ხმარების შემთხვევაში გაციების, დაავადებისა და სიკვდილის საფრთხის არსებობის შემთხვევებში.
3. წყლის მახლობლად მტრის, შხამიანი ან მტაცებელი ცხოველის ყოფნა.
4. ციხეში ყოფნისას წყლის ხმარების შეუძლებლობა.
5. სიკვდილის მუქარის შემთხვევაში.
6. მგზავრობისას დასალევი წყლის გარდა სხვა წყლის არ ქონა.
7. ჭიდან წყლის ამოღების შეუძლებლობა.

**თეიმუმის ფარძები:**

თეიმუმის ფარძი ორია:

1. ნიეთის თქმა.

2. ორივე ხელის მიწაზე მოსმა და მერე მთელს სახეზე ხელებით შეხება. ხელმეორედ ორივე ხელის მიწაზე მოსმა და ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა მკლავებზე შეხება.

თეიმუმის სუნნეთები:

1. ბისმილლით დაწყება.
2. მიწაზე ხელისგულის შიდა მხარის დადება.
3. ხელისგულების მიწაზე გასმა-გამოსმა.
4. თუკი ხელისგულებზე მიწა დარჩა, მიწის მოცილებამდე ხელების ერთმანეთზე ტყაპუნი.
5. ხელების მიწაზე დადებისას თითების გაშლა.
6. მტვერიანი ხელების ჯერ სახეზე, მერე მარჯვენა მკლავზე, მერე მარცხენა მკლავზე შეხება.
7. აბდესის შესრულების მსგავსად თეიმუმის სწრაფად შესრულება.
8. მკლავებზე და სახეზე ხელშეუხებელი ადგილის არ დატოვება.
9. თეიმუმის დაწყებამდე წყლის ნახვისათვის ყველა შესაძლო გზების ძიება.
10. ხელების მთელი ძალით მიწაზე მყარად დაბჯინება.
11. მკლავებზე ნასწავლები მეთოდით შეხება.
12. თითებს შორის ადგილების შეხება და ამ დროს ბეჭდის ადგილიდან დაძვრა.

თეიმუმის დროს შემდეგს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. თუ ვინმე მოსწავლეს საჩვენებლად თეიმუმს ჩაატარებს, ამის მერე ნამაზს ვერ ილოცავს.

2. თეიმუმით ნამაზის ლოცვისათვის მარტო თეიმუმის ნიეთის თქმა საკმარისი არ არის, ნამაზის ნიეთის თქმაც საჭიროა.

3. ერთი მიწისგან რამდენიმე ადამიანს თეიმუმის გაკეთება შეუძლია, რადგანაც თეიმუმის მიწა ნახმარად არ ჩაითვლება, ხელისგულებიდან დაბერტყილი მიწა-კი ნახმარად ითვლება.

4. მიწის, კირის, ქვიშის მსგავსი მასალებითაც შეიძლება თეიმუმის შესრულება. ქაღალდით, ნაფოტით, მადანით, ცხიმიანი საღებავით, და შუშით გაკეთება აკრძალულია. თუ რამოდენიმე ნივთიერება შერეულია, რომელიც სჭარბობს, ის ითვლება.

5. ერთი თეიმუმით რამდენიმე ნამაზის ლოცვა შესაძლებელია.

6. თუ ადამიანი ცოდნით ან სხვა ნიშან-თვისებებით ორ კილომეტრზე ნაკლები ადგილებიდან წყლის ნახვას ვარაუდობს, ყოველ მხარეს 200 მეტრი წასვლა და ძებნა ფარძია. თუ წყლის ყოფნის გამოყენების შესაძლებლობა არარეალურია, ძებნა საჭირო არ არის.

7. თუ წყლის უკითხავად თეიმუმით ნამაზი დაიწყეთ და მერე სანდო კაცისაგან გაიგეთ, რომ წყლის შოვნა შეიძლება, ახლიდან აბდესი შეასრულეთ და ნამაზიც ახალად ილოცეთ.

8. თუ წყალი ორ კილომეტრზე შორს არის თეიმუმის გაკეთება ნებადართულია.

9. თუ ნივთებს შორის არსებული წყალი ადამიანს დაავიწყდა, მანაც შეიძლება თეიმუმი გააკეთოს.

10. წყლის არარსებობაში დარწმუნებული კაცი თუ თეიმუმს აკეთებს და მერე წყალს წააწყდება ნამაზი ახლიდან უნდა ილოცოს.

11. სტუმარმა საჭიროა მასპინძელს წყალი მოსთხოვოს, თუ არ მისცემენ, თეიმუმი გააკეთოს. თუ წყალი იყიდება, უფრო ბევრი ფულის მქონე სტუმარმა უნდა იყიდოს. თუ მასპინძელი წყალს ძალიან ძვირად ჰყიდის, მაშინ თეიმუმის შესრულება ნებადართულია. თუ ნორმალური ფასის მისაცემი ფულიც არა აქვს, ისევ თეიმუმი ნებადართულია.

12. თუ უდაბნოში, მხოლოდ სასმელი წყალია დადებული, თეიმუმის შესრულება ნებადართულია.

13. თუ წყალი ცოტაა სქესობრივი კავშირის მქონემ მენსტრუალური ციკლის მქონეებზე ადრე უნდა დაიბანოს. წყლის პატრონმა ყველაზე ადრე უნდა დაიბანოს. ზოგჯერ წყლის პატრონებმა შეიძლება მოტანილი წყლები გააერთიანონ და ისე დაიბანონ.

14. სქესობრივი კავშირის მერე თუ თეიემუმს შეასრულებთ და აბდესი დაირღვა ჯანაბეთი არ გახდება. თუ წყალი ცოტაა მაშინ მხოლოდ აბდესი აიღეთ.

15. თუ ადამიანის სხეული ავადყოფია, ან ჭრილობებით არის დაფარული და აბდესის დროს ამ ადგილების დაუსველებლად დაბანა შესაძლებელია ღუსლი ან აბდესი შეასრულოს. თუ არა-თეიმუმი შეასრულოს.

### როგორ სრულდება თეიმუმი?

1. თავდაპირველად ნიეთს ვიტყვით.

თეიმუმით ნამაზის შესასრულებლად მხოლოდ თეიმუმის ნიეთად თქმა საკმარისი არაა, ნამაზის ნიეთიც უნდა გავიაზროთ. ამ დროს აბდესისა და

ღუსლის ერთმანეთისაგან გამოყოფა საჭირო არ არის. ჯანაბეთობისაგან განსაწმენდად თეიმუმის შესრულებით ნამაზის ლოცვა შესაძლებელია. აბდესისათვის ხელახალი თეიმუმი საჭირო არ არის.

2. ორივე მკლავი იდაყვებთან დაიკაპიწეთ, ორივე ხელით მიწას, ქვას, ქვიშას და სხვ. შეეხეთ და მინიმუმ სამი თითით სახეზე მოისვით ორივე ხელისგული. სახის სულ პატარა ნაწილზეც კი თუ ხელი ვერ მოხვდა თეიმუმი შესრულებლად არ ითვლება.

რათა სახის ყველა ადგილას მოხვდეს, ხელები ერთმანეთთან მიატყუპეთ, შუბლთან მიიტანეთ და ქვემოთ უბებისაკენ ნელ-ნელა ჩამოუყევით. თითები უნდა შეეხოს შუბლს, თვალის ქუთუთოებს, ცხვირის ორივე მხარეს, ტუჩებსა და უბებს. ამ დროს ხელისგულები ლოყებს შეეხება.

3. შემდეგ კვლავ დავაწყობთ ხელებს მიწაზე. ხელების მიწიდან აღების შემდეგ მარცხენა ხელის ცერა და ნეკა თითებს შუა სამი თითისაგან მორს დავიჭერთ, შუა სამ თითს დავისვამთ მარჯვენა მკლავის გარეთა ნაწილზე მაჯიდან იდაყვის მიმართულიბით. შემდეგ მკლავს შემოვატრიალებთ და ნეკა თითებს დავისვამთ შიგნითა ნაწილზე იდაყვიდან მაჯის მიმართულებით. იგივეს გავიმეორებთ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავზე მესჰის გაკეთებისათვის. ორივე მკლავზე მესჰის გაკეთებით თეიმუმი დასრულდება.

აბდესისა და ღუსლისათვის თეიემუმი იგივეა.

### თეიემუმის მომშლელი ფაქტორები:

თეიმუმის შესრულების მომთხოვნი გარემოებანი თუ შეიცვალა, წყალი თუ გამოიძებნა, და ყვე-

ლა ღუსლისა და აბდესის მომშლელ პირობებში თეიმუმიც მოიშლება.

**აბდესის, ღუსლისა და თეიემუმის სარგებლობანი:**

სხეულის გასუფთავების ყველა ეს ფორმები ძალიან დიდი სარგებლობის მომტანია. გარდა ამისა სულიერი ჯანმრთელობის გამაძლიერებელია. მრავალი სარგებლობათაგან ზოგიერთს ჩამოვთვლით:

-ყოველდღიურ გაწამაწიაში ხელმოუკიდებელი რამ არ გვრჩება და მიკრობების ბუდეებს ვემსგავსებით, აბდესის დროს პირის, ხელებისა და ფეხების დაბანა მიკრობებისგან განწმენდის, სხეულის დაცვის საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო რომ, ზოგი ბაქტერიები კანით გადამდები არიან.

-ჩვენ ვიბანთ ცხვირს, რომელიც მთელი სასუნთქი გზების მაკონტროლებელია და იცავს ორგანიზმს მტვერისაგან და ბაქტერიებისაგან.

-პირის დაბანაც თავის ტკივილებისა და დაღლილობის საუკეთესო წამალია. ძარღვებსა და ნერვებს ამოძრავებს. ამიტომაცაა რომ, მოხუცებულ მორწმუნეებს სახე სამუდამოდ ლამაზი რჩებათ.

-სქესობრივი კავშირის დროს ადამიანის ორგანიზმი ზედმეტად იტვირთება, მერე კი იღლება და დუნდება. გულის მუშაობის რიტმი ირღვევა. ხოლო ღუსლის მეშვეობით სხეულს წინანდელი ფორმა უბრუნდება. სხეულის დაბანა არაჩვეულებრივი სამკურნალო საშუალებაა.

-ჩვენს სხეულს გარკვეული ბალანსი გააჩნია და ჯანმრთელობაც ამაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ მრავალგვარი დაძაბულობების შედეგად ღუს-

ლისათიის საჭირო პირობებში ეს ბალანსი ირღვევა. ცხოვრების სტრესისეული ტვირთი თუ ნორმალურ ვითარებაში ოთხმაგია, ღუსლის საჭირო პირობებში (სექსუალური კავშირის დროს) თორმეტამდე იწევს. არსებობს ენფრა-რუჯ სხივებით გამთბარი ადამიანის კანის ფოტოგრაფია და ვხედავთ რომ ადამიანის კანი უამრავი სტატიკური ელექტროენერგიით იფარება და ეს ფენა ჟანგბადის თავისუფალ მოძრაობას ეწინააღმდეგება. აფუჭებს კანის ფერსა და შემცველობას და ასეთ მდგომარეობებში სხეულის სულ მცირე ადგილიც კი დაუბანელი არ უნდა დარჩეს. წყალს მიაქვს უარყოფითი ენერგია და სხეულს საჭირო ფორმას აძლევს. თუ ამ მხრიდან შევხედავთ ღუსლი სამედიცინო თვალსაზრისითაც აუცილებელი პროცედურაა.

-აბდესის და ღუსლის დროს სისხლძარღვები მოქმედებაში მოდის და ძარღვების შევიწროება გამორიცხულია. აბდესის დროს ცხვირის უკანა მხარე და ლიმფური ჯირკვლები იბანება და აქტიურ ფორმაშია. ასევე ლოყებისა და კისრის დაბანაც ლიმფური ჯირკვლებისათვის სასარგებლოა. ამავე დროს რინფოციდად წოდებული მებრძოლი უჯრედები მიკრობებს ებრძვიან და სხეულს ავადმყოფობებისაგან იცავენ.

-წყლის არ ქონის დროსაც თეიმუმი ასუფთავებს სხეულს უარყოფითი სტატიკური ელექტრონისაგან.

## 2. ნეჯასეთთენ თაჰარეთ
(სიბინძურეთაგან განწმენდა)

ნამაზის მლოცველის სხეულზე, ტანსაცმელზე,

სალოცავ ადგილზე სადმე სიბინძურე არ უნდა იყოს. თავსაბურავი და მესთიც ტანსაცმელად ითვლება. თავზე მოხვეული კაშნის ბოლოც კი სუფთა უნდა იყოს. თორემ ნამაზი არ ჩაითვლება. სხეულთან კავშირში მყოფი ყველა სამოსი საგულდაგულოდ სუფთა უნდა იყოს. ამას გარდა თუ ჯიბეში გაქვთ სპირტი, სპირტნარევი ადეკოლონი, სისხლიანი ცხვირსახოცი და მსგავსი ნივთები ნამაზი ნებადართული არ არის. ორი ფეხის დასადგამი და სეჯდეს შესასრულებელი ადგილი სუფთა უნდა იყოს. თუ კანზე, სხეულზე ან ნამაზის დასაცავ სხვა რომელიმე ადგილზე ხელისგულისოდენა სიბინძურე მოიპოვება, ნამაზის ლოცვა თახრიმენ მექრუჰია, გასუფთავება ვააჯიბია. თუ სიბინძურე ხელის გულზე უფრო მეტია, გასუფთავების გარეშე ნამაზის ლოცვა არ შეიძლება, ამ შემთხვევაში გასუფთავება ფარძია. თუ სიბინძურე ხელის გულზე უფრო ცოტაა, მაშინ ნამაზის ლოცვა შეიძლება, გასუფთავება კი-სუნნეთია.

არსებობს ორი სახის სიბინძურე: დიდი სბინძურე და პატარა სიბინძურე.

დიდი სიბინძურეში შედის საქონლებისა და ადამიანების ნაწავალი, ცხოველების ლეშები, ტუავი და ხორცი, ღვინო, ღორის ხორცი, შინაური ფრინველების სკინტლები და მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის სიბიძნძურეები.

პატარა სიბინძურეში შედის ტანისამოსზე ლაქები, იმ ფრინველების სკინტლები, რომლების ხორციც არ იჭმის. ხოლო მტრედის, ბეღურისა და მისი მსგავსი ხორცი საჭმელად ვარგისი ფრინველების სკინტლები სიბინძურედ არ ითვლება.

ღვინის გამოხდით ან სხვა გზით მიღებული სპირტი და რახიც ღვინის მსგავსად აკრძალულია.

ნამაზის ლოცვისას ალკოჰოლური სასმელები უნდა მოცილდეს და გაიწმინდოს.

სიბინძურის გასუფთავება შეიძლება ჩვეულებრივი წყლით, ვარდის წყლით, ძმარით და სხვა. ეს სუფთა წყალია, მისი საშუალებით სიბინძურეები სუფთავდება, მაგრამ ჩვეულებრივი წყლის გარდა სხვა ნარევი წყლით აბდესი და ღუსლი არ შესრულდება.

**ისთინჯა:** ტუალეტის შემდეგ სასირცხვილო ადგილების გასუფთავებას ისთინჯა ჰქვია. თუ სხეულის რომელიმე ნაწილზე ხელის გულისოდენა სიბინძურე დარჩა, მისი დაბანა ფარძია, აუცილებელია.

**ისთიბრა:** მოშარდვის შემდეგ აბდესის აღებამდე ცოტა ხნით მოცდას (გავლა-გამოვლას) ნიშნავს. განსაკუთრებით მამაკაცებმა მოშარდვის შემდეგ მაშინვე აბდესი არ უნდა აიღონ, რადგანაც შესაძლოა, რომ საშარდე მილი მთლიანად არ იყოს დაცლილი, შარდის წვეთები იყოს დარჩენილი შიგ, რაც შემდეგში დაიცლება და აბდესს მოშლის.

## 3. სეთრ-ი ავრეთი
(რჯულით აკრძალული ადგილების დაფარვა)

ადგილებს რომლების სხვისთვის ჩვენება და რომლებზედაც სხვისი შეხედვა არამია **ავრეთი** ეწოდება. მამაკაცის ავრეთი მუცლიდან (ჭიპიდან) მუხლისთავების ჩათვლითაა. ნამაზის ლოცვის დროს ამ ადგილების დაფარვა ფარძია. თუ ნამაზის დროს ეს ადგილები დაფარული არ არის

ნამაზი არ ჩაითვლება.

ქალებისათვის პირისახის, ხელებისა და ფეხის ტერფების გარდა ყველა ადგილი ავრეთია. ამიტომაც ქალებს ავრეთსაც უწოდებენ. ამ ადგილების დაფარვა ფარძია. თუ ამ ადგილების ერთ მეოთხედზე მეტი დაუფარავი დარჩა ნამაზი ირღვევა, თუ უფრო ცოტა -არა. ანდა ძალიან თხელი და სიფრიფანა ნაჭრის ტანისამოსიც სულაც არ ჩაცმულად ითვლება.

წმინდა ფეიღამბერი ბრძანებს: „უცნობი ქალისთვის ვნებით შემხედი მამაკაცის თვალები ცეცხლით ივსება და ჯოჯოხეთში მოხვდებაო. ხოლო უცნობი ქალისთვის ხელის ჩამომრთმეველს ორივე მკლავებშეკრულს ჯოჯოხეთში ჩააგდებენო. ხოლო უცნობ ქალთან უსაფუძვლოდ ვნებიანად მოლაპარაკე თითოეული სიტყვისათვის ჯოჯოხეთის ერთი წლით დაისჯებაო.“

სხვა ხადისში ვკითხულობთ: „მეზობელი ქალებისთვის ანდა ამხანაგების ქალებისთვის ვნებიანი მზერა და საუბარი უცხო ქალებისაზე ათჯერ მეტი ცოდვააო. გათხოვილი ქალებისათვის შეხედვა გაუთხოვრებთან შედარებით ათასჯერ დიდი ცოდვაა. უზნეო საქციელის ცოდვაც ასეთია.“

ერთხელ წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ეი, ალი! არასოდეს შენი სასირცხვილო ორგანოები არ გამოაჩინო და ცოცხალსა თუ მკვდარს არავის ამ ადგილებზე არ შეხედო.“

სხვა ხადისში სწერია: „არასოდეს სასირცხვილო ადგილები არ გამოაჩინოთ. რადგანაც მუდმივად თქვენს გვერდით მყოფნი არიან და მათი მოგერიდოთ და მათ პატივი მიაგეთ.“ (ისინი ანგელოზები არიან).

ასევე სხვა ხადისებში ვკითხულობთ: „დაიფა-

რეთ თქვენი სასირცხვილო ადგილები და არავის აჩვენოთ მეუღლის გარდა. მარტო დარჩენის დროსაც დიდი ალლაჰისა გერიდებოდეთ.“

-„დიდმა ალლაჰმა დასწყევლოს მამაკაცის მიმბაძველი ქალები და ქალების მიმბაძველი მამაკაცები.“

-„თუ ვინმე ლამაზი ქალის დანახვისას მას თვალებს უმალვე მოარიდებთ, დიდებული ალლაჰი თქვენ უდიდეს წყალობას გამოგიგზავნით და დიდ მადლად ჩაგითვლით.“

-„დიდმა ალლაჰმა დასწყევლოს ყველა, ვინც არ იფარავს სასირცხვილო ადგილებს და სხვის სასირცხვილო ადგილებს უყურებს.“

საჭიროა არასოდეს სხვებს არ მივამსგავსოთ ჩვენი ტანისამოსი და ჩაცმულობა. მოდას აყოლები, ცოდვილობისათვის ხელოვნების სახელის დამრქმევნი და ისინი ვინც თავის თავს პროგრესულს და მოაზროვნეს უწოდებს კარგად ჩაუფიქრდნენ, ამ სადისების აზრს, მოერიდონ და გამოფხიზლდნენ!

ასევე არამია თუ მამაკაცი სხვა მამაკაცის სასირცხვილო ადგილებს შეხედავს, და თუ ქალი სხვა ქალის სასირცხვილო ადგილებს შეხედავს. იგივე სქესისთვის ეს ადგილები ჭიპიდან მუხლისთავებამდეა. უცნობი მამაკაცის შეხედვისას ხელებისა და სახის გარდა ყველა ადგილი ავრეთია. უცნობი ქალისათვის ავრეთის ადგილზე ვნების გარეშე შეხედვაც არამია.

მწოლიარე ავადმყოფმა თუ იგი შიშველია, თავი საბანიდან უნდა გამოყოს და ნამაზი ისე უნდა ილოცოს. ასეთ დროს დაფარულად ჩაითვლება და ნამაზიც ნებადართულია.

მამაკაცი ახლობელ ქალს, რომლის ცოლად

თხოვნა ეკრძალება ვნების გარეშე შეხედავს თავზე, სახეზე, ყელზე და წვივების დაბლა. მაგრამ მკერდზე, ზურგზე, იღლიებზე, მუხლებზე და თეძოებზე ვერ შეხედავს.

ქალისათვის დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ბიძაშვილებიც უცნობ მამაკაცად ითვლებიან. ასევე სიძეც და მამამთილიც უცხო მამაკაცად ითვლებიან. მათთან მარტო საუბარი და ხუმრობა არამია. მამაკაცებისთვისაც დეიდაშვილებთან, მამიდაშვილებთან, ბიძაშვილებთან, რძალთან ან ცოლისდასთან მარტო საუბარი არამია.

მამაკაცი აკრძალულ 18 კატეგორიის ქალთან სიკვდილამდე ვერასოდეს ვერ იქორწინებს. მათთან მარტო დარჩენა და ლაპარაკი ნებადართულია. ასევე ქალიც 18 კატეგორიის აკრძალულ მამაკაცთან ვერ იქორწინებს. აი ეს აკრძალული 18 კატეგორიის ქალები და მამაკაცები:

**სისხლითა და გვარით მონათესავეები:**

ქალები:
1. დედა,
2. ორივე მხრიდან ბებიები,
3. ქალიშვილი და ქალიშვილის ქალიშვილი,
4. და,
5. დისშვილი,
6. ძმისშვილი,
7. დეიდა და მამიდა.

მამაკაცები:
1. მამა,
2. ორივე მხრიდან ბაბუები,
3. ვაჟიშვილი და ვაჟიშვილის ვაჟიშვილი,

4. ძმა,
5. ძმისშვილი,
6. დისშვილი,
7. ორივე მხრიდან ბიძები.

რძითა და ძუძუმტეობით მონათესავეები:

ქალები:
8. ძუძუსმაწოვებელი,
9. ძუძუსმაწოვებლის დედის ან მამის დედა,
10. ძიძისშვილი,
11. ძიძის მხრიდან და,
12. ძიძით დის ქალიშვილი,
13. ძიძით ძმის ქალიშვილი,
14. ძიძით დეიდა და მამიდა.

მამაკაცები:
8. ძიძის ქმარი,
9. ძიძის ქმრის და ძიძის მამები,
10. ძიძისშვილი,
11. ძიძის მხრიდან ძმა,
12. ძიძით დის ვაჟიშვილი,
13. ძიძით ძმის ვაჟიშვილი,
14. ძიძით ბიძები ორივე მხრიდან.

ქორწინებით მონათესავეები:

ქალები:
15. დედამთილი,
16. გერი,
17. დედინაცვალი,
18. რძალი.

მამაკაცები:
15. მამამთილი,

16. გერი,
17. მამინაცვალი,
18. სიძე.

ყველა ქალი და მამაკაცი, ვინც ქუჩაში სასირცხვილო ადგილების დაუფარავად გამოდის და სხვის სასირცხვილო ადგილებს უყურებს, ჯოჯოხეთის გავარვარებულ ცეცხლში დაიწვებიან.

## 4.ისთიყბალი ყიბლე
(ქიბლეს მხარეს დადგომა)

ნამაზის ლოცვისას ქაღბეს მიმართულებით უნდა დავდგეთ. ქაღბე მექქეშია. ამ წმინდა ადგილს ყიბლე ეწოდება. ადრე ყიბლე იერუსალიმში იყო. ჰიჯრეთის 17 თვის თავზე სამშაბათ დღეს ქაღბეში გადაინაცვლა.

ყიბლე ქაღბეს შენობა არ არის, მიწის ნაკვეთია. ამიტომაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ნამაზი ყიბლეს მიხედვით სრულდება.

მაგრამ არის გარემოებანი, რომელთა დროსაც როგორც და რომელ მხარეს დგომითაც შეგვეძლება, ნამაზს იმ მხარეს დავიცავთ და ეს ნამაზი ქმედითი იქნება. აი ეს პირობებიც:

1. ავადმყოფობის დროს.
2. ნივთების მოპარვის საშიშროების დროს.
3. მტაცებელი ცხოველის საფრთხის დროს.
4. მტრის თავდასხმის საფრთხის დროს.
5. თუ ჩამოქვეითების მერე ხელახლა ცხენზე ვეღარ შეჯდება.

მატარებელში, გემში და თვითმფრინავში ყიბლეს მხარეს დადგომა აუცილებელია.

## 5. ვაქით
(ნამაზის ლოცვის დრო)

წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ორი დღე ქაღბეში ჯებრაილი ჩემთან ერთად იყო და ორივემ გამთენიიისას დილის ნამაზი, მზის შუბის ტარზე დადგომისას შუადღის ნამაზი, მზის გადადგომისას იქინდი ნამაზი, მზის ჩასვლისას საღამოს ნამაზი და დაბნელებისას ღამის ნამაზი ვილოცეთ. მეორე დღესაც გამთენიიისას დილის ნამაზი, დაცხომისას შუადღის ნამაზი, მზის გადადგომისას, როცა ყველაფრის ჩრდილი გაორმაგდა, იქინდი ნამაზი, მარხვის დარღვევის დროს საღამოს ნამაზი, ხოლო ღამის ერთი მესამედის გასვლის შემდეგ ღამის ნამაზი ვილოცეთ. ამის მერე ყველა მუსლიმანებმა ამ დადგენილი დროის შუალედებში ილოცონ ნამაზიო, მითხრა."

ამ ხადისისადან გამომდინარე ნამაზის ლოცვის დრო ხუთია:

**დილის ნამაზის დრო** არის დრო ცაზე სითეთრის დაწყებიდან მზის ამოსვლამდე.

**შუადღის ნამაზი დრო** არის დრო როცა ჩრდილები დამოკლდება და გაზრდას დაიწყებს, იქედან დაწყებული ჩრდილების ორმაგად გაზრდამდე.

**იქინდი ნამაზის დრო** შუადღის დროის დამთავრებისას იწყება და მზის ჩასვლამდე გრძელდება. მაგრამ მზის გაყვითლების დაწყებისას ნამაზის ლოცვა მექრუჰია. ამიტომ იქინდი ნამაზის ლოცვა არ უნდა დავაგვიანოთ.

**საღამოს ნამაზის დრო** მზის ჩასვლიდან კარგად დაბნელებამდე გრძელდება. ე.ი. მზის სიწითლის გაქრობამდე.

**ღამის ნამაზის დრო** საღამოს ნამაზის მერე

(მზის სიწითლის გაქრობიდან) იწყება და დილის ნამაზის დროის დაწყებამდე გრძელდება.

ნამაზების დროის მოსვლამდე ლოცვა არ შეიძლება.

**სამ დროს ნამაზის ლოცვა მექრუჰია და არ შეიძლება.** ესენია: მზის ამოსვლისას, ჩასვლისას და ზუსტად შუადღისას. ამ დროს შესრულებული ამ დროს არც **თილავეთ სეჯდეს**[1] და არ მიცვალებულის ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. მზის ჩასვლისას მხოლოდ იმ დღის იქინდი ნამაზის ლოცვა შეიძლება, მაგრამ ესეც მექრუჰია.

## ეზანი და ყამეთი

ეზანი ნამაზის ყველასათვის შეტყობინებას ნიშნავს. ხუთი დროის ნამაზის, პარასკევს ჯუმა ნამაზის ლოცვის წინ ეზნის კითხვა მამაკაცისათვის სუნნეთი მუექქედეა. ქალების ეზანისა და ყამეთის კითხვა მექრუჰია. ეზანი ხმამაღლა იკითხება, რათა სხვებმაც გაიგონონ. ეზანი და ყამეთი ყიბლეს პირდაპირ იკითხება. მისი კითხვის დროს მისალმებაზე პასუხის გაცემა ან ლაპარაკი არ შეიძლება.

### როდის იკითხება ეზანი და ყამეთი?

1. მინდორში ან სხვაგან, ღია ცის ქვეშ, გავლილი ნამაზის მარტო ან ჯგუფურად ლოცვის წინ მამაკაცებისთვის ეზანის კითხვა სუნნეთია. თუ რამდენიმე გავლილი ნამაზს ერთ ადგილას ვლოცულობთ, მხოლოდ ერთ ეზანს ვიკითხავთ, ყამეთს

1. თილავეთ სეჯდე: ყურანში არის 14 აეთი, ამათგან რომელიმეს წაკითხვის დროს სეჯდე უნდა შევასრულოთ. ამ სეჯდეს „თილავეთ სეჯდე" ეწოდება.

კი თითოეული ნამაზისათვის ცალკ-ცალკე ვიკითხავთ.

2. სახლში მარტო ან ჯგუფურად მლოცავის მიერ ეზნის კითხვა საჭირო არაა, რადგან მეჩეთში საკითხი ეზანი სახლსაც მოიცავს. მაგრამ კითხვა უკეთესია. ყამეთის კითხვა კი-საჭიროა. მეჩეთებში, დროის ნამაზების ჯგუფურად ლოცვის შემდეგ, თუ სხვები იგივე ნამაზის სალოცავად შევლენ, ეზანს და ყამეთს აღარ იკითხავენ.

3. სტუმრად მისულებს შეუძლიათ ეზანის წაკითხვა, როგორც ჯგუფურად, ასევე მარტოდ ლოცვის წინ. ასევე მგზავრსაც შეუძლია ეზნის წაკითხვა, რადგანაც მეჩეთში წაკითხული ეზანი მისად არ ითვლება. თუ მგზავრებიდან ერთ-ერთი ეზანს იკითხავს სახლში, მისი მომდევნონი ნამაზს ეზნის გარეშე ილოცავენ.

ჭკვიანი ადამიანის, ბავშვიც რომ იყოს ეზნის კითხვა ნებადართულია. მაგრამ ქალების უაბდესო, მთვრალების და გონებრივად არასრულფასოვნების ეზნის კითხვა თახრიმენ მექრუჰია.

ვინც ეზანს რიდით, პატივისცემით, ასოებისა და სიტყვების ზუსტი გამოთქმით კითხულობს, სამოთხეში პატივითა და მაღალი წოდებებით დაჯილდოვდება.

წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ვინც ეზნის გაგონებისთანავე თვითონაც დაბალ ხმაზე აჰყვება წამკითხველს, თითო ასოსათვის ათასი მადლი მიეწერება და ათასი ცოდვა წაეშლებაო.“

## როგორ იკითხება ეზანი?

| | |
|---|---|
| ალლააჰუ ექბერ | 4-ჯერ |
| ეშჰედუ ენ ლაააა ილააჰე ილლელლააჰ | 2-ჯერ |
| ეშჰედუ ენნე მუხამმედენ რესუულულლააჰ | 2-ჯერ |

ხაიიე ღალეს-სალააჰ 2-ჯერ
ხაიიე ღალელ-ფელააჰ 2-ჯერ
ალლააჰუ ექბერ 2-ჯერ
ლაააა ილააჰე ილლელლააჰ 1-ჯერ

დილის ეზანის კითხვისას ხაიიე ღალელფელააჰ-ის მერე ორჯერ „ეს-სალაათუ ხაირუნ მინენ-ნევმ“ იკითხება.

უამეთის დროს კი ხაიიე ღალელ-ფელააჰ-ის მერე ორჯერ „უად უაამეთის-სალააჰ“ იკითხება.

**ეზნის სიტყვათა მნიშვნელობები:**

**ალლაჰუ ექბერ:** ალლაჰი დიდებულია. მას ზარაფერი არ სჭირდება. ხალხის ღვთისმსახურების გარეშეც დიდებულია და მისთვის რაიმე სარგებლობა არ გააჩნია. ამ მშვენიერი აზრის კარგად დასამახსოვრებლად ალლაჰუ ექბერს ოთხჯერ ვიმეორებთ.

**ეშჰედუ ენ ლა ილააჰე ილლელლააჰ:** ალლაჰს, მიუხედავად იმისა რომ არავის ღვთისმსახურება არ სჭირდება, უნდა ვემსახუროთ, ვადიდოთ და უნდა ვაღიაროთ მხოლოდ ის ერთადერთი. ვაღიარებ რომ ალლაჰი არის უდიდებულესი და მას ვერავინ ვერ შეედრება.

**ეშჰედუ ენნე მუხამმედენ რესუულულლააჰ:** ვირწმუნე და ვაღიარებ, რომ წმინდა მუხამმედი არის ფეიღამბერი დიდებიული ალლაჰისა, რომ ალლაჰი მისი საშუალებით გვაცნობებს უოველივეს.

**ხაიიე ღალეს-სალააჰ, ჰაიიე ღალელ-ფელააჰ:** ამ ორი წინადადებით მოუწოდებენ მუსლიმანებს ნამაზის ლოცვისაკენ რაც მათ ბედნიერებისა და

გადარჩენის საშუალებაა.

ლაა ილააჰე ილლელლააჰ: ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს. სიტყვები აგრძნობინებს მუსლიმანს თავის სიმწირეს დიდებული ალლაჰის მიმართ. ვერც ვინმე შესძლებს შეასრულოს დიდებული ალლაჰის საკადრისი ღვთისმსახურება და არც ვინმე არის ღირსი გარდა ალლაჰისა, მორჩილებისა და აღიარებისა.

ნამაზის ლოცვის დროის შეტყობინებისათვის შერჩეული ამ სიტყვების მნიშვნელობა კარგად უნდა გავიაზროთ.

## 6. ნიეთი

(გადაწყვეტილების მიღება)

ნამაზის სალოცავად დადგომის წინ, რომელ ნამაზსაც ვლოცულებთ იმ ნამაზის ნიეთი გულით უნდა გავიაზროთ და ენით ჩუმად წარმოვსთქვათ. ნიეთის გულით შესრულება ფარძია. მაგ. დილის ნამაზის ნიეთს ასე ვიტყვით: ,,ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის დღევანდელი დილის ნამაზის ფარძის (თუ სუნნეთს ვლოცულობთ, სუნნეთის) სალოცავად.“ ნიეთის თქმის შემდეგ ,,ელლააჰუ ექბერ“ ვამბობთ და ვდგებით ნამაზის სალოცავად.

იმამმა[1] ნიეთის წარმოთქმისას ,,ჩემი მიმყოლების გავხდი იმამი“, მიმყოლებმაც ,,მივყვები იმამს“ უნდა თქვან. მაგ. ,,ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის დღევანდელი დილის ნამაზის ფარძის სალოცავად, ჩემი მიმყოლების გავხდი იმამი.“ მიმყოლების (ჯემააღეთის) ნიეთი: ,,ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის დღევანდელი დილის ნა-

1. იმამი: სულმძღვანელი, ლიდერი. აქ. პიროვნება, ვინც ხალხს ჯგუფურად ალოცვებს.

მაზის ფარძის სალოცავად, მივყვები იმამს.“ ღვთისმსახურებისას მხოლოდ ენით წარმოთქმულ ნიეთს ნიეთი არ ეთქმის, თუ გულით არ ჩაუთქვით და არ გაითავისეთ, ღვთისმსახურება ქმედითი არ არის.

# ლოცვისას შესასრულებელი ფარძები

## 1. იფთითახ თექბირი
(პირველი თექბირი)

ნიეთის თქმის შემდეგ ხელებს უურებთან ავიტანთ და „ალლააჰუ ექბერ“ვიტყვით. „ალლააჰუ ექბერ“ (*ალლაჰი უდიდესია*) თქმას **თექბირი** ეწოდება. იფთითახ თექბირი ნამაზის პირველი თექბირია და ამის თქმა ფარძია. ე. ი. ეს თექბირი რომ არ ვთქვათ ნამაზი ქმედითად არ ჩაითვლება. იფთითახ თექბირის თქმისას მამაკაცები ხელებს უურებთან აიტანებენ და დიდი თითებით უურის ძირებს შეეხებიან. ხელის გულები უიბლეს პირდაპირ უნდა ეჭიროთ. ქალები კი ხელებს მხოლოდ მკერდის სიმაღლეზე აიტანებენ.

## 2. ყიამ
(ფეხზე დგომა)

ნამაზის ლოცვისას როცა ფეხზე დგომა საჭიროა, იქ ფეხზე დგომით ლოცვა ფარძია. თუ ავად ხართ და ვერ დგებით მჯდომარემ, თუ ვერ ჯდებით ზურგზე მწოლიარემ თავის მოძრაობით, მინიშნებით ილოცეთ. წოლისას თავი უიბლეს მიმართ უნდა იყოს, ამიტომ თავქვეშ ბალიში დაიდევით. ფეხები მოხრილი გქონდეთ, უიბლეს მიმართ არ გაშალოთ. ფეხზე დგომისას ფეხებს შუა ოთხი

თითის ტოლი ადგილი უნდა რჩებოდეს.

მჯდომარე ნამაზის ლოცვა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისაც ფეხზე დგომა უჭირს, ვინც ავად არის და მრავალი ტკივილი აწუხებს, ვინც შარდს ვერ იკავებს, ვისაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ანდა ფეხზე დგომისას სასირცხვილო ადგილი გამოუჩნდება. მჯდომარე ნამაზის მლოცველი რუქუღის დროს ცოტათი დაიხრება და სეჯდეს დროს შუბლს ძირში დადებს. ამ მოძრაობას თუ ვერ აკეთებს სეჯდეზე რუქუღთან შედარებით უფრო მეტად დაიხრება. თუ სეჯდეს დროს მოხრა რუქუღზე უფრო დიდი არ არის ნამაზი ქმედითად არ ითვლება. სეჯდეს შესასრულებლად სკამის, ან სხვა რაღაცის დადება არ შეიძლება, მექრუჰია. შუბლის რაიმეზე დადება, ან თუ არ შეგვიძლია ძირში დადება აუცილებელი არაა, მთავარია სეჯდის დროს რუქუღთან შედარებით ცოტა უფრო მეტად დახრა.

## 3. ყირაათ
(ყურანის კითხვა)

ნამაზის ლოცვისას როცა ფეხზე ვდგავართ ყურანი ქერიმიდან რომელიმე მინიმუმ ერთი გრძელი აეთისა და სამი მოკლე აეთის კითხვა ფარძია. ყურანის გარდა სხვა არაფერი არ იკითხება. სუნნეთი ნამაზების ყველა მუხლზე ჯერ **ფაათიხა**[1], შემდეგ კი მოკლე სურე ან ნებისმიერი აეთები იკითხება. ფაათიხას შემდეგ საკითხავ სურეს ან აეთებს **„ზამმისურე“** ეწოდება. ორმუხლიანი ფარძი ნამაზების ლოცვისასაც ყველა მუხლზე ფაათიხა და ზამმისურე იკითხება. ოთმუხლიანი ფარძი ნამაზების ლოცვისას კი პირველ და მეორე

1. **ფაათიხა:** ფაათიხას სურე, ელხემი.

მუხლზე თან ფაათიხა თან ზამმისურე იკითხება, მესამე და მეოთხე მუხლებზე კი-მხოლოდ ფაათიხა იკითხება. სამმუხლიანი ფარძი ნამაზის ლოცვისას პირველ და მეორე მუხლზე თან ფაათიხა თან ზამმისურე იკითხება, მესამე მუხლზე კი -მხოლოდ ფაათიხა იკითხება. ვითირ ნამაზის ლოცვისას პირველ და მეორე მუხლზე თან ფაათიხა თან ზამმისურე იკითხება, მესამე მუხლზე კი ფაათიხა და სპეციალური **დუები**[1], რომლებსაც „ქუნუთ" **დუები** ეწოდება.

## 4. რუქუღი
(წელში მოხრა)

ნამაზის ლოცვისას ყიამისა და ყირაათის შესრულების შემდეგ რუქუღის შესრულება, წელში მოხრა ფარძია. თექბირს ვიტყვით და წელში მოვიხრებით. რუქუღის დროს მამაკაცები ხელის თითებს გაშლიან და მუხლებზე დაიწყობენ, ხოლო თავი და ზურგი გამართულად უჭირავთ. ქალები კი ოდნავ მოიხრებიან. რუქუღზე მინიმუმ სამჯერ „სუბხაანე რაბბიელ ღაზიიმ" ვამბობთ. ერთჯერ თქმის ტოლი დროით წელში მოხრილად ყოფნა ფარძია.

წელში გამართვისას „სემიღალლააჰუ ლიმენ ხამიდეჰ" ვიტყვით. ასე თქმა სუნნეთია. წელში გამართულ მდგომარეობაში კი-„რაბბენა ლექელ ხამდ" ვამბობთ. ჯგუფურად ლოცვის დროს იმამი „სემიღალლააჰუ ლიმენ ხამიდეჰ", მიმყოლები კი-„რაბბენა ლექელ ხამდ" იტყვიან. ამის შემდეგ კვლავ თექბირს ვიტყვით და დავეშვებით ძირს სეჯდის შესასრულებლად.

1. **დუა**: ალლაჰზე ვედრება, ლოცვა, მუდარა.

## 5. სეჯდე

(შუბლის ძირს დადება)

სეჯდეზე ჯერ მუხლებს, მერე ხელებს,მერე შუბლს და ცხვირს ვახებთ ძირს. სეჯდეს დროს დროს ხელის თითები ერთმანეთზე მიტყუპებულია, ყიბლეს პირდაპირაა, თავი ორი ხელის შუაა მოქცეული. ამ დროს თავი სუფთა ადგილას უნდა დავდოთ. თუ საპატიებელი მიზეზი არ არის მხოლოდ ცხვირის მიწაზე დადება ნებადართული არ არის. მხოლოდ შუბლის დადება მექრუჰია. ორივე უნდა დავდოთ.

ორივე ფეხის ან მინიმუმ ერთი ფეხის თითების მიწაზე დადება ვააჯიბია. თუ ასე არ მოხდა ნამაზი არ მიიღება და ქმედითად არ ჩაითვლება.

სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყიბლეს მხარეს მიბრუნება სუნნეთია.

მამაკაცებს ხელები მუცლიდან ცალკე უჭირავთ და მუხლები მიწაზე უწყვიათ, ეს სუნნეთია. ყიამის დროს ფეხები ოთხი თითის მანძილზეა დაშორებული, სეჯდეს დროს ქუსლები შეტყუპებულია, ეს სუნნეთია.

სეჯდეს შესრულებისას შარვალზე ზევით დაკიდება, მკლავებდაკაპიწებული ლოცვა, და მამაკაცების თავშიშველი ლოცვაც მექრუჰია. ჭუჭყიანი ან სამუშაო ტანისამოსით ნამაზის ლოცვა მექრუჰია.

## 5. ყაღდე-ი აახირე

(ბოლო დაჯდომა)

ნამაზის ბოლო მუხლის ლოცვის შემდეგ „ეთთეხიათუს“ კითხვის ტოლი დროით დაჩოქილი ჯდომა ფარძია. ჯდომისას ხელებს მუხლებზე დავიწყობთ, თითები გაშლილია. ხელის თითებით

რაიმეს მინიშნება არ შეიძლება. მამაკაცები მარცხენა ფეხის თითებს მარჯვნივ მიბრუნებულს ძირს დააწყობენ და ფეხზე ზემოდან ჯდებიან. მარჯვენა ფეხი გამართულად უჭირავთ. თითები მიწას ეხება და ყიბლეს მიმართაა მიქცეული. ასე ჯდომა სუნნეთია.

ქალები ძირს ჩვეულებრივად ჯდებიან. თეძოები ერთმანეთთან ახლოს უჭირავთ. მარჯვენა ფეხს მარჯვენა მხრიდან გარეთ გამოყოფენ, მარცხენა ფეხი მარჯვნივ მიმართული ფეხის თითებითურთ დაბლა რჩება.

## როგორ ვილოცოთ ნამაზი?

მამაკაცის ნამაზის ლოცვა:

მაგალითად, დილის ნამაზის სუნნეთი ასე ილოცვება:

1. აბდესს ავიღებთ, სუფთა ტანსაცმელს ჩავიცვამთ, სალოცავ ადგილს გავსუფთავებთ და ყიბლეს მხარეს მოვტრიალდებით. ფეხები ერთმანეთის პარალელურად და ოთხი თითის მანძილის მოშორებით გვიჭირავს. ნიეთს ვიტვით: „ნიეთი ვქენი ღმერთის ხათრისთვის დღევანდელი დილის ნამაზის სუნნეთის სალოცავად", ხელებს მაღლა ავწევთ, ცერი თითებით ყურის ბიბილოს ვეხებით, ხელისგულები ყიბლეს მიმართ გაშლილი გვიჭირავს. იფთითახ თექბირს ვიტყვით და მუცელზე (ჭიპის ქვეშ) ხელებს დავიწყობთ: მარჯვენა ხელი მარცხენას გარედან უნდა იყოს.

2. თვალებს სეჯდეს ადგილს არ ვაცილებთ და „სუბხანექეს" ვკითხულობთ. შემდეგ ეღუზუ ბისმილლას წარმოვთქვამთ. ფაათიხას, შემდეგ კი ზამმისურეს ვკითხულობთ. ზამმისურეს ჩაკი-

თხვის წინ ბისმილლას აღარ ვამბობთ.

3. ზამმისურეს წაკითხვის შემდეგ თექბირს ვიტყვით და რუქუღის შესასრულებლად წელში მოვისრებით. რუქუღზე ხელებს მუხლისთავებზე ვიწყობთ, წელში მართი კუთხით ვართ მოხრილი, თვალებს ფეხის თითებიდან არ ვაცილებთ და არანაკლებ სამჯერ „სუბხაანე რაბბიელ-ღაზიმ“ ვამბობთ. ამის თქმა 5-ჯერ ან 7-ჯერაც შეიძლება.

سُبْحَانَ رَبِّيَ الْعَظِيمِ

4. შემდეგ „სემი ღალლააჰუ ლიმენ ხამიდეჰ“ ვამბობთ და წელში ვიმართებით. ზუსტად წელში გამართვის შემდეგ „რაბბენა ლექელ ხამდ“ ვამბობთ.

5. ფეხზე დიდხანს არ ვჩერდებით, თექბირს ვიტყვით და სეჯდეზე დავდივართ. ამ დროს ჯერ მუხლები, მერნე ხელები, მერე ცხვირი და შუბლი მიწას ეხება. ფეხის თითებს ვხრით ყიბლეს მიმართულე-ბით. თავს ორ ხელს შუა ვიჭერთ, ხელის თითები ერთმანეთზე შეტკუცულია. ხელისგულებს მიწაზე ვაბჯენთ, ხოლო იდაყვებს-არა. ასეთ მდგომარეობაში მინიმუმ სამჯერ „სუბხანე რაბბიელ აღლა“ ვიტყვით.

سُبْحَانَ رَبِّيَ الْأَعْلَى

6. თექბირს ვამბობთ და თავს მაღლა ვწევთ. მარცხენა ფეხს მიწაზე გავშლით, თითები მარჯვენა ფეხისკენაა, მარჯვენა ფეხის თითები ყიბლეს მიმართულებით იხრება და მარცხენა გაშლილ ფეხზე ვჯდებით, ხელებს მუხლისთავებზე ვიწყობთ, ხოლო თითები თავისუფალ ბუნებრივ მდგომარეობაშია.

7. დიდხანს არ ვჩერდებით, თექბირს ვიტყვით და ისევ ერთი სეჯდე მეორდება.

8. მერე თექბირს ვიტყვით და ფეხზე წამოვდგებით. წამოდგომისას ხელებს არ დავეყრდნობით და სხეულს არ შევათამაშებთ. სეჯდედან ადგომისას მიწას ვაშორებთ ჯერ შუბლსა და ცხვირს, მერე ხელებს და ბოლოს მუხლებს.

9. ფეხზე ავდგებით, ბისმილლას ვიტყვით, ფაათიხას, მერე ზამმისურეს ჩავიკითხავთ, თექბირს ვიტყვით და წელში მოვიხრებით.

10. ამის შემდეგ მეორე მუხლიც პირველი მუხლის მსგავსად სრულდება, მხოლოდ მეორე მუხლზე სეჯდეს შესრულების შემდეგ ფეხზე აღარ წამოვდგებით, მარცხენა ფეხზე დავჯდებით და ჩავიკითხავთ შემდეგ ლოცვებს (დუებს): ეთთეხიიათუ, ალლაჰუმმე სალლი, ალლაჰუმმე ბაარიქ, რაბბენა ათინა, რაბბანეღფირლიი. ამის მერე მისალმებას ვასრულებთ ჯერ მარჯვნივ: „ესსელამუ ღალეიქუმ ვე რახმეთულლააჰ“ და მერე მარცხნივ: „ესსელამუ ღალეიქუმ ვე რახმეთულლააჰ.“

اَلسَّلَامُ عَلَيْكُمْ وَرَحْمَةُ اللّٰهِ

ამის მერე წარმოვთქვამთ სიტყვებს: „ალლაჰუმმე ენთესსელამ ვე მინქესსელამ თებარექთე იაა ზელ-ჯელაალი ველ-იქრაამ.“

اَللّٰهُمَّ اَنْتَ السَّلَامُ وَمِنْكَ السَّلَامُ تَبَارَكْتَ يَا ذَا الْجَلَالِ وَالْاِكْرَامِ

მერე ვკითხულობთ: „აიეთელ ქურსს“ (ელლააჰუ ლაა ილააჰე...), 33-ჯერ „სუბხაანელლაჰ“, 33-ჯერ „ელხამდულილლაჰ“, 33-ჯერ „ალლააჰუ ექბერ“ ვამბობთ და ამის მერე ლოცვას

(დუას) ვიზამთ. დუის შესრულებისას მამაკაცები ხელებს მკერდის სიმაღლეზე იკავებენ, იდაყვებს არ ხრიან, ხელისგულებს შლიან და ცას მიაპყრობენ, რადგანაც როგორც ნამაზის ყიბლე ქაღბე არის, ისევე დუის ქაღბე ცაა. დუის დასრულების მერე ფაათიხას ჩავიკითხავთ და ხელებს სახეზე გადავისვამთ.

ოთხმუხლიანი ნამაზების ლოცვისას მეორე მუხლის შემდეგ დავჯდებით, მხოლოდ „ეთთეხიათს ვიკითხავთ და მესამე მუხლის სალოცავად წამოვდგებით. მეოთხე მუხლის შემდეგ კი-დავჯდებით და ზემოთ აღნუშნულ დუებს ვიკითხავთ.

### ქალის ნამაზის ლოცვა:

მაგალითად დილის ნამაზის სუნნეთები ასე სრულდება.

1. სხეული იფარება ისე, რომ თავიდან ფეხებამდე სხეულის ფორმა არ ჩანდეს. მხოლოდ სახე და ხელები რჩება დაუფარავი. ნამაზის ლოცვა ზემოთმოყვანილ მამაკაცის ნამაზთან ერთი და იგივეა. განსხვავებები მხოლოდ შემდეგია:

-ხელები მამაკაცების მსგავსად ყურებამდე არ ააქვთ. მხრებამდე ასწევენ, თექბირს იტყვიან და ხელებს მკერდზე დაიწყობენ.

-რუქუღის დროს წელში ოდნავ მოიხრებიან.

-სეჯდეს დროს იდაყვებიც ძირს შეეხება.

-ჯდომის დროს თეძოების ზემოდან დაჯდებით ე.ი. მარჯვენა და მარცხენა ფეხები მარჯვნივ მიქცეულია და ისე ზიან.

## ნამაზის ვაჯიბები

1. ფაათიხას სურეს კითხვა.

2. ფაათიხას მერე ზამმისურეს კითხვა.
3. ზამმისურეზე წინ ფაათიხას კითხვა.
4. ფაათიხას შემდეგ ფარძების პირველ და მეორე მუხლებზე, ხოლო სუნნეთების ყველა მუხლებზე ზამმისურეს კითხვა.
5. სეჯდეების თანამიმდევრობით შესრულება.
6. სუნნეთ და ფარძი ნამაზების ყველა მუხლზე ფაათიხას კითხვა.
7. სამ და ოთხ მუხლიანი ნამაზების ლოცვისას მეორე მუხლის შემდეგ ჯდომა. ბოლო ჯდომა (ყაღდეი აახირე) ფარძია. ბოლო ჯდომა ორმუხლიან ნამაზებზე მეორე მუხლის შემდეგ, სამმუხლიან ნამაზზე მესამე მუხლის შემდეგ და ოთხმუხლიან ნამაზებზე მეოთხე მუხლის შემდეგ ჯდომაა.
8. მეორე მუხლის შემდეგ ჯდომისას ეთეხიათუს კითხვის შემდეგ დროის გაყვანის გარეშე მესამე მუხლის სალოცავად წამოდგომა.
9. სეჯდეს დროს შუბლთან ერთად ცხვირის ძირს დადება.
10. ბოლო ჯდომისას ეთთეხიათუს კითხვა.
11. ნამაზის ყველა მუხლების როგორც საჭიროა ისე ლოცვა. ამას „თაღდილი ერქანი“ ეწოდება.
12. ნამაზის დასასრულს „ესსელამუ ღალეიქუმ ვე რახმეთულლაჰ“-ის წარმოთქმა.
13. ვითირ ნამაზის მესამე მუხლზე, ფაათიხასა და ზამმისურეს შემდეგ ქუნუთ დუების კითხვა.
14. ბაირამ ნამაზების დროს თექბირის თქმა.
15. დილის, ბაირამის, ჯუმა, თერავის, ვითირ ნამაზებისა და საღამოსა და ღამის ნამაზების ჯგუფურად ლოცვის დროს, პირველ და მეორე მუხლზე იმამის მხრიდან მაღალ ხმაზე კითხვა.

16. შუადღის და იქინდი ნამაზების ყველა მუხლზე, საღამოს ნამაზის მესამე, ღამის ნამაზის მესამე და მეოთხე მუხლებზე იმამის მხრიდან უხმოდ კითხვა. ამ მუხლებზე მარტოდ მლოცველმაც უხმოდ უნდა იკითხოს.

**ყურბან ბაირამის**[1] წინა დღის დილის ნამაზიდან მოყოლებული ბაირამის მეოთხე დღის იქინდი ნამაზამდე ფარძი ნამაზების ლოცვის შემდეგ თექბირები უნდა ვიკითხოთ. ამ თექბირებს **„თეშრიყ თექბირები“** ეწოდება. თეშრიყ თექბირების კითხვა ვააჯიბია.

**სეჰივ სეჯდე:** ნამაზის მლოცველს შეგნებულად ან შეუგნებლად რაიმე ფარძი რომ გამორჩეს ის ნამაზი მოიშლება. მაგრამ თუ ფარძის შესრულება დააგვიანა ან რაიმე ვაჯიბი გამოტოვა, ნამაზის ბოლოს სეჰივ სეჯდე უნდა შეასრულოს. სხვანაირად ნამაზი სრულად არ ჩაითვლება. ნამაზის ლოცვისას რომელიმე სუნნეთის გამოტოვების შემთხვევაში ნამაზი არ მოიშლება და სეჰივ სეჯდეს შესრულებაც საჭირო არაა.

თუ ერთ ნამაზზე რამოდენიმე შეცდომა დაუშვით, ნამაზის ბოლოს სეჰივ სეჯდეს ერთხელ შესრულება საკმარისია. იმამის დაშვებული შეცდომის მერეც სეჰივ სეჯდეს შესრულება საჭიროა.

**სეჰივ სეჯდე შემდეგნაირად სრულდება:** ნამაზის ბოლო ჯდომაზე ეთთეხიათს ჩავიკითხავთ, მხოლოდ მარჯვენა მხარეს მივესალმებით, მერე ორ სეჯდეს გავაკეთებთ, დავჯდებით და კვლავ ეთთეხიათს, ელლაჰუმმესალლს, ელლაჰუმმე-

1. ყურბან ბაირამი: ღმერთზე პირუტყვის შეწირვის დღესასწაული.

ბაარიქს, რაბბენა აათინასა და რაბბენელფირლის ჩავიკითხავთ, სელამს მივსცემთ და ნამაზს დავასრულებთ. ერთ ან ორ მხარეს მისალმებით ანდა მისალმების გარეშეც სეჰივ სეჯდეს შესრულება შეიძლება. მაგრამ ჯუგუფურად ლოცვის დროს თუ იმამმა სეჰივ სეჯდე უნდა შეასრულოს მხოლოდ ცალ მხარეს უნდა მისცეს სელამი.

**შემთხვევები, როცა სეჰივ სეჯდე უნდა შევასრულოთ:** წამოდგომა ადგილიდან, სადაც ჯდომა საჭირო იყო. ჯდომა ადგილზე, საიდანაც უნდა წამოვმდგარიყავით. ხმამაღლა კითხვის ნაცვლად უხმოდ კითხვა. უხმოდ კითხვის ნაცვლად მაღალი ხმით კითხვა. დუის ნაცვლად ყურანი ქერიმის კითხვა, ყურანი ქერიმის ნაცვლად დუის კითხვა. მაგალითად ფაათიხას ნაცვლად ეთთეხიათუს კითხვა. ასეთ დროს ფაათიხა გამოტოვებულად ითვლება. ნამაზის დამთავრებამდე მისალმება, ფარძ ნამაზებში მესამე და მეოთხე მუხლებზე ფათიხას მერე ზამმისურეს კითხვა, ხოლო პირველ ორ მუხლზე ფაათიხას მერე ზამმისურეს წაუკითხაობა, ბაირამ ნამაზებზე თექბირების მიტოვება, ვითირ ნამაზის ლოცვისას ქუნუთ დუების მიტოვება.

**თილავეთ სეჯდე:** ყურანი ქერიმში არის 14 აეთი. მათმა წამკითხველმა ანდა მსმენელმა, მნიშვნელობა რომც ვერ გაიგოს, საჭიროა სეჯდე შეასრულოს. ამ სეჯდეს „თილავეთ სეჯდე" ეწოდება. ვინც წერს ამ აეთებს, მის მიერ სეჯდეს შესრულება საჭირო არ არის.

თილავეთ სეჯდე აბდეისანი უნდა შევასრულოთ. ნიეთს ვიტყვით, ყიბლეს პირდაპირ ფეხზე დავდ-

გებით, ყურებთან ხელების მიტანლად „ალლაჰუ ექბერ“ წარმოვსთქვათ და სეჯდეს შევასრულებთ. სეჯდეზე სამჯერ „სუბხაანე რაბბიელ აჲლა“ წარმოითქმება, მერე „ალლაჰუ ექბერ“-ს წარმოვთქვამთ, ფეხზე წამოვდგებით და თილავეთ სეჯდეც დასრულდება.

თუ ნამაზის ლოცვისას ყირაათის დასაწყისში ან შუაში სეჯდე აეთებს ვიკითხავთ, მაშინვე ერთ რუქუღს და სეჯდეს ვასრულებთ, ფეხზე ვდგებით და ლოცვას ვაგრძელებთ. თუ ამ აეთებს ყირაათის დასასრულს ვიკითხავთ, განსაკუთრებით სეჯდეს აღარ შევასრულებთ, რადგანაც უკვე ნამაზის სეჯდე უნდა შევასრულოთ, რაც თილავეთ სეჯდეს ადგილსაც დაიჭერს.

**მადლობის (შუქურ) სეჯდე:** რაიმე დარდსა და გასაჭირს გადარჩენილმა და თავდაღწეულმა ადამიანმა, ანდა რაიმე სასიხარულო ამბის მიმღებმა საჭიროა მადლობის ნიშნად ეს სეჯდე შეასრულოს. მადლობის სეჯდე თილავეთ სეჯდეს მსგავსად სრულდება.

## ნამაზის სუნნეთები

1. ნამაზის დროს ხელების ყურებთან მიტანა.
2. ხელისგულების ყიბლესკენ მიპყრობა.
3. თექბირის შესრულების მერე ხელების შეკვრა.
4. მარჯვენა ხელის მარცხენას გარედან დადება.
5. მამაკაცისთვის ხელების მუცლის ქვემოთ დადება, ქალებისათვის ხელების მკერდზე დადება.

6. იფთითახ თექბირის მერე სუბხანექეს კითხვა.

7. იმამის და მარტოდ ნამაზის შემსრულებლებისათვის ეღუზუბილლა-ს კითხვა.

8. ბისმილლის კითხვა.

9. რუქუღზე სამჯერ „სუბხაანე რაბბიელ ღაზიიმ"-ის წარმოთქმა.

10. სეჯდზე სამჯერ „სუბხაანე რაბბიელ აღლა"-ს წარმოთქმა.

11. ბოლო ჯდომისას ალლაჰუმმე სალლისა და ალლაჰუმმე ბაარიქის კითხვა.

12. მისალმების დროს ორივე მხარეზე შეხედვა.

13. პირველ მუხლზე მეორე მუხლთან შედარებით უფრო გრძელი ზამმისურეს კითხვა.

14. რუქუღიდან წამოდგომისას იმამისა და მარტოდ ნამაზის მლოცველების მერ „სემი ღალლაჰუ ლიმენ ხამიდეჰ"-ის წარმოთქმა.

15. რუქუღიდან წამოდგომის შემდეგ „რაბბენა ლექელ ხამდ"-ის წარმოთქმა.

16. სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყიბლეს მხარეს მიქცევა.

17. რუქუღისა და სეჯდეების შესრულებისას თექბირის წარმოთქმა.

18. ხელების და მუხლების ძირს დადება.

19. ფეხები ყიამის დროს ერთმანეთისაგან ოთხი თითის დაშორებაზე, ხოლო სეჯდეს დროს შეტყუპებული უნდა იყოს.

20. ფაათიხას მერე „აამინ"-ის წარმოთქმა, რუქუღზე ადრე თექბირის შესრულება, რუქუღის დროს ხელის თითების გაშლა და მუხლისთავებზე დაწყობა, სეჯდეს დროს თექბირის შესრულება, ჯდომისას მარცხენა ფეხის დაბლა გაშლა, მარჯვენა ფეხის სწორად დაჭერა და ასე ჯდომა, ორ სეჯდეს შუა ჯდომა.

საღამოს ნამაზის დროს მოკლე სურეებს კითხულობენ. ღამის და დილის ნამაზის დროს კი - გრძელ სურეებს.

## ნამაზის მუსთეხაბები

1. ნამაზის ლოცვისას სეჯდეს ადგილზე ცქერა.

2. რუქუღის შესრულების დროს ფეხებზე ყურება.

3. სეჯდეს დროს ცხვირის დადებულ ადგილზე ყურება.

4. ჯდომის დროს მუხლისთავებზე ყურება.

5. დილის და შუადღის ნამაზებზე გრძელი, საღამოს ნამაზებზე მოკლე ზამმისურეს კითხვა.

6. ჯგუფურად ლოცვისას იმამზე მიმყოლების მხრიდან თექბირის ჩუმად თქმა.

7. რუქუღის დროს თითების გაშლა და მუხლებზე დაწყობა.

8. რუქუღის დროს თავისა და კისრის გამართულად დაჭერა.

9. სეჯდეს შესრულებისას ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა მუხლის ძირს დადება.

10. სეჯდეს დროს თავის ორ ხელს შუა დადება.

11. სეჯდეს დროს ჯერ ცხვირის მერე შუბლის დადება.

12. ნამაზის ლოცვისას დამთქნარების შემთხვევაში პირის ხელის ზურგით დაფარვა.

13. სეჯდეს დროს მამაკაცებისათვის იდაყვების ზემოთ დაჭერა, ქალებისათვის მთლიანი მკლავის მიწაზე გართხმა.

14. სეჯდეს დროს მამაკაცებისათვის ხელებისა და ფეხების მუცლისაგან მოშორებით დაჭერა.

15. რუქუღისა და სეჯდეს დროს სამჯერ „სუბ-

ხანე რაბბიელ ღაზიიმ“ თქმის ტოლი დროით წელში მოხრილი გაჩერება.

16. სეჯდეს დროს თავის წამოწევის მერე ხელების წამოწევა.

17. ხელების წამოწევის მერე მუხლების წამოწევა.

18. ჯდომის დროს ხელების თეძოებზე დალაგება თითების ყიბლეს მიმართ სწორად დაჭერა, არასოდეს მოხრა და არასოდეს შეთამაშება.

19. მარჯვნივ და მარცხნივ მისალმების დროს თავის მიბრუნება და მობრუნება.

20. მისალმებისას მხრისთავებზე ყურება.

## ნამაზის მექრუჰები

1. ტანსაცმლის ჩაცმის მაგივრად, წამოხურვა და ისე ლოცვა.

2. სეჯდეს შესრულების დროს ქვედაბოლოსა და შარვლის ტოტების აკეცვა.

3. შარვლის, ქვედაბოლოსა და მკლავების დაკაპიწება და ისე ნამაზის შესრულება.

4. უსარგებლო და ფუჭი მოქმედებების შესრულება.

5. სამუშაო ანდა უფროსების გვერდით ჩასაცმელად უხერხული ტანსაცმლით ლოცვა.

6. პირში კითხვის დამაბრკოლებელი რაიმის ჩადება. (ამ დროს ნამაზი ირღვევა).

7. თავდაუხურავად ნამაზის ლოცვა.

8. ტუალეტში გასვლის საჭიროების შემთხვევაში აბდესი არ მოიშალოსო არ გასვლა და ისე შეწუხებული აბდესით ლოცვა.

9. ნამაზის დროს სეჯდეს ადგილიდან ქვის ან მიწის ხელით მოცილება.

10. ნამაზის დროს თითების გატკაცუნება.
11. ნამაზის დროს ხელის მუცელზე გვერდიდან დადება.
12. თავის მარჯვნივ-მარცხნივ მიტრიალება, იქ მყოფთა დათვალიერება. (მკერდის მიმართულების შეცვლისას ნამაზი ირღვევა).
13. ჯდომისას მარცხენა ფეხზე არჯდომა.
14. სეჯდეს დროს მამაკაცების მკლავების მიწაზე გართხმა.
15. ადამიანების სახის პირდაპირ და ხმამაღლა მოლაპარაკეთა პირდაპირ ნამაზის ლოცვა.
16. ვინმეს მისალმებაზე ხელით ან თავის დაქნევით პასუხის გაცემა.
17. ნამაზის ლოცვისას დამთქნარება.
18. ნამაზის ლოცვისას თვალების დახუჭვა.
19. მიმყოლებისაგან განცალკევებით იმამის ნახევარ მეტრზე მეტ სიმაღლეზე დგომა.
20. მიმყოლებისაგან განცალკევებით იმამის ძალიან დაბლა დგომა.
21. წინა რიგებში ადგილის შემთხვევაში უკანა რიგებში ცალკე დგომა.
22. რაიმე ცოცხალი არსების გამოსახულების მქონე ტანსაცმლის ჩაცმა.
23. კედელზე ან რაიმე თვალსაჩინო ადგილზე სურათის ჩამოკიდება და ნამაზის ლოცვა.
24. ცეცხლის პირდაპირ ნამაზის ლოცვა.
25. ნამაზის დროს აეთების კრიალოსნით გადათვლა.
26. თავიდან ფეხებამდე ერთი ფეშტემალის ჩაცმა და ნამაზის ლოცვა.
27. თავის შუა ადგილის დაუფარავად ნამაზის ლოცვა.
28. პირისა და ცხვირის წმენდა-წმენდით ნა-

მაზის ლოცვა.

29. საპატიებელი საბაბის გარეშე პირიდან ნახველის ამოღება.

30. ხელების მოძრაობა და შეთამაშება.

31. ნამაზის რომელიმე სუნნეთის მიტოვება.

32. აუცილებლობის გარეშე ნამაზის დაწყება, მაგ. როდესაც კალთაში ბავშვი გიზით.

33. გულის მისავალი რამეების, მაგალითად მორთულ-მოკაზმული ნივთების, მუსიკა-გართობის, ანდა გემრიელი საჭმელების გვერდით ნამაზის ლოცვა.

34. ფარძების შესრულების დროს აუცილებლობის გარეშე კედელზე ან რაიმე საყრდენზე მიყრდნობა.

35. რუქუღის შესრულებისას და წამოდგომისას ხელების ყურებთან მიტანა.

36. რუქუღზე მოხრის დროს ზამმისურეს კითხვის დასრულება.

37. სეჯდესა და რუქუღის შესრულებისას იმამზე ადრე თავის დადება და წამოწევა.

38. ნამაზის ლოცვა იმ ადგილებზე, სადაც სიბინძურის არსებობის შესაძლებლობაა.

39. სასაფლაოს პირდაპირ ნამაზის ლოცვა.

40. ეთთეხიათუ-ს კითხვისას დაჯდომა სუნნეთის შეუსაბამოდ.

41. პირველთან შედარებით მეორე მუხლზე უფრო გრძელი აეთების კითხვა.

## ნამაზის გარეთ მექრუჰი ქცევები

1. ყიბლეს პირდაპირ აბდესის მოშლა[1].

2. მთვარისა და მზის პირდიპირ აბდესის მო-

1. აბდესის მოშლა: აქ იგულისხმება ტუალეტის პროცესები.

შლა.

3. პატარა ბავშვების უიბლეს პირდაპირ დაყენება და მოშარდვინება. ეს საქციელი ბავშვის ხელში დამჯერ უფროსს ცოდვად ეთვლება. რადგან მისი გამკეთებელი უფროსია.

4. უიბლეს პირდაპირ აუცილებლობის გარეშე ფეხების ან ერთი ფეხის გაშლა.

5. რელიგიური წიგნების მხარეს ფეხების გამოშლა. თუ წიგნები მაღალ ადგილზე დევს, მაშინ მექრუჰი არ არის.

## ნამაზის მომშლელი ფაქტორები

1. აუცილებლობის გარეშე დახველება ან ყელის გაწმენდა დახველებით.

2. ცხვირის დაცემინების დროს „ელხამდულილლაჰ" (მადლობა ღმერთს) თქმა.

3. ნამაზის მარტოდ მლოცველი გვერდით ჯგუფურად მლოცველების იმამს თუ რაიმეს შეუსწორებს, მისი ნამაზი მოიშლება, თუ იმამიც მიიღებს ამ შესწორებას, მაშინ იმამის ნამაზიც მოიშლება.

4. ნამაზის დროს „ლა ილააჰე ილლელლაჰ" თქმისას თუ მლოცველის მიზანი ამ სიტყვებზე პასუხის მიღებაა, მისი ნამაზი ირღვევა. თუ მიზანი მხოლოდ სხვათათვის შეტყობინებაა არ დაირღვევა.

5. სასირცხვილო, (აკრძალული) ადგილის გამოჩენა.

6. ტკივილის ან სხვა მისი მსგავსი მიზეზის გამო ტირილი. თუ ტირილის მიზეზი რაიმე ლოცვაა (დუაა), მაშინ ნამაზი არ დაირღვევა.

7. სიტყვებით ან ხელით ვინმეზე მისალმება.

8. გავლილი ნამაზები თუ ექვსზე მეტი არ არის და ნამაზის დროს გაგახსენდებათ.

9. ნამაზის დროს ისეთი მოძრაობების შესრულება, რომლებიც სხვას ნამაზისთვის საჭიროს არა და სხვა მოძრაობას აფიქრებინებს.

10. ნამაზის დროს რაიმეს ჭამა ან დალევა.

11. ნამაზის დროს ლაპარაკი.

12. იმამის გარდა სხვა ვინმეს შეცდომის გასწორება.

13. ნამაზის დროს ხმით სიცილი.

14. ნამაზის დროს ოხვრა და კვნესა.

**ნამაზის მოშლა შესაძლებელია (მუბახია) შემდეგ შემთხვევებში:**

1. გველის მოსაკლავად (თუ საფრთხეს გვიქმნის).

2. გაქცეული ცხოველის დასაჭერად.

3. ფარის მგლისგან გადასარჩენად.

4. გადმოსული ქვაბის ჩასაქრობად.

5. დროის საკმარისობის შემთხვევაში ნამაზის დამრღვევი რამისაგან გადასარჩენად დარღვევა. მაგალითად პატარა სიბინძურის გასასუფთავებლად აბდესის აღება, ანდა უცნობი ქალისთვის ხელის შეხების გახსენება და ამისთვის აბდესის აღება.

6. აბდესის ან ბუნებრივი აუცილებლობის (ტუალეტის) შემთხვევებშიც ნამაზის დარღვევა ნებადართულია.

**შემთხვევები, რომლის დროსაც ნამაზის მოშლა ფარძია:**

1. რათა გადავარჩინოთ ჭაში ჩავარდნილი ვინ-

მე, დაწვის საფრთხის პირისპირ მდგარი ვინმე, დახრჩობის პირას მისული ვინმე ანდა „მიშველეთო“ მოუვირალი ვინმე.

2. დედის, მამის, ბებიის და ბაბუის დაძახების შემთხვევაში ფარძი ნამაზის დარღვევა გააჯიბი არ არის, მართალია ნებადართულია, მაგრამ თუ აუცილებლობა არ არის, არ უნდა მოვშალოთ. ნააფილე ნამაზებისა და სუნნეთების მოშლა კი შეიძლება. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს თქვენი მიხმარება და შველა სჭირდებათ ნამაზის ლოცვა უნდა შეწყვიტოთ და დაეხმაროთ.

## ჯგუფურად ნამაზის ლოცვა

თუ მინიმუმ ორი კაციდან ერთი იმამია ეს უკვე ჯგუფური ნამაზია. მამაკაცებისათვის ფარძი ნამაზების ჯგუფურად ლოცვა სუნნეთია. ჯუმა და ბაირამ ნამაზების ჯგუფურად ლოცვა კი ფარძია. ჰადისებში სწერია:

-„ჯგუფურად ნალოცი ნამაზის მადლი მარტოდ ნალოცზე 27-ჯერ უფრო მეტი მადლიანია.“

-„სრულყოფილი აბდესის აღების შემდეგ მეჩეთში ჯგუფურად ნამაზის სალოცავად წამსვლელს დიდი ალლაჰი ყოველი ნაბიჯისათვის თითო მადლს დაუწერს, თითო ცოდვას წაუშლის და სამოთხეშიც მის წოდებას აამაღლებს.“

ჯგუფური ნამაზი მუსლიმანებს შორის ერთიანობას უზრუნველჰყოფს, სიყვარულსა და პატივისცემას ზრდის. ჯგუფი ერთად იკრიბება და მუსაიფობს, ერთმანეთის დარდსა და სატკივარს იზიარებს. ეს ჯგუფები არის ყველაზე ნათელი მაგალითი მუსლიმანების ერთ სისხლად და ერთ სხეულად, ერთ მუშტად შეკვრისა და გაერთიანე-

ბისა. ავადმყოფების, ხეიბრების და დასუსტებულების ჯგუფთან ერთად ნამაზის შესრულება სავალდებულო არ არის.

ჯგუფური ნამაზის დროს ადამიანს, რომელსაც მიჰყვება და ჰბაძავს ჯგუფი „იმამი" ეწოდება. ჯგუფად ყოფნასაც და იმამობასაც თავისი პირობები აქვს.

**იმამობისათვის საჭირო პირობები:**

იმამობისათვის ექვსი პირობაა საჭირო. აქედან ერთიც რომ აკლდეს, იმ იმამის ერთად ნამაზი ქმედითად არ ითვლება.

1. მუსლიმანობა. იმამი მუსლიმანი უნდა იყოს.

2. სქესობრივად მოწიფულობა.

3. ჭკვიანი უნდა იყოს. მთვრალი და გიჟი იმამი ვერ გახდება.

4. მამაკაცი უნდა იყოს. ქალი მამაკაცების იმამი ვერ გახდება.

5. მინიმუმ ფაათიხასა და ერთი აეთის სწორად წაკითხვის უნარი. ერთი აეთის დამზეპირებელი თუ იმ აეთს სწორად ვერ წარმოსთქვამს, ყოვნდება ან იბნევა, ის იმამი ვერ გახდება.

6. რაიმე ხეიბრობის უქონლობა. ხეიბარი ჯანმრთელების იმამი ვერ გახდება.

საერთო თვალსაზრისით იმამმა საჭიროა სწორად და გამართულად წაიკითხოს ყურანი ქერიმი. ლამაზი ყურანი, სწორად წაკითხული ყურანია. ნამაზის პირობების მიმართ უპატივცემულო ადამიანი იმამი ვერ იქნება.

იმამობისთვის ყველაზე შესაფერისი ადამიანი რელიგიური კანონებისა და წესების ყველაზე კარგად მცოდნეა. მათ შორისაც ყურანი ქერიმის

ყველაზე უკეთესად წამკითხავი აირჩევა. თუ აქაც თანასწორობა იქნება ასაკობრივად უფროსს უპირატესობა მიენიჭება.

იმამმა მლოცველთა მომაბეზრებლად დიდხანს ნამაზი არ უნდა გააჭიანუროს.

თუ ნამაზს იმამი და მხოლოდ ერთი კაცი ლოცულობენ, მლოცველი იმამის გვერდით ცოტა უკან დადგება. თუ მლოცველები ორი ან ორზე მეტნი არიან, იმამი მათ წინ გავა.

იმამის უკან მამაკაცები რიგში დგებიან, მათ უკან ბავშვები და მათ უკან ქალები.

თუ ერთ რიგში ქალები და მამაკაცები ერთად არეულნი არიან მამაკაცების ნამაზი მოიშლება. დამჯდარი ფეხზე მდგარის, ფარძის მოლცველი ნააფილეს მლოცველის, მგზავრი ადგილობრივის იმამი რომ გახდეს, შეიძლება. ნამაზის დასრულების შემდეგ თუ ვინმე შეიტყობს, რომ იმამი უაბდესო იყო, ნამაზი ხელახლად უნდა ილოცოს.

ვინც იმამს რუქუღზე მიუსწრებს და მიჰყვება, ის მუხლი ჩაეთვლება. რუქუღის შემდეგ თუ მიუსწრო და მიჰყვა ის მუხლი აღარ ჩაეთვლება.

თუ მუსლიმანი დღის ყველა ხუთ ნამაზს ჯგუფთან ერთად ილოცავს ისეთ მადლს მოიგებს, თითქოს ნამაზი ფეიღამბრებთან ერთად შეესრულებინოს.

ჯგუფურ ნამაზს ძალიან ბევრი სარგებლობები გააჩნია, ამიტომ უმიზეზოდ არ უნდა მივატოვოთ. ხუთივე ნამაზის ჯგუფთან ერთად ლოცვას უნდა ვცდილობდეთ. წარღვნის დღეს დიდებულმა ალლაჰმა მიწის შვიდი სკნელი და ცის შვიდი წყება და ყველა ცოცხალი არსებები სასწორის ერთ პინაზე რომ დადოს და მეორე პინაზე კი ჯგუფურად შესრულებული ნამაზების მადლი დადოს, ამ ნა-

მაზების მადლი უფრო დიდი იქნება და სასწორს გადასწონის.

**იმამზე მიყოლისათვის საჭიროა:**

1. იფთითას თექბირის აღებამდე იმამზე მიყოლისათვის ნიეთი. გულში უნდა გაივლოთ სიტყვები „მივყვები იმამს."

2. საჭიროა იმამმა ქალებისთვის ცალკე ნიეთი თქვას თუ მიმყოლებს შორის ქალებიც არიან. მამაკაცებისთვის ცალკე ნიეთი საჭირო არ არის.

3. მიმყოლები იმამზე უკან უნდა იყვნენ, არანაკლებ მიმყოლების ქუსლები იმამის ქუსლების უკან უნდა იყოს.

4. იმამმა და მიმყოლებმა ერთი და იგივე ფარძი ნამაზი უნდა ილოცონ.

5. იმამსა და მიმყოლებს შორის ქალების რიგი არ უნდა იყოს.

6. იმამსა და მიმყოლებს შორის მანქანის გასავლელი გზა ან ნავის გასაცურავი მდინარე არ უნდა იყოს.

7. იმამი ან ჯგუფის რომელიმე წევრი არ უნდა იმყოფებოდეს ისეთ ადგილზე, საიდანაც იმამს ვერ ხედავს და მისი ხმა არ ესმის.

8. იმამი რაიმე შესაჯდომი ცხოველის ზურგზე, მიმყოლები მიწაზე ანდა პირიქით მდგომარეობაში არ უნდა იყოს.

ჯგუფი თუ ერთ კაციანია, ის კაცი იმამის მარჯვნივ დადგება. მარცხნივ დადგომა მექრუჰია, უკან დადგომაც მექრუჰია. ფეხის ქუსლი იმამის ქუსლის უკან უნდა იყოს, რათა ნამაზი ქმედითად ჩაითვალოს. თუ ჯგუფი ორი ან ორ კაცზე მეტია, ისინი იმამის უკან დადგებიან.

იმამთან შესრულებული ნამაზი ცალკე შესრულებულის მსგავსია, მაგრამ იმამმა რომც ხმამაღლა წაიკითხოს რამე, მიმყოლები ხმამაღლა არ წაიკითხავენ. როდესაც იმამი ხმამაღლა ფაათიხას კითხვას დაამთავრებს მიმყოლები ხმადაბლა „აამინ“-ს იტყვიან. რუქუღიდან წამოდგომისას იმამი იტყვის: „სემი ღალლააჰუ ლიმენ ხამიდეჰ“, მიმყოლი იტყვის: „რაბბენა ლექელ ხამდ“. შემდეგ ალლაჰუ ექბერს წარმოსთქვამენ და მიმყოლები იმამთან ერთად სეჯდეს შეასრულებენ. რუქუღის, სეჯდეების და ჯდომის დროს მიმყოლებს ცალკე შესრულებული ნამაზების მსგავსად კითხვა შეუძლიათ.

რამაზანის თვეში ვითირ ნამაზი ჯგუფთან ერთად უნდა ვილოცოთ. სხვა დროს ცალკე ვილოცავთ.

**ამ ხუთ რამეს თუ იმამი არ აკეთებს, მიმყოლებიც არ გააკეთებენ:**

1. თუ იმამი ქუნუთ დუებს არ წაიკითხავს, ჯგუფიც არ წაიკითხავს.
2. თუ იმამი ბაირამის ნამაზებზე თექბირებს არ შეასრულებს, ჯგუფიც არ შეასრულებს.
3. თუ იმამი ოთხ მუხლიანი ნამაზის ლოცვისას მეორე მუხლის შემდეგ არ დაჯდება, ჯგუფიც არ დაჯდება.
4. თუ იმამი სეჯდეს აეთს წაიკითხავს და თილავეთ სეჯდეს არ შეასრულებს, ჯგუფიც არ შეასრულებს.
5. თუ იმამი სეჰივ სეჯდეს არ შეასრულებს, ჯგუფიც არ შეასრულებს.

**ამ ოთხ რამეს თუ იმამი გააკეთებს, ჯგუფი არ გააკეთებს:**

1. თუ იმამი ორზე უფრო მეტ სეჯდეს შეასრულებს, ჯგუფი არ შეასრულებს.
2. თუ იმამი პირველ მუხლზე ბაირამის თექბირს სამზე მეტს შეასრულებს, ჯგუფი არ შეასრულებს.
3. თუ იმამი მიცვალებულის ნამაზის დროს ოთხზე მეტ თექბირს შეასრულებს, ჯგუფი არ შეასრულებს.
4. თუ იმამი მეხუთე მუხლზე ადგება, ჯგუფი არ ადგება, იმამს დაელოდება და ნამაზის დასრულებისათვის სელამს ერთად მისცემენ.

**ამ ათ რამეს თუ იმამი არ გააკეთებს, ჯგუფი გააკეთებს:**

1. იფთითახ თექბირის დროს ხელების მაღლა აწევა.
2. სუბხანექე-ს კითხვა.
3. რუქუღზე მოხრისას თექბირის თქმა.
4. რუქუღზე „სუბხაანე რაბბიელ ღაზიიმ“-ის კითხვა.
5. სეჯდეს დროს თავის ძირს დადებისა და აწევისას თექბირის წარმოთქმა.
6. სეჯდეს დროს „სუბხაანე რაბბიელ აღლა“-ს კითხვა.
7. „სემი ღალლაჰუ ლიმენ ხამიდეჰ“-ის თქმის გარეშე „რაბბენაა ლექელ ხამდ“-ის თქმა.
8. ეთთეხიათუ-ს ბოლომდე კითხვა.
9. ნამაზის დასასრულს მისალმება.
10. ყურბან ბაირამის დროს 23 ფარძის მერე მისალმებისთანავე თეშრიყ თექბირების კითხვა.

## იფთითახ თექბირის მნიშვნილობა და მადლი:

თუ ადამიანი იფთითახ თექბირს იმამთან ერთად აიღებს, ისე ჩამოსცვივდება მთელი ცოდვები, როგორც შემოდგომობით ხეებს ფოთლები სცვივათ ხოლმე.

ერთხელ, როდესაც წმინდა ფეიღამბერი ნამაზს ლოცულობდა, მასთან მივიდა ერთი კაცი, რომელმაც დილის ნამაზის იფთითახ თექბირს ვერ მიუსწრო და უთხრა: მე დილის იფთითახ თექბირს ვერ მივუსწარი, მაგრამ ამის მერე ერთ მონას თავისუფლება ვუბოძე და მაინტერესებს თექბირის მადლი დავიმსახურე თუ არაო. მაშინ წმინდა ფეიღამბერი მიუბრუნდა ებუ ბექირს და ჰკითხა: შენ რას იტყვი ამ საკითხზეო. ებუ ბექირმა მიუგო: მე რომ ორმოცი აქლემი სულ თვალ-მარგალიტით დატვირთული მყავდეს და ორმოცივე რომ ღარიბებს ვაჩუქო, იფთითახ თექბირის მადლს მაინც ვერ დავიმსახურებო. შემდეგ წმინდა ფეიღამბერი ომერს შეეკითხა: შენ რაღას იტყვიო ამ საკითხის შესახებ? ომერმა მიუგო: რაც მექქესა და მედინეს შორის გზებია, იმათი გამვსები თვალმარგალიტით დატვირთული აქლემები რომ მყავდეს და ყველა ისინი ღარიბებს დავურიგო, იმამთან ერთად შესრულებულ იფთითახ თექბირის მადლს მაინც ვერ გაუტოლდება და მაინც ვერ დავიმსახურებო.

ამის შემდეგ წმინდა ფეიღამბერი ოსმანს შეეკითხა: შენ რაღას მეტყვიო ამ საკითხზე? ოსმანმა მიუგო: მთელი ღამე ორი მუხლი ნამაზი რომ ვილოცო და თითოეულ მუხლზე ყურანი ქერიმი თავიდან ბოლომდე რომ ვიკითხო, მაინც იმამთან ერთად აღებული იფთითახ თექბირის მადლის ღირსი ვერ გავხდებიო.

ბოლოს წმინდა ფეიღამბერმა იგივე შეკითხვა

ალის დაუსვა. ალიმ უპასუხა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ადგილი ურწმუნოებით სავსე რომ იყოს, ალლაჰმა ძალა მომცეს, ვებრძოლო მათ და დავამარცხო, მაინც იმამთან ერთად შესრულებული იფთითას თექბირის მადლს ვერ დავიმსახურებო.

ამის მერე წმინდა ფეიღამბერმა თავის მრევლს ასე მიმართა: „მორწმუნენო! იცოდეთ რომ მიწისა და ცის შვიდ-შვიდი სქელი ქაღალდად და მთელი წულები მელნად რომ იქცეს და ყველა ანგელოზი ჩამწერ მდივნებად იქცნენ და წარღვნის დღემდე სწერონ, მაინც ვერ დაამთავრებენ იმ დიდი მადლის წერას, რასაც იმამთან ერთად იფთითას თექბირის ამღები იმსახურებს."

## ჯუმა ნამაზი

პარასკევს შუადღისას ჯუმა ნამაზის ლოცვა ფარძია.

დიდი ალლაჰი ჯუმას სურეს მე-9 და მე-10 აეთებში ბრძანებს: „ეი, მორწმუნენო, პარასკევობით შუადღის ეზანის გაგონებისთანავე ჯუმა ნამაზის სალოცავად მეჩეთებისაკენ იჩქარეთ. ვაჭრობას თავი მიანებეთ, რადგანაც ჯუმა ნამაზი თქვენთვის ყველაზე უფრო სასარგებლოა. ნამაზის მერე თქვენს საქმეებს შეგიძლიათ მიუბრუნდეთ, რათა იპოვნოთ პური არსობისა, ხშირად მოიხსენიეთ დიდი ალლაჰი, რათა გადარჩეთ."

ნამაზის მერე ვისაც უნდა თავის საქმეს გააგრძელებს, ვისაც უნდა მეჩეთში დარჩება და ლოცვებსა და ყურანი ქერიმს წაიკითხავს. ჯუმა ნამაზის დროს ვაჭრობა და სხვა საქმეები ცოდვად ითვლება.

წმინდა ფეიღამბერი სხვადასხვა ხადისებში ბრძანებს:

-„თუკი მუსლიმანი პარასკეობით ღუსლის აბდესს აიღებს, მერე მეჩეთში ნამაზს ილოცავს, ერთი კვირის ცოდვები მიეტევება და ყველა გადადგმული ნაბიჯისათვის მადლი მიეწერება."

-„პარასკევობით ნამაზის გამომტოვებელთათვის დიდი ალლაჰი საკუთარ გულს საგულდაგულოდ ჰგმანავს და ჰკეტავს."

-„დღეთა შორის პარასკევი ყველაზე მადლიანია. ბაირამის დღეებზეც კი! პარასკევი დღე ამქვეყნად და სამოთხეში მუსლიმანთა ბაირამია."

-„ვინც უმიზეზოდ სამ ჯუმა ნამაზს არ შეასრულებს, მათთვის დიდი ალლაჰი გულის კარებს ჰკეტავს, ე.ი. მათ სიკეთეს და დახმარებას არ გაუწევს."

-„ჯუმა ნამაზის მერე არის წამი, როდესაც ლოცვა (დუა) აუცილებლად შესმენილი და მიღებული იქნებაო."

-„როგორც შაბათი დღე ებრაელებს, ხოლო კვირა დღე ქრისტიანებს ებოძათ, ასევე პარასკევი დღე მუსლიმანებისაა. ამ დღეს მუსლიმანთათვის სიკეთე, ხვავი და ბარაქა მოაქვს."

პარასკევობით შესრულებული ღვთისმსახურების სამაგიერო მადლი, სხვა დღეებში შესრულებულს მინიმუმ ორჯერ აღემატება. ასევე პარასკევ დღეს ჩადენილი ცოდვებიც ორჯერ მეტად ჩაითვლება.

პარასკევი სასაფლაოების მონახულების დღეა. ამ დღეს სასაფლაოს ტანჯვა შეჩერებულია. ზოგი ბრძენის მიხედვით მუსლიმანთა ტანჯვა მეტი აღარ დაიწყება, ხოლო ურწმუნოთა ტანჯვა რამაზნის თვისა და პარასკევის გარდა წარღვნამდე

გაგრძელდება. რამაზანის თვეში და პარასკევობით გარდაცვლილი მუსლიმანები სასაფლაოს ტანჯვას არ გამოივლიან. პარასკეობით ჯოჯოხეთიც ძალიან ცხელი არ არის. ალლაჰმა ადემ ფეიღამბერიც პარასკევ დღეს გააჩინა, სამოთხიდან პარასკევს განდევნა, სამოთხის მკვიდრნი დიდებულ ალლაჰს პარასკევობით იხილავენ.

### ჯუმა ნამაზის ფარძები:

1. ჯუმა ნამაზის ქალაქში, რაიონში, სოფელში ლოცვა.
2. სახელმწიფოს მეთაურის ან ვალის ნებართვით ლოცვა. მათ შეუძლიათ უფლებამოსილებანი სხვასაც გადასცენ.
3. შუადღის ნამაზის მოსვლის დროს ლოცვა.
4. ხუთბის[1] წაკითხვა.
5. ნამაზზე ადრე ხუთბის წაკითხვა.
6. ჯუმა ნამაზის ჯგუფურად შესრულება.
7. მეჩეთის კარების ყველასათვის გაღება.

### ვისთვისაა ჯუმა ნამაზის ლოცვა ფარძი?

1. ადგილობრივისათვის. მგზავრებისათვის ფარძი არ არის.

2. ჯანმრთელი ადამიანისათვის. (ავადმყოფებისათვის, მძიმე ავადმყოფების მომვლელთათვის და ძალიან მოხუცებულთათვის ფარძი არ არის).

3. თავისუფალი ადამიანისათვის.

4. მამაკაცისათვის. (ქალებისათვის ფარძი არ

1. ხუთბე: ჯუმა ნამაზის ლოცვის წინ მეჩეთში იმამი მაღალ ადგილზე ადის და მლოცველებს რწმენის შესახებ წაუკითხავს. ამ პროცესს „ხუთბე“ ეწოდება.

არის).

5. ჭკვიანი და მოწიფული ადამიანისათვის.

6. მხედველობის მქონე ადამიანისათვის. (გზაზე წამყვანიც რომ ჰყავდეს, ბრმათათვის ფარძი არ არის).

7. სიარულის უნარის მქონეთათვის. (გადაადგილების საშუალება რომც ჰქონდეს, ინვალიდებისა და ფეხების არმქონეთათვის ფარძი არ არის).

8. მათთვის, ვინც პატიმარი არა, და მათთვის ვისაც მთავრობის ან მტრის შეზღუდვა არ აქვთ.

9. მეტისმეტი თოვლის, ქარიშხალის, ტალახისა და სიცივის შემხვევაში ფარძი არაა.

## ჯუმა ნამაზი როგორ ილოცვება?

პარასკევ დღეს შუადღისას ეზნის წაკითხვის შემდეგ 16 მუხლი ნამაზი ილოცვება. თანამიმდევრობა ასეთია:

1. ჯერ ჯუმა ნამაზის ოთხ მუხლი „პირველი სუნნეთი" უნდა ვილოცოთ. ეს სუნნეთი შუადღის ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად ილოცვება. ნიეთი ასეთია: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის ჯუმა ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის სალოცავად."

2. შემდეგ მეჩეთში ეზანი და ხუთბე იკითხება.

3. ხუთბის შემდეგ უამეთი იკითხება და ჯგუფურად ორ მუხლ ჯუმა ნამაზის ფარძს ვლოცულობთ. ნიეთს ასე ვამბობთ: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის ჯუმა ნამაზის ორი მუხლი ფარძის სალოცავად." ჯუმა ნამაზის ფარძი დილის ნამაზის ფარძის მსგავსად ილოცვება.

4. ამის შემდეგ ოთხი მუხლი ჯუმა ნამაზის **„ბოლო სუნნეთი"** ილოცვება. ნიეთს ასე ვამბობთ:

„ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის ჯუმა ნამაზის ბოლო ოთხი მუხლი სუნნეთის სალოცავად.“ ბოლო სუნნეთიც შუადღის ნამაზის პირველი სუნნეთის მსგავსია.

5. ამის შემდგე ოთხ მუხლ „ზუხრი აახირ“ ფარძ ნამაზს ვლოცულობთ. ნიეთს ასე ვამბობთ: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის სულ ბოლოს გავლილი (გამოტოვებული) შუადღის ნამაზის ფარძის სალოცავად.“ ესეც შუადღის ნამაზის ფარძის მსგავსად ილოცვება.

6. ამის შემდეგ ორი მუხლი „დროის სუნნეთი“ უნდა ვილოცოთ. ნიეთს ასე ვამბობთ: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის ორი მუხლი დროის სუნნეთის სალოცავად.“ ესეც დილის ნამაზის სუნნეთის მსგავსად ილოცვება.

**პარასკევი დღეს შესასრულებელი სუნნეთები:**

1. პარასკევის ხუთშაბათი დღიდან შეგებება.
2. პარასკევ დღეს ღუსლის აბდესის აღება.
3. თმების შეკრეჭა. წვერისგან ზედმეტი სიგრძის შემოკლება და ფრჩხილების დაჭრა. სუფთა ტანისამოსის ჩაცმა.
4. ჯუმა ნამაზზე შეძლებისდაგვარად ადრე წასვლა.
5. მეჩეთში წინა რიგებში გადასვლისათვის ჯგუფის წევრთა მხრებს ზემოდან გადაუბიჯებლობა.
6. მეჩეთში ნამაზის მოლცველებზე წინიდან გაუვლელობა.
7. ხუთბის კითხვისას ლაპარაკის შეწყვეტა და სხვა მოლაპარაკისათვის ჟესტებითაც კი პასუხის გაუცემლობა.

8. ჯუმა ნამაზის მერე ფაათიხას, ქააფირუნის, იხლასის, ფელეყისა და ნაასის სურების შვიდ-შვიდჯერ ჩაკითხვა.

9. ნაშუადღევამდე (იქინდამდე) მეჩეთში დარჩენა, ლოცვა და ღვთისმსახურების შესრულება.

10. მთელი პარასკევი დღის ლოცვაში (ალლაჰზე ვედრებაში) გატარება.

11. პარასკევ დღეს სალავათის ბევრი კითხვა.

12. ყურანი ქერიმისა, განსაკუთრებით ქეჰფის სურეს კითხვა.

13. მოწყალების (სადაყის) გაცემა.

14. დედ-მამის ან მათი სასაფლაოების მონახულება.

15. სახლში ბევრი და ტკბილი, გემრიელი საჭმელების გაკეთება.

16. ბევრი ნამაზის ლოცვა. გავლილი ნამაზების ლოცვა.

## ბაირამ ნამაზები

რამაზან ბაირამისა და ყურბან ბაირამის პირველ დღეს მზის ამოსვლის შემდეგ ბაირამ ნამაზის ლოცვა მუსლიმანი მამაკაცებისათვის ვააჯიბია.

ბაირამის ნამაზის პირობები ჯუმა ნამაზის პირობების მსგავსია, განსხვავება ისაა, რომ ბაირამ ნამაზზე ხუთბე სუნნეთია და ნამაზის მერე იკითხება.

რამაზან ბაირამის ლოცვამდე ჯერ ტკბილის ჭამა, ღუსლის შესრულება, მისვაქის ხმარება და საუკეთესო ტანსაცმლის ჩაცმა, ფითრის[1] გაცემა

1. ფითრა: ღარიბებზე გარკვეული რაოდენობით დახმარება.

ნამაზის ლოცვის წინ და გზაში ნელ-ნელა თექბირის კითხვა მუსთეხაბია.

ხოლო ყურბან ბაირამის დროს ნამაზამდე უჭმელობა, ნამაზის მერე კი თავდაპირველად ყურბნის ხორცის ჭამა, ნამაზზე წასვლისას ხმამაღლა, ან ხმადაბლა თექბირის შესრულება მუსთეხაბია.

ბაირამის ნამაზები ორ მუსლიანია. ჯგუფურად სრულდება, ცალკე არ სრულდება.

**ბაირამ ნამაზის ლოცვის წესი:**

1. ჯერ ნიეთი უნდა ვთქვათ: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის რამაზან (ან ყურბან) ბაირამის სალოცავად, მივყვები იმამს.“ შემდეგ „იფთითახ თექბირ“-ს ავიღებთ და „სუბხაანექე“-ს ჩავიკითხავთ.

2. ამის შემდეგ სამჯერ ხელების მაღლა აწევით თექბირს შევასრულებთ (ხელებს ყურებთან მიიტანთ და ჩამოუშვებთ), მესამე თექბირის შემდეგ მუცლის ქვემოთ შეკრული დავიკავებთ. იმამი ჯერ ფაათიხას, მერე ზამმისურეს წაიკითხავს, რუქუღი, სეჯდე შესრულდება და მეორე მუსლის სალოცავად ავდგებით.

3. მეორე მუსლზე იმამი ჯერ ფაათიხას, მერე ზამმისურეს წაიკითხავს. მერე ხელების მაღლა აწევით სამჯერ თექბირს შევასრულებთ, მეოთხე თექბირის დროს ხელები ყურებთან აღარ უნდა ავიტანოთ, რუქუღზე უნდა დავიხაროთ. უფრო მოკლედ ამ მოძრაობებს ასე იზეპირებენ ხოლმე: ორჯერ ჩამოუშვი, ერთხელ შეაერთე; სამჯერ ჩამოუშვი, ერთხელ მოიხარე!

**თეშრიყ თექბირი:**

ყურბან ბაირამის წინა დღის დილის ნამაზიდან მოყოლებული მეოთხე დღის იქინდი ნამაზამდე, ფარძი ნამაზების ლოცვის შემდეგ ერთხელ **თეშრიყ თექბირი** უნდა ჩავიკითხოთ. თეშრიყ თექბირი ასე იკითხება:

*„ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ვალლააჰუ ექბერ, ალლააჰუ ექბერ ვე ლილლააჰილ ხამდ.“*

თეშრიყ თექბირი მიცვალებულის ნამაზის მერე არ წაიკითხება. ნამაზის შემდეგ დალაპარაკების ანდა მეჩეთიდან გამოსვლის შემდეგ წაკითხვა საჭირო არაა.

თუ იმამს თეშრიყ თექბირი დაავიწყდება, მიმყოლები თექბირს იტყვიან. მამაკაცებს ხმამაღლა თქმა შეუძლიათ, ქალები დაბალ ხმაზე წარმოსთქვამენ.

თეშრიყ თექბირის ჩაკითხვა ვააჯიბია.

## მზადება სიკვდილისათვის

სიკვდილის ხშირად გახსენება ყველაზე დიდი რჩევაა. ყველა მორწმუნესათვის სიკვდილის ხშირად გახსენება სუნნეთია, რადგანაც სიკვდილის გახსენება იწვევს ალლაჰის ყველა ბრძანებების შესრულებასა და ცოდვებისაგან განდგომას. არამი საქმის ჩასადენ გამბედაობას სპობს. წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „ხშირად გაიხსენეთ სიკვდილი, რომელიც ანადგურებს ცხოვრებისეულ სიტკბოს და ბოლოს უღებს გართობა-მხიარულებას!“ რწმენის მამამთავრებს შორის ზოგიერთს სიკვდილის ყოველდღიური გახსენება წესად ჰქონდა დადგენილი. ხოლო დიდი ევლია მუხამმედ

ბუჰარი, თავის თავს უოველდღიურად მკვდარსა და საფლავში ჩადებულს წარმოიდგენდა ხოლმე.

გადაჭარბებული ამქვეყნის სიყვარული დიდხანს სიცოცხლის სურვილს ნიშნავს. ლოცვისა და ღვთისმსახურებისათვის დიდხანს სიცოცხლის სურვილი კი ამას არ ნიშნავს. ვისაც გულში ამქვეყნისადმი გადაჭარბებული სიყვარულის ცეცხლი უნთია, ღვთისმსახურებას საჭირო დროზე არ ასრულებენ, მონანიებას თავს ანებებენ და გულები უქვავდებათ. სიკვდილი აღარ ახსენდებათ, რჩევადარიგებებში სასიკეთოს ვერაფერს ნახულობენ. ასეთი ადამიანი ამქვეყნიური ქონებისა და საკუთრების მოსაპოვებლად მთელ სიცოცხლეს ხარჯავს. საიქიოს ივიწყებს, მარტო ქეიფს, დროსტარებას და სიამოვნებას მისდევს.

ხადისებში ვკითხულობთ:

,,(მოკვდით სიკვდილზე ადრე. სანამ ანგარიშსწორებას წარუდგებოდეთ, თქვენვე აგეთ პასუხი საკუთარ თავთან.!)

(ცხოველებს რომ სცოდნოდათ, თუ რა ელოდებათ სიკვდილის შემდეგ, მაშინ თქვენ საჭმელად ხორცის მქონე ცხოველს ვეღარ ნახავდით.)

(ვინც დღე და ღამე სიკვდილს იგონებს, წარღვნის დღეს შეჰიდების გვერდით მოხვდება.)

(სიკვდილი ხშირად გაიხსენეთ ხოლმე, სიკვდილის გახსენება ადამიანს ცოდვის ჩადენისაგან იცავს და საიქიოშიც მავნებელი რამეებისაგან შორს დადგომის საბაბი ხდება.)"

## რა არის სიკვდილი?

სიკვდილი მოსპობასა და განადგურებას არ ნიშნავს. სიკვდილი სულის და სხეულის განცა-

ლკევებაა, სულის მიერ სხეულის დატოვებაა. სიკვდილი ადამიანთა ერთი მდგომარეობის მეორეთი შეცვლაა, ერთი სახლიდან მეორეში გადაბარგების მსგავსია. წმინდა ომერმა ბრძანა: „თქვენ მარადიულობისათვის ხართ შექმნილნი, მაგრამ ერთი სახლიდან მეორეში გადაინაცვლებთო“ სიკვდილი საჩუქარია, ჯილდოა მუსლიმანისთვის. ცოდვილთათვის კი საშინელი უბედურებაა. ადამიანი სიკვდილს არ ისურვებს, მაშინ როცა სიკვდილი არასწორი გზით სვლაზე უფრო სამადლო და სასიკეთოა. ღირსეული მორწმუნე სიკვდილის მერე ამქვეყნიური ტანჯვისა და დაღლილობისაგან თავისუფლდება. ხოლო სასტიკი ადამიანების სიკვდილის მერე ქვეყანა და ადამიანები ბედნიერებასა და მშვიდობას ეზიარებიან ხოლმე. აი ერთი ძველი ფრაზა, რომელიც სასტიკი ადამიანის სიკვდილის შესახებ არის ნათქვამი:

„არც თვითონ მოისვენა, არც ხალხი მოასვენა,
აღიგავა პირისაგან მიწისა, გაუძლოს მას საფლავმა.“

მუსლიმანის სხეულიდან სულის მოცილება პატიმრის ციხიდან განთავისუფლებას ჰგავს. მუსლიმანი სიკვდილის მერე ამქვეყნად დაბრუნებას აღარ ინატრებს. სიკვდილი მუსლიმანისათვის საჩუქარია. მისი სასაფლაოს ცხოვრება კი სამოთხის ბაღებს, ურწმუნოსი კი ჯოჯოხეთის ჯურღმულებს წააგავს.

## სიკვდილი სინამდვილეა

განა სიკვდილისაგან გადარჩენა შესაძლებელია? რა თქმა უნდა არა. ადამიანს თავისი სიცოცხლის ერთი წამითაც კი გაგრძელება არ შეუძ-

ლია. დრო მოვა და მოკვდება. ეს დრო ზუსტი და სწრაფია. და როგორც ყურანი ქერიმის აეთი ამბობს: „სიკვდილის დრო როცა მოვა, საათებს ერთი საათით წინ ან უკან ვეღარ გადასწევენო.“

ადამიანი კვდება იქ, სადაც და როდისაც დიდებული ალლაჰი საჭიროდ მიიჩნევს. კვდება და ტოვებს ყველაფერს; ქონებას, საკუთრებას, ოჯახსა და შვილებს.

დიდებულმა ალლაჰმა იცის თუ რამდენჯერ ამოვისუნთქავთ დღეში, არ არსებობს რაიმე, რაც მან არ იცოდეს. და თუ ცხოვრებას ღვთისმსახურებაში გავატარებთ, დასასრულიც ბედნიერი იქნება, რადგანაც დიდი ალლაჰი აზრაილს უბრძანებს: „ჩემს მოყვარეებს (მორწმუნეებს) სული ადვილად და უმტკივნეულოდ ამოართვი, მტრებს (ურწმუნოებს) კი ძნელად“ რა სასიხარულოა ეს ცნობა მორწმუნეთათვის და რა სამწუხაროა ურწმუნოთათვის.

## მიცვალებულის ნამაზი

ადამიანის გადრაცვალებისას მისი ახლობელი მამაკაცებისათვის და თუ მამაკაცი არ ჰყავს ქალებისათვის მიცვალებულის ნამაზის ლოცვა ფარძი ქიფაიეა. ეს არის ნამაზი ალლაჰისათვის და ლოცვა (დუა) მიცვალებულისათვის.

### მიცვალებულის ნამაზის პირობები:

1. მიცვალებული მუსლიმანი უნდა იყოს.

2. დაბანილი უნდა იყოს. თუ დაუბანელი მკვდარი საფლავში ჩადეს, და თუ ჯერ მიწა მიყრილი არა აქვს, ამოიღებენ, დაბანენ და ნამაზს ილოც-

ავენ. მიცვალებულისა და იმამის ადგილი სუფთა უნდა იყოს.

3. მიცვალებულის სხეულის ნახევარზე მეტი ნაწილი სახეზე უნდა იყოს.

4. მიცვალებული მიწაზე, ან მიწასთან ახლო ადგილზე, ქვაზე დადებული ან ხელში დაკავებული უნდა იყოს. მისი თავი იმამის მარჯვნივ, ფეხები მარცხნივ უნდა იყოს. პირიქით გაკეთება ცოდვაა.

5. მიცვალებული იმამის წინ გამზადებული უნდა იყოს.

### მიცვალებულის ნამაზის ფარძები:

1. ოთხჯერ თექბირის შესრულება.
2. ფეხზე დგომა.

### მიცვალებულის ნამაზის სუნნეთები:

1. სუბხანექე-ს კითხვა.
2. სელავათის კითხვა.
3. რაც ვიცით ყველა ლოცვის (დუის) კითხვა,

მიცვალებულის ნამაზი მეჩეთში არ შესრულდება. ცოცხლად დაბადებულ ბავშვს სიკვდილის მერე სახელი დაერქმევა, დაიბანება, სუდარაში გაიხვევა და ნამაზი შესრულდება.

მიცვალებული ტარების დროს ოთხი ადგილიდან უნდა გვეჭიროს. მარჯვენა მხარსა და ფეხის მხარეს, მერე კი მარცხენა. ეს პროცესი ყოველი ათი ნაბიჯის მერე იცვლება და მეორდება. სასაფლაოზე მისვლისას მიცვალებულის მხრებიდან ძირს

ჩამოდგმამდე დაჯდომა არ შეიძლება. დამარხვის მერე ხალხი ჩამოსხდებიან.

## როგორ სრულდება მიცვალებულის ნამაზი?

მიცვალებულის ნამაზის ოთხი თექბირიდან ყოველი ერთი მუხლის მსგავსია. პირველ თექბირზე ხელები ყურებთან მიიტანება. დნარჩენ სამ თექბირზე კი-არა.

1. პირველი თექბირის მერე, ხელებს შევაერთებთ და სუბხანექეს ჩავიკითხავთ „ვეჯელლე სენააუქე"-ს ერთად.

2. მეორე თექბირის მერე ელლაჰუმმე სალსა და ელლაჰუმმე ბარიქს ჩავიკითხავთ.

3. მესამე თექბირის მერე მიცვალებულის ლოცვა (დუა) ჩაიკითხება. ასევე „რაბბენაა ათინა, ალლაჰუმეღფირლი" ან ფაათიხას ჩაკითხვაც შეიძლება.

4. მეოთხე თექბირის დამთავრებისთანავე მარჯვნივ და მარცხნივ სელამი მიეცით და მისალმებისას წარმოიდგინეთ რომ მიცვალებულსა და იქ მყოფ ხალხს ესალმებით.

ოთხ თექბირსა და ორივე მხარეს მისალმებას ხმამაღლა მხოლოდ იმამი წარმოსთქვამს. სხვები უხმოდ წარმოსთქვამენ.

## თერავის ნამაზი

თერავის ნამაზი რამაზანის თვეში ყველა ღამეს სრულდება და ქალებისა და მამაკაცებისათვის სუნნეთია. ჯგუფურად ლოცვა სუნნითი მუქქედეა. ღამის ნამაზის შემდეგ ილოცვება.

თერავის ნამაზი ოცი მუხლია.

## როგორ სრულდება თერავიხ ნამაზი?

თუ ორ-ორ მუხლს ვლოცულობთ, დილის ნამაზის ორი მუხლი სუნნეთის მსგავსად უნდა ვილოცოთ. თუ ოთხ-ოთხ მუხლს ვლოცულობთ, იქინდისა და ღამის ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად უნდა ვილოცოთ. თუ ექვსი, რვა ათი და ა. შ. მუხლის ლოცვის მერე გვინდა სელამის მიცემა, ყოველი ორი მუხლის ლოცვის მერე დავჯდებით, ეთთეხიათუ-ს, ელლააჰუმმე სალლსა და ელლააჰუმმე ბარიქს ჩავიკითხავთ, ფეხზე ადგომისას კი ფაათიხას ჩაკითხვამდე სუბხაანექე-ს ჩავიკითხავთ.

ვითირ ნამაზი მხოლოდ რამაზანის თვეში ჯგუფურად სრულდება.

# მ ე ხ უ თ ე  ნ ა წ ი ლ ი

## ნამაზი მგზავრობისას

ვინც 15 დღეზე ნაკლები დროით 90 კმ.-ზე შორს წავა მგზავრად ითვლება.

მგზავრი ოთხ ოთხმუხლიანი ფარძი ნამაზების მხოლოდ პირველ და მეორე მუხლს ლოცულობს. ოთხ მუხლს ილოცავს მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფურად ლოცვისას არამგზავრ იმამს მიჰყვება. თუ მგზავრი არამგზავრების იმამი გახდება, თვითონ ორი მუხლის შემდეგ ლოცვას დაასრულებს, მიმყოლები (ადგილობრივები) კი მესამე და მეოთხე მუხლებს იმამის გარაშე ილოცავენ და ლოცვას ისე დაასრულებენ.

მგზავრს მესთზე სამ დღესა და ღამეს მესჰის

შესრულება და მარხვის დარღვევა შეუძლიათ, მაგრამ მარხვის დაურღვევლობა უკეთესია. მგზავრისათვის უურბნის დაკვლა ვაჯიბი, ხოლო ჯუმა ნამაზის ლოცვა ფარძი არ არის.

მგზავრობისას თუ აუცილებლობა არ არის ფარძისა და ვააჯიბი ნამაზების ამხედრებულ ვითარებაში შესრულება აკრძალულია. აუცილებლობის საბაბები შემდეგია:ქონების, ცხენის, სიცოცხლის საფრთხის არსებობა, ბარგის მოპარვის შესაძლებლობა, მტრისა და მტაცებელი ცხოველის საფრთხე, ტალახი, წვიმა, მგზავრის ავადმყოფობა, გზაზე მარტოდ დარჩენის საფრთხე, ცხენზე დამოუკიდებლად შეჯდომის უუნარობა. თუ შესაძლებლობაა უნდა ჩამოქვეითდეთ და უიბლეს მხარეს მდგომარემ ნამაზი შეასრულოთ. თუ ვერ ჩამოდიხართ ცხენი უიბლეს მხარეს მიაბრუნეთ, თუ ესეც შეუძლებელია ცხენის მიმართულების მიხედვით ილოცეთ.

როდესაც ჯაფერ თაიარი ეთიოპიაში გემით მიდიოდა, წმინდა ფეიღამბერისაგან ნასწავლი გაიმეორა: მოძრავ გემში ფარძი ნამაზის ლოცვა ჯგუფურადაც შეიძლება, რუქუღი და სეჯდე სავალდებულოა. ნამაზის დაწყებისას უიბლეს მხარეს დგომა საჭიროა, ასევე სიბძნძურის გასუფთავებაც საჭიროა. ებუ ხანიფეს მიხედვით მოძრავ გემში ფარძების მჯდომიარედ შესრულებაც ნებადართულია.

შუა ზღვაში ღუზა ჩაშვებული გემი თუ ძალიან ქანაობს მოძრავი, თუ არ ქანაობს-გაჩერებული გემის მსგავსია. ნაპირზე მდგომ გემში მჯდომარედ ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. თუ ნაპირი ახლოსაა მიწაზე ჩამოსვლა საჭიროა, თუ გემის წასვლის ან ქონებისა და სიცოცხლის დაკარგვის სა-

ფრთხეა, მაშინ გემზევე ფეხზე მდგომარედ უნდა ვილოცოთ.

თუ აუცილებლობა არ არის ფარძი და ვააჯიბი ნამაზები ჩამოქვეითებულად უნდა ვილოცოთ. ტრანსპორტი გავაჩეროთ და მდგომარედ შევასრულოთ.

მგზავრი მატარებელში და გემში ყიბლეს მხარეს დადგება, გვერდით კომპასს დაიდებს, გემის შებრუნებისასთვითონ ყიბლეს მხარეს უნდა შემოტრიალდეს.

## ნამაზი ავადმყოფობის დროს

აბდესის დამრღვევი რამე თუ სხეულიდან მუდმივად მოედინება, მაგ. სისხლდენა, მშობიარობის შემდეგი სისხლდენა, შარდი, ჩირქი და წყალი, ცრემლები და სხვა, წამლის ან სხვა საშუალებით ამის შეჩერება საჭიროა. საჭიროა ბამბა ან ტამპონი ვისმაროთ რათა აბდესი არ დავარღვიოთ. და შარდმა თეთრეულზე არ გამოჟონოს, ბამბა კი შარდს შეიწოვს და აბდესი არ დაირღვევა. თუ სისხლდენა არ შეჩერდება, ყველა ნამაზის წინ ახალი აბდესი აიღეთ. ერთი აბდესით ფარზი, გავლილი ნამაზი და ნაფილეც შეიძლება შესრულდეს. ყურანის ხელში აღება დაშვებულია. ნამაზის დასასრულისას აბდესიც ირღვევა. შეიძლება უცაბედად ცხვირის ნესტოებიდან სისხლი გამოვიდეს. ასეთ დროს აბდესი ირღვევა. ცოტა ხანს დავიცდით, თუ სისხლდენა არ შეწყდება და ნამაზის დრო უნდა ამოიწუროს, აბდესს ავიღებთ და ვილოცავთ. მაგრამ იმ აბდესით მეორე ნამაზს ვეღარ ვილოცავთ.

ავადმყოფობის გაძლიერების შიშის მქონე ღუს-

ლის აბდესის მაგიერ თეიემუმს შეასრულებს. მაგრამ ამ საფრთხის, შიშის შესახებ გამოცდილი მუსლიმანის ან მუსლიმანი ექიმის აზრია საჭირო. ზოგჯერ სიცივე და უსახლკარობაც ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი ხდება.

თუ სხეულზე ბევრი ჭრილობაა თეიმუმი სრულდება. თუ ჭრილობები ნახევარზე ნაკლებია ჯანმრთელი ადგილები დაიბანება და მესჰი სრულდება. თუ მესჰი ჭრილობებისათვის მავნებელია, სახვევის ზემოდან სრულდება, თუ ესეც მავნებელია არ შეასრულოთ. თუ აბდესის და ღუსლის დროს მესჰი მავნებელია, არ შეასრულოთ. თუ ხელი ჭრილობიანი ან ეგზემიანია და წყალს ვერ ხმარობთ თეიემმუმი შეასრულეთ. ვისაც ხელები და ფეხები არ აქვს და თუ სახეც ნაიარევია უაბდესოდ ნამაზის ლოცვა შეუძლია. ბავშვები, მონები, დაქირავებული მოსამსახურეები იძულებულნი არიან აბდესის აღებაში ავადმყოფს მიეხმარონ. მიხმარება სხვებსაც შეუძლიათ, მაგრამ ისინი იძულებულნი არ არიან.

თუ ჭრილობები ბევრია და მათი დაბანა შეიძლება რომ მავნებელი იყოს სახვევის ზემოდან ერთხელ მესჰი შესრულდება. თუ სახვევის მოხსნა მავნებელია, მის ქვეშ ჯანმრთელი ადგილებიც არ დაიბანება. აბდესის მერე სახვევი აუცილებელი არ არის. თუ სახვევი მესჰის მერე შეიცვალა, მასზე ახალი მესჰი საჭირო არ არის.

ფეხზე ვერ მდგომმა ან ფეხზე დგომისას გაუარესებულმა ავადმყოფმა ნამაზი დამჯდარმა ილოცოს. რუქუღსათვის მოიხაროს. მერე გაიმართოს და ორჯერ სეჯდე გააკეთოს. თავის, თვალის მუხლის ტკივილიც ავადმყოფობად ითვლება. დაჯდეს ისე, როგორც უფრო ეიოლება. ფეხზე დგო-

მისას მარხვის ან აბდესის დამრღვევმაც დამჯდარმა ნამაზი შეასრულოს. რამეზე მიყრდნობით თუ შეუძლია ისე ილოცოს. ფეხზე ძნელად მდგომმა იფთითახ თექბირი შეასრულოს და მერე დამჯდარმა გააგრძელოს.

ვინც ძირს სეჯდეს ვერ აკეთებს რუქუღი და სეჯდე დამჯდარმა შეასრულოს, სეჯდეზე უფრო მეტად მოიხაროს. ვინც სხეულს ვერ ხრის თავი მოხაროს. რამის ზემოდან სეჯდეს შესრულება მექრუჰია. თუ მჯდომარედ შესრულება შეუძლია, დაწოლილი შესრულება ნებადართული არ არის. წმინდა ფეიღამბერმა ერთი ავადმყოფი მოინახულა, რომელსაც ბალიში აეღო და ზემოდან სეჯდეს ასრულებდა. ფეიღამბერმა ბალიში გამოართვა, მაშინ ავადმყოფმა შეშა აიღო, ფეიღამბერმა ისიც გამოართვა და უთხრა: „თუ ძალა შეგწევს სეჯდე მიწაზე შეასრულე, ქვემოდან რაიმე არ დიდო და ისე სეჯდე არ შეასრულო, სეჯდეზე რუქუღთან შედარებით უფრო მეტად მოიხარე"

ვინც ჯგუფთან ნამაზს ფეხზე მდგომი ვერ ილოცავს, სახლში ყოფნისას ფეხზე მდგარმა ილოცოს. მეჩეთში წაუსვლელობისათვის რამდენიმე საჰატიო მიზეზი არსებობს: წვიმა, მაგარი სიცხე და სიცივე, თავდამსხმელის და მტრის შიში, მარტო დარჩენის შიში, უკუნი სიბნელე, ღარიბი მოვალის დაპატიმრების შიში, სიბრმავე, დამბლა, ხეიბრობა, მოხუცებულობა, სიარულის შეუძლებლობა, მეცნიერული გაკვეთილის გამოტოვების შიში, საყვარელი საჭმელის გამოტოვების შიში, მგზავრობისათვის გზაში ჩადგომა, მძიმე მისახედი ავადმყოფის ყოლა, ქარიშხალი, ძალიან მოხუცებულობის გამო სიარულის შეუძლებლობა წაუსვლელობისათვის საპატიო მიზეზებია. მეჩეთში

ფეხით წასვლა, ტრანსპორტით წასვლაზე უფრო სასარგებლოა.

თუ ავადმყოფს წამოწევა არ შეუძლია, ზურგზე დაწვეს, თუ ესეც არ შეუძლია გვერდზე დაწვეს და ნამაზი ისე შეასრულოს. თუ ყიბლესაკენ ვერ ტრიალდება, რომელ მხარესაც ეიოლება იმ მხარეს ილოცოს. ზურგზე მწოლიარეს თავქვეშ რაიმე შამოუდეთ. მუხლების მოხრა სასურველია. ნამაზის დროს შეუძლოდ შექმნილი სანამდეც ძალა ეყოფა ნამაზს გააგრძელებს. თუ დაბლა მჯდომი ავადმყოფი ნამაზის დროს მომჯობინდება ფეხზე მდგარი გააგრძელებს. გონება დაკარგული ნამაზს ვერ ილოცავს.

გამოტოვებული ნამაზის სასწრაფოდ ანაზღაურება საჭიროა, აუცილებელია.

## გავლილი (ყაზა) ნამაზები

რადგანაც ნამაზი სხეულით შესასრულებელი ღიბადეთია, იგი ყველამ თვითონ უნდა შეასრულოს, სხვა ვერ შეასრულებს. ნამაზის დროულად ლოცვას „ედა“ ეწოდება, დროის გასვლის შემდეგ ლოცვას კი „ყაზა“ ანუ გავლილი ნამაზი ეწოდება.

გავლილი ფარძი ნამაზების ლოცვა ფარძია, ვააჯიბი ნამაზების ლოცვა ვააჯიბი, სუნნეთი ნამაზების ლოცვა კი-ნაბრძანები არ არის. სუნნეთი ნამაზები ადამიანებს არასოდეს ვალად არ დაედებათ. ამიტომაც გავლილი სუნნეთი ნამაზების ლოცვა ნაბრძანები არ არის. გამონაკლისია მხოლოდ დილის სუნნეთი; თუ დილის ნამაზი მზის ამოსვლამდე (თავის დროზე) ვერ ვილოცეთ და თუ მზის ამოსვლის შემდეგ შუადღემდე უნდა

ვილოცოთ, ფარძთან ერთად სუნნეთსაც ვილოც-ავთ, თუ შუადღის მერე უნდა ვილოცოთ, სუნნეთს აღარ ვილოცავთ.

ფარძი ნამაზების უსაბაბოდ, სიზარმაცით და შეგნებულად მიტოვება დიდი ცოდვაა. დროულად შეუსრულებელი ნამაზების შემდეგში ლოცვა საჭიროა. ფარზისა და ვაჯიბის ნამაზების თავის დროზე ულოცველობისათვის ორი საბაბი არსე-ბობს:

1. მტრის პირისპირ ყოფნა.

2. მგზავრის შიში ქურდის, მტაცებელი ცხოვე-ლისა და მტრის მიმართ. დანარჩენ შემთხვევებში ნამაზის სამომავლოდ გადადება არ შეიძლება. დავიწყებისა და ძილის დროს გავლილი ნამაზები როცა გაგვახსენდება, მაშინ უნდა ვილოცოთ. ასე-ვე სასიკვდილოდ განწირულის დახსნის გამო ნა-მაზის გადავადება ნებადართულია. მაგრამ კრი-ტიკული ვითარების დამთავრებისთანავე უნდა ვილოცოთ. სამი მექრუჰი დროის გარდა, ბავშვე-ბისა და ოჯახისათვის საჭირო საკვების შოვნამდე ნამაზის ლოცვის დაგვიანება ნებადართულია. უფრო თუ დაგვიანდება ცოდვა იქნება. მით უფრო, რომ წმინდა ფეიღამბერმა და მეომრებმა ხენ-დეკის ბრძოლის დღეს ოთხი ნამაზი ვერ ილოცეს, მაგრამ საღამოს მიუხედავად იმისა რომ მეომრები დაჭრილი და დაღლი-დაქანცულნი იყვნენ, ოთხივე ნამაზი ჯგუფურად ილოცეს. ნამაზების ლოცვის მერე წმინდა ფეიღამბერმა ასე ბრძანა: „ორი ფარძი ნამაზის ერთდროულად შესრულება დიდი ცოდვააო“ (ე. ი. ერთი ფარძის მეორე ფარძის მოსვლამდე დაგვიანება და ერთად ლოცვა დიდი ცოდვაა. ყველა ნამაზი თავის დროზე უნდა ვი-ლოცოთ) სხვა სადისებში ვკითხულობთ:

-„ნამაზის გამომტოვებელსა და მისი დროის გასვლის მერე შემსრულებელს, დიდებული ალლაჰი ოთხმოცი ჰუქბეს განმავლობაში ჯოჯოხეთში დატოვებსო“. ერთი ჰუქბე იმქვეყნის 80 წელიწადის ტოლია, ერთი იმქვეყნის დღე კი ამქვეყნის ერთი წელიწადის ტოლია. ეს იმის სასჯელი ვინც მხოლოდ ერთი ნამაზი არ ილოცა, სრულებით არმლოცველებს რა ეშველებათ?! ეს კითხა მეტადრე კრიტიკული და დამაფიქრებელია.

-„ნამაზი რწმენის საყრდენია, ნამაზის მლოცველი რწმენის გამაძლიერებელია, ნამაზის დამრღვევი კი რწმენის გამანადგურებელი“.

-„წარღვნის დღეს რწმენის შესახებ მიცემული კითხვის მერე მეორე კითხვა ნამაზის შესახებ იქნება. მაშინ დიდებული ალლაჰი ადამიანს უბრძანებს: -ეი, ადამიანო! თუ ნამაზის ანგარიშსწორებასა და გამოცდას გაივლი, შენ გადარჩები, სხვა გამოკითხვებსაც გაგიადვილებო.“

-„ადამიანის ღმერთთან ყველაზე მეტად მიახლოების დრო, ნამაზის შესრულების დროა“

ხოლო ანქებუთის სურეს 45-ე აეთში დიდი ალლაჰი ბრძანებს: „უნაკლოდ შესრულებული ნამაზი ადამიანს ბოროტი და ბინძური საქმეებისაგან იცავს“.

მუსლიმანის ნამაზის დროულად შეუსრულებლობა ორი სახისაა:

1. ზემოთ აღნიშნული საპატიო მიზეზით ვერ შეასრულა.

2. ნამაზის აუცილებლობის ცოდნის მიუხედავად სიზარმაცემ გადასძლია.

ფარძი ნამაზის დროის გასვლის შემდეგ და უსაბაბოდ გადავადება არამი და დიდი ცოდვაა. ეს ცოდვა შემდეგში ლოცვით არ ეპატიება. გავლილი

ნამაზის ლოცვის გვერდით განსაკუთრებით მონანიებაც საჭიროა. ამის შემდეგ პატიების იმედი გვექნება. თუ ადამიანს აქვს საშუალება აანაზღაუროს გამოტოვებული ნამაზები და თუ ამას არ აკეთებს მძიმე ცოდვის ჩამდენი ხდება. და ეს ცოდვა თავისუფალი დროის ზრდის პარალელურად იზრდება. რადგანაც გავლილი ნამაზის პირველი შესაძლებლობისთანავე ანაზღაურება ფარძია.

## როგორ სრულდება გავლილი ნამაზები?

გავლილი ნამაზები სასწრაფოდ უნდა შევასრულოთ და მოვინანიოთ, რათა დიდი ცოდვების გამო სასჯელისაგან გადავრჩეთ.

გავლილი ნამაზები ჩვეულებრივად ილოცება. მხოლოდ ნიეთია განსხვავებული. მაგ. გავლილი შუადღის ნამაზის ნიეთს ასე ვიტყვით: „ნიეთი ვქენი, ღმერთის ხათრისთვის სულ ბოლოს გავლილი შუადღის ნამაზის ფარძის სალოცავად."

გავლილი ნამაზების ლოცვის ყველაზე პრაქტიკული ხერხი თავის დროზე ყველა ნამაზის შემდეგ იმ ნამაზის გავლილის ლოცვაა. მაგ. შუადღის ნამაზის ლოცვის შემდეგ გავლილი შუადღის ნამაზის ფარძის ლოცვა, საღამოს ნამაზის ლოცვის შემდეგ გავლილი საღამოს ნამაზის ფარძის ლოცვა და ა. შ.

გავლილი ნამაზების ლოცვისას ეზნისა და ყამეთის კითხვა საჭიროა. თუ ერთ ადგილზე რამდენიმე გავლილი ნამაზი უნდა ვილოცოთ ერთი ეზნის კითხვა საკმარისია, მაგრამ ერთი ყამეთი საკმარისი არაა, თითოეული ნამაზისათვის ყამეთი საჭიროა.

ერთიდაიგივე გავლილი ნამაზების ჯგუფურად

ლოცვა შეიძლება. მაგ. იმამსა და მიმყოლებს გუშინდელი შუადღის ნამაზის ჯგუფურად ლოცვა შეუძლიათ. მაგრამ თუ იმამი გუშინდელ, მიმყოლი სამი დღის წინ გავლილი შუადღის ნამაზს ლოცულობენ, არ შეიძლება. ჯგუფურად ლოცვისათვის ერთიდაიგივე ნამაზი ერთიდაიგივე დროს უნდა იყოს გავლილი.

სამი მექრუჰი დროის გარდა, გავლილი ნამაზების ლოცვა უოველთვის შეიძლება.

მგზავრობისას გავლილი ოთხლმუხლიანი ფარძი ნამაზები სახლში დაბრუნებისას ორი მუხლი უნდა ვილოცოთ, ვინაიდან მგზავრობისას ოთხლმუხლიანი ფარძი ნამაზების მხოლოდ ორ მუხლს ვლოცულობთ. მაგრამ მგზავრობისას თუ სახლში გავლილი ოთხლმუხლიანი ფარძი ნამაზის ლოცვას ვაპირებთ, ისევ ოთხი მუხლი უნდა ვილოცოთ.

## მეექვსე ნაწილი

## ვინც ნამაზს არ ლოცულობს

წმინდა ებუ ბექრმა ბრძანა: „დღეში ხუთჯერ ნამაზის დროს ანგელოზები ასე ამბობენო: ეი, ადამიანთა მოდგმავ! წამოდექით! და თქვენს დასაწვავად გამზადებული კოცონი ნამაზის ლოცვით ჩააქრეთო!“

ერთ-ერთ ხადისში ფეიღამბერი ბრძანებს: „მუსლიმანის ურწმუნოსაგან განმასხვავებელი ქცევა ნამაზის ლოცვაა.“ ე. ი. მუსლიმანი ნამაზს ლოცულობს, ურწმუნო კი-არა, ხოლო მუნააფიყი (ორპირი) ზოგჯერ ლოცულობს, ზოგჯერ-არა. მუნააფიყები ჯოჯოხეთში დიდ ტანჯვას გამოივლი-

ან. ერთი ჰადისში ვკითხულობთ: „ვინც ნამაზს არ ლოცულობს წარღვნის დღეს დიდებულ ალლაჰს განრისხებულს ნახავენ!“

ჰადისის ბრძენები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ნამაზის დროულად ვერ შემსრულებელი და ამის არაფრად ჩამგდები დიდი ცოდვილიაო. და წარმოიდგინეთ რა მოუვათ მათ, ვინც ნამაზის ლოცვას თავის მოვალეობადაც კი არა სთვლის? მას ვინც სიკვდილისას ურწმუნოდ კვდება? ნამაზის შესახებ ბრძენები რამდენიმე განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ; მათ შორის ზოგიერთების აზრით ნამაზის შეგნებულად დაუცველობა დიდი ცოდვაა. მაშინ შენ, მორწმუნე ძმაო, არასოდეს არ მოდუნდე, არ იზარმაცო და ნამაზი არ გამოტოვო. სიყვარულით ილოცე ნამაზი! რადგანაც დიდებული ალლაჰი ყველა თქვენგანს ჯილდოსა და სასჯელს საკუთარი ქცევების მიხედვით აძლევს. ზოგიერთების მიხედვით ის, ვინც ნამაზს ყოველგვარი მიზეზის გარეშე არ ილოცავს, ურწმუნო გახდება: სიკვდილის შემდეგ არ დაიბანება, სუდარაში არ შეიხვევა და მისი ნამაზი არ შესრულდება. მუსულმანთა სასაფლაოზე არ დაიმარხება, სადღაც მთაზე, ერთ თხრილში ჩააგდებენ და საფლავის ადგილი სამუდამოდ გაურკვეველი დარჩება.

**ვინც ხუთ რამეს არ გააკეთებს, ხუთ რამეს ვერ ეღირსება:**

1. ვინც ქონების ზექათს არ გასცემს, ქონების სიკეთეს და სარგებლობას ვერ ეღირსება.
2. ვინც ყანებიდან მოსავალის ზექათს (ოშურს) არ გასცემს, მოგებისას ხვავსა და ბარაქას ვერ ეღირსება.

3. ვინც მოწყალებას (სადაყას) არ გასცემს, იმისი სხეული ჯანმრთელობას ვერ ეღირსება.

4. ვინც ღმერთს არ შეევედრება, საწადელის მიღწევას ვერ ეღირსება.

5. ვინც ნამაზის დროის მოსვლისას მის შესრულებას არ მოინდომებს, სიკვდილილსას ქელიმე-ი შეჰადეთის თქმას ვერ ეღირსება.

წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა:

„ნამაზის უმიზეზოდ უგულებელმყოფელს დიდებული ალლაჰი 15 სატანჯველს დაუწესებს. ამათგან ექვსს ამქვეყნად, სამს სიკვდილის დროს, სამს საფლავში და სამსაც წარღვნის დღეს საფლავიდან წამოდგომის დროს გამოსცდისო.

**ამქვეყნად განსაცდელი ექვსი ტანჯვა:**

1. ვინც ნამაზს არ ასრულებს, ის ცხოვრებაში სვავსა და ბარაქას ვერ ნახავს.

2. სახეზე არასოდეს ექნება ის სილამაზე და მომხიბვლელობა, რომელიც დიდი ალლაჰის რჩეულ ადამიანებს აქვთ.

3. მას არანაირი სიკეთის სამაგიეროდ მადლი არ მიეწერება.

4. მისი ლოცვები (დუები) არ შეისმინება.

5. იგი არავის არ ეყვარება.

6. სხვა მუსლიმანების კეთილი ლოცვები (დუები) მას სიკეთესა და სარგებლობას არ მოუტანს.

**სიკვდილის დროს განსაცდელი სამი ტანჯვა:**

1. საშინლად, ცუდად, წვალებით და მტკივნეულად მოკვდება.

2. მშიერი მოკვდება.

3. ძალიან ბევრი წყალიც რომ დალიოს მაინც მწყურვალი და დატანჯული მოკვდება.

**საფლავში განსაცდელი სამი ტანჯვა:**

1. საფლავი მისთვის ვიწრო იქნება, მოუჭერს

და ძვლები სივიწროვისაგან ერთმანეთში გადაეხლართება.

2. საფლავი ცეცხლით აივსება და დღე-ღამის განმავლობაში მუდმივად დასწვავს.

3. დიდებული ალლაჰი მის საფლავში ძალიან დიდ გველს გააგზავნის. იგი ჩვეულებრივ ამქვეყნიური გველებისნაირი არ იქნება. გველი ყოველ დღე და ყველა ნამაზის დროის მოსვლისას მას უკბენს, წამითაც არ მოასვენებს.

საფლავიდან წამოდგომისას განსაცდელი სამი ტანჯვა:

1. მას ჯოჯოხეთისაკენ გამქაჩავი ჯოჯოხეთის ანგელოზები არასოდეს მოასვენებენ.

2. ალლაჰს განრისხებულს იხილავს.

3. ანგარიშსწორება სასტიკი იქნება და უმალვე ჯოჯოხეთში ჩააგდებენ.“

## ნამაზის მლოცველთა მიღებული სარგებლობანი

არსებობს მრავალი ხადისი, სადაც მოთხრობილია ნამაზის ლოცვის მადლისა და სარგებლობის შესახებ.

1. „ხუთი დროის ნამაზი და ჯუმა ნამაზი მომავალ ჰარასკევამდე, ხოლო რამაზანის მარხვამომავალ რამაზანის მარხვამდე ყველა ცოდვებს გამოისყიდის და დიდი ცოდვებისაგან შორს მდგომ ადამიანების პატარა ცოდვების მიტევების საბაბი გახდება.“ პატარა ცოდვების მიტევების შემდეგ, მათ პატრონებს დიდი ცოდვებიც თუ გააჩნიათ, იმათ სამაგიეროდ დაწესებული ტანჯვა და სასჯელი შეუმსუბუქდებათ, დიდი ცოდვების მიტევებისათვის მონანიებაც საჭიროა. თუ დიდი ცოდვები არ გააჩნია, მაშინ წოდება აუმაღლდება. ხოლო

მათ ვისაც ხუთი დროის ნამაზებში ნაკლოვანებები აქვთ ჯუმა ნამაზის ლოცვის სამაგიეროდ მიეტევებათ. თუ ჯუმა ნამაზებიც ნაკლოვანია, მაშინ რამაზანის მარხვის სამაგიეროდ მიეტევებათ.

**2.** აბდულლაჰ იბნი მესუდი ამბობს: წმინდა ფეიღამბერს შევეკითხე, რომელია-მეთქი დიდებული ალლაჰის ყველაზე საყვარელი საქმე? ასე მიპასუხა: „დროულად ნამაზის ლოცვაო.“ ამის მერე კი ალლაჰის ყველაზე საყვარელი საქმე დედ-მამის სიყვარული და პატივისცემაა, ამის მერე ალლაჰის გზაზე ბრძოლა (ჯიჰადი).

ისლამის დასაწყის პერიოდში ყველაზე რჩეული საქმე ჯიჰადი იყო. ახლანდელ დროში კი ენითა და კალმით ისლამის გავრცელება და ენითა და კალმით ურწმუნოთა და ცოდვილთა წინააღმდეგ ბრძოლა ითვლება. ასეთი სახის ჯიჰადის მომქმედთ საქმით, ფულით, სიტყვით ან ქონებით ხელისშემწყობნიც ასეთივე მადლს და სიკეთეს მიიღებენ. აეთი და ხადისები გვიჩვენებენ, რომ ნამაზი ზექათზე და მოწყალების გაცემაზე უფრო ფასეულია.

**3.** „დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა დიდებული ალლაჰის ბრძანებაა. ვინც საფუძვლიანი აბდესის მერე ნამაზს დროულად წესების დაცვით ილოცავს, იმას ღმერთი პატიებასა და შეწყალებას ჰპირდება. ვინც ასე არ იქცევა მათ არაფერს არ ჰპირდება, თუ უნდა აპატიებს, თუ არა ტანჯვა-წამებას არ გამოულევს.“

აშკარად ვხედავთ, რომ ნამაზის პირობების და წესების კარგად დაცვა აუცილებელია. დიდებული ალლაჰი თავისი სიტყვიდან არასოდეს არ გადაუხვევს და ნამაზის დროულად მოლცველებს ცოდვებს მიუტევებს.

4. „თქვენსა და ჩემს შორის დამაკავშირებელი ხიდი ნამაზია, ნამაზის მიმტოვებელი ურწმუნო გახდება.“ ე.ი. ჩანს, რომ ნამაზის მლოცველი მუსლიმანი არის, ხოლო ვინც ნამაზს უპირველეს მოვალეობად არ სთვლის ურწმუნოა.

5. ებუ ზერი გადმოგვცემს: ერთხელ, შემოდგომისას წმინდა ფეიღამბერთან ერთად ქუჩაში გავედით, ფოთოლცვენა იყო. ფეიღამბერმა ხის ორი ტოტი მოტეხა და ტოტებს უმალვე ფოთლები დასცვივდა, მაშინ ფეიღამბერმა ბრძანა: „ეი, ებუ ზერ! როგორც ამ ტოტებს ფოთლები დასცვივდა, ისევე ალლაჰის ხათრისთვის ნამაზის მლოცველ მუსლიმანსაც ცოდვები დასცვივდებაო.“

6. „როდესაც მუსლიმანი რიდითა და კრძალვით ასრულებს ნამაზს, მას ცოდვები მიეტევებაო. ე.ი. დიდებული ალლაჰი მას ყველა პატარა ცოდვებს მიუტევებს.“

7. „ნამაზის შემსრულებელი წარღვნის დღეს ნათლით მოსილი იქნება და აქედან გამომდინარე ჯოჯოხეთის ტანჯვას გადაურჩება. თუ ადამიანი ნამაზს არ ილოცავს ნათელი და სიკეთე არ მიეკარება და სიმშვიდეს ვერ მოიპოვებს, პირიქით, მისი ადგილი ქარუნთან, ფირავუნთან, ჰამანთან, უბეი ბინ ჰალეფთან და სხვა ურწმუნოებთან ერთად იქნებაო.“

ვხედავთ, რომ ნამაზის ლოცვა სამუდამო ნათელს მოიყოლებს თან, და თუ ნამაზის ლოცვას შევწყვეტთ ცოდვილთა გვერდით აღმოვჩნდებით, ე.ი. ჯოჯოხეთში დავიტანჯებით. ისლამის ბრძენები ღიბაადეთებს შორის მხოლოდ ნამაზის მიტოვებას მიიჩნევენ ურწმუნოდ გახდენის საფასურად.

8. საჰაბე ებუ დერდა გადმოგვცემს: ფეიღამ-

ბერმა ასე მითხრა: „ცეცხლშიც რომ იწვოდე, და რომც დაგგლიჯონ კიდეც, არასოდეს ალლაჰი არ უარყო და არფერს შეადარო! ფარძი ნამაზები არ მიატოვო, თორემ მუსლიმანობას დაჰკარგავ. ალკოჰოლი არ დალიო, რადგან ალკოჰოლი ყველა მავნებლობის გასაღებია."

ვხედავთ, რომ ნამაზის ულოცველი ურწმუნო ხდება, და თუ სიზარმაცის გამო მიატოვებს მძიმე ცოდვილი ხდება. ყველა ალკოჰოლურ სასმელებს გონების დაკარგვამდე მივყავართ და უგნური კაცი ყველა ბოროტების ჩამდენია.

9. „დიდებული ალლაჰი ნამაზის დროულად მლოცველთა ყველა ვედრებას შეისმენს და ცოდვებს აპატიებს."

## ნამაზის ჭეშმარიტება

ისლამის დიდ ბრძენთმთავართაგან აბდულლაჰ დეჰლევი თავის ნაშრომში ასე წერს:

ნამაზის ლოცვისას ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს: რუქუღს, ფეხზე დგომას, სეჯდეს, წამოდგომას, დაჯდომას და სხვ. ამათი კარგად და ფაქიზად შესრულება საჭიროა. ყველაფერს ნამაზი მოიცავს: ყურანი ქერიმის წაკითხვას, მისალმებას, ცოდვების მონანიებას და ყველა სათხოვარის დიდი ალლაჰისათვის შევედრებას. ხეები და ბალახები როგორც ნამაზის დამცველები წელში გამართულნი დგანან, ცხოველებიც ხან რუქუღს და ხანაც მჯდომარეს მდგომარეობას ღებულობენ. ნამაზის ლოცვა მირაჯის ღამეს დაწესდა. ნამაზის დამცველი რჩეულ ფეიღამბერებს და თვითონ დიდებულ ალლაჰს უახლოვდება, ემორჩილება რა მათ ბრძანებებს. ალლაჰმა დააწესა რა ნამაზის

შესრულება, მუსლიმანებისათვის დიდი მოწყალება გაიღო. ამიტომაც მრავალი მადლობა და დიდება ალლაჰს. ჩვენ ყოველთვის მივესალმებით ალლაჰის საყვარელ ფეიღამბერებს და გვწამს მათი. ნამაზის ლოცვისას საოცარ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს მოვიპოვებთ ხოლმე.

ნამაზის ლოცვისას მართალია დიდი ალლაჰის დანახვა შეუძლებელია, მაგრამ აუცილიბელია ვილოცოთ ისე თითქოს მას ვხედავდეთო, ამბობს ერთ-ერთი ბრძენი. ამ აზრის საუკეთესოობაში ყველა ისლამის ბრძენები ერთსულოვანნი არიან. ბაყარას სურეში ასეა ნაბრძანები: „დიდებული ალლაჰი ლოცვებს და ღვთისმსახურებას არ დაგიკარგავთ!“ გვატყობინებს, რომ არც ერთი ნამაზი წყალში არ იყრება. აქედან გამომდინარე ნამაზის არასწორად ლოცვა ღვთისმსახურების წყალში ჩაყრის ტოლფასია. წმინდა ფეიღამბერიც ასე ბრძანებდა: „ორივე თვალის სინათლე და გემო ნამაზშიაო.“ აქედან სხვა აზრიც გამოდის: დიდებული ალლაჰი თავის უდიდებულესობისეულ მადლსა და ნათელს ნამაზში ურევს და ჩვენი სული და თვალებიც შვებასა და ბედნიერებას შეიგრძნობს. ვინც ნამაზის გარდა სხვა რამეში ეძიებს შვებასა და ბედნიერებას ის უგნურია და ჭეშმარიტი მორწმუნე არ არის, რადგანაც ნამაზის გამოტოვებით, იგი ყველა სხვა ღვთისმსახურებას უმნიშვნელოდ და ტყუილუბრალოდ აქცევს.

### უპირატესობანი ნამაზის შესრულებისას

იმამი რაბბანი წიგნში „მექთუბათი“ პირველი ტომის 261-ე წერილში ასე წერს:

„აუცილებელია იცოდეთ, რომ ნამაზის ლოცვა

ისლამის ხუთი პირობიდან მეორეა. ნამაზი ყველაფერს ერთად შეიცავს და ისლამის ერთი მეხუთედიც რომ იყოს, უკვე მუსლიმანობისათვის საკმარისია. ნამაზი არის ყველაზე ჭეშმარიტი იმ საქმეებიდან, რომლებიც ადამიანებს დიდებულ ალლაჰთან აახლოვებენ და სამოთხეში მოსახვედრად ერთ-ერთი ძლიერი წინაპირობაა. ჰადისში ვკითხულობთ: „ნამაზი მუსლიმანების მირაჯიაო!“ ასევე: „ადამიანი დიდ ალლაჰთან ყველაზე მიახლოვებული ნამაზის ლოცვის დროს არისო!“ საერთო წარმატებებსა და გამარჯვებებში ნამაზის წვლილი ძალიან დიდია. რა თქმა უნდა ამქვეყნად დიდებული ალლაჰის ხილვა შეუძლებელია. სააქაო ამის შესაძლებლობას არ იძლევა. მაგრამ ნამაზის ლოცვისას ადამიანები ბევრი ალლაჰისეული რამის ხილვას შეძლებენ ხოლმე. ნამაზის ლოცვა რომ არ დაწესებულიყო, ადამიანები ჭეშმარიტ და მშვენიერ მიზნებს როგორ მიაგნებდნენ? სიყვარულსა და სიკეთეს როგორ ისწავლიდნენ? ნამაზი დარდიან სულებს შვებას ჰგვრის, ავადმყოფობების განკურნებას ხელს უწყობს. გულის მკურნალი ნამაზია. სულის საკვები ნამაზია. წმინდა ფეიღამბრის სიტყვები: „ნამაზი გულის სიხალისე და თვალის ჩინიაო.“ რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონეა. სათავეც ყველაფრისა რაც ხდება და მოხდება დიდებული ალლაჰის ნებაა, ნამაზი კი მისი ბრძანებაა. ამქვეყნიური სიამოვნებები უმნიშვნელო და უაზრო რჩება ნამაზის დიდებულების გვერდით. მნიშვნელოვანი საიქიოში მოხვედრის შემდეგაც მადლისა და სიკეთის დამსახურებაა. ჭეშმარიტად ღირებულ ბედნიერებასა და შვებას იქ მოიპოვებთ. რადგანაც ბევრი ამქვეყნიური ღირებულება საიქიოში გადა-

ფასდება და ჭეშმარიტად ფასეულიც იმქვეყნად ირკვევა. საიქიოშიც მოსვენებისათვის მირაჯი (კიბე) საჭიროა და მუსლიმანისათვის ეს მირაჯი ნამაზის ლოცვაა. რადგან წმინდა ფეიღამბერმა ბრძანა: „მირაჯის ღამე ამქვეყნიდან წავიდა, საიქიოს მოხვდა სამოთხეში, მთლიანი ბედნიერებითა და ჭეშმარიტი შვებით იქ დამკვიდრდა. ო, დიდებულო ალლაჰ! შენ ნება მოგვეცი და შეგვაძლებინე მოვიმოქმედოთ მირაჯის საკადრისი საქველმოქმედო და ღირსეული საქმეები. ყველა წმინდა ფეიღამბრებს მადლი და სიკეთე არ მოაკლო, რადგანაც ისინი შენი რჩეულები არიან და შენი ბრძანებების სწორად შესრულებაში ჭეშმარიტ გზას გვიჩვენებენ.

ყველამ, ვინც შეცდომით გზას მიჰყვება ეს გზა შეგნებულად როდი აირჩია, მათ უბრალოდ არ გააჩნდათ სწორი აზრი და ინფორმაცია ნამაზის ჭეშმარიტი მადლისა და უპირატესობების შესახებ, და ამიტომაც ბედნიერებას სხვა რამეებში ეძებდნენ. სხვა მიზნებისაკენ ისწრაფოდნენ, თანაც ნამაზს ამ მიზნებისაკენ მიმყვან გზად არც მიიჩნევდნენ. ზოგმაც ნამაზის ღირებულება სათანადოდ ვერ გაიაზრა, ზოგმაც ბედნიერება და შვება მუსიკაში, თრობაში, საკუთარი თავისა და გონების დაკარგვაში ეძება. მიზანი ლამაზი ფარდების მიღმა, მუსიკისა და გართობის მიღმა ეძება. ცეკვასა და მხიარულებას მიჰყვა, მაშინ როდესაც დიდმა ალლაჰმა ბრძანა: „არამ საქმეში ხსნა და შვება არ ეძებოთო!“ დიახ, გამოუცდელი მოცურავე დახრჩობას რომ გადაურჩეს, ყველანაირ ფესვსა და ბალახს მოებღაუჭება, ხანაც რაიმეს მეტისმეტი გატაცებით ერუვდება და ბრმავდება. ამათ ნამაზის რაიმე მადლიც რომ სცხებოდეთ, ამ

მავნებელ საქმეებს, ხელს არ მიაკარებდნენ, გემოს არ გაუსინჯავდნენ და ფიქრშიაც კი არ გაივლებდნენ.

დიდი ალლაჰის მიერ ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი ღვთისმსახურების სიამოვნებით შესრულება და ლოცვით არასოდეს დაღლაა. მხოლოდ ასეთ ადამიანებს სძალუძთ შეიცნონ ნამაზის ნამდვილი გემო და ფასი. განსაკუთრებით კი ფარძი ნამაზებისა.

საკმარისია ადამიანმა იგემოს ნამაზის საუცხოო გემო, რომ მაშინვე პირიდან ეს სიტყვები აღმოხდება: -ო, დიდებულო ღმერთო, რა სასწაულია, გმადლობ რომ გვწამლობ და მწუხარე სულებს გვიკურნავ. ეს ჭეშმარიტი ბედნიერებაა.

კარგად იცოდეთ, რომ ნამაზის სამაგიერო წოდება სამოთხეში მაღალია, როგორც ალლაჰისეული ხილვის ძალა და უნარი. ამქვეყნად ადამიანი დიდ ალლაჰს ყველაზე მეტად ნამაზის ლოცვისას უახლოვდება, იმქვეყნად კი მისი დანახვისას. ყველა ღვთისმსახურება ადამიანებში ნამაზის ლოცვის სურვილის გაღვივებას ემსახურება, რადგანაც საბოლოო და მუდმივი ბედნიერების მიღწევა მხოლოდ ნამაზის ლოცვით არის შესაძლებელი. ნამაზი ყველაფერ სხვაზე და მარხვაზეც კი ფასეულია. ნამაზი გატეხილ გულებს ამთლიანებს, ნამაზი ცოდვების მიტევების საბაბია, ადამიანს ბოროტებისაგან იცავს. ხადისში ვკითხულობთ: „ნამაზი გულის სიხალისე და სიხარულის სათავეაო. ნამაზი მწუხარე სულებს ნაღველს გაუქარვებს, რადგანაც სულის საკვებია, რადგანაც გულის განმკურნებელია, რადგანაც დიდებულ ალლაჰთან მიახლოების ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა“

## ვედრება ნამაზის მერე

ქება-დიდება მხოლოდ უდიდესი ალლაჰისთვისაა. ო, ღმერთო მიიღე ჩემი ნალოცი ნამაზი! მომეცი სიმშვიდე იმქვეყნად და სიკვდილის წინ სელავათი მათქმევინე. ჩემს ახლობელ გარდაცვლილებს ცოდვები შეუნდე. ო, ღმერთო დამიცავი მე სატანისა და ყოველგვარი ბოროტებისაგან, მარგუნე პური არსობისა და ბარაქა სახლში. მთლიანი მუსლიმანობა დაიცავი და დაიფარე. გაანათლე სული მუსლიმანებისა, რომლებიც ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირნენ! ო, ღმერთო, ავადმყოფებს განკურნება და მწუხარეთ სიხარული არგუნე. მიეცი ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე, გონება და შენთვის სარგებლობის უნარი დედაჩემს, მამაჩემს, ჩემს ახლობლებსა და ნათესავებს, და სრულიად სამუსლიმანოს. აამინ!

ეს ვედრება რომ ღმერთმა მიიღოს, ამისათვის საჭიროა:

1. მუსულმანობა.
2. ეჰლ-ი სუნნეთის მიმდევრობა.
3. ფარძების შესრულება და ყველა გავლილი ნამაზების ანაზღაურება უმალვე და სრულყოფილად.
4. არამსა და დაუმსახურებელს უნდა მოვერიდოთ. ალალი ლუკმის მჭამელის ვედრება მიიღება.

ინდოელი ბრძენი მუხამმედ ბინ ახმედ ზაჰიდი ერთ-ერთ ნაშრომში ასე სწერს: ვედრების შესასმენად ორი რამეა საჭირო: ერთი-ვედრება გულწრფელი უნდა იყოს და მეორე-ტანსაცმელი და საკვები ალალი ლუკმა და საკუთარი შრომით ნაშოვნი უნდა იყოსო. თუ მუსლიმანის სახლში ერთი ბე-

წო არამი ნივთიც კი არის, მისი ვედრება არ შეისმინებაო. მორწმუნემ მხოლოდ დიდ ალლაჰზე უნდა იფიქროს და მხოლოდ მას უნდა შესთხოვოს.

## ნამაზი და ჯანმრთელობა

მუსლიმანი ლოცულობს ნამაზს, რადგანაც ნამაზი ალლაჰის ბრძანებაა და მრავალი სიკეთე და სარგებლობა მოაქვს. ასევე მრავალი მავნებელი რამისაგან გვიცავს. დღეს ეს ყველა ზიანი და სარგებლობები მედიცინის თვალსაზრისითაც გამოვლენილია. არც ერთი სხვა რელიგია ადამიანის ჯანმრთელობას ამხელა მნიშვნელობას არ ანიჭებს. ალლაჰმა ადამიანებს ნამაზის ლოცვა სიცოცხლის ბოლო დღემდე უბრძანა. ნამაზის შემსრულებელი საკუთარი ჯანმრთელობისათვის საჭირო სარგებლობებს მოიპოვებს. აი ზოგიერთი სარგებლობანი, რომელსაც ნამაზი უზრუნველჰყოფს:

1. ნამაზის დროს შესრულებული მოძრაობების ტემპი დაბალია და ამიტომაც ადამიანს არ დაღლის. ნამაზი დღის გარკვეულ საათებში სრულდება და ამიტომაც ადამიანს მთელი დღე მხნედ ინახავს.

2. ადამიანი, რომელიც დღეში 80-ჯერ თავს ძირს სდებს ჯანმრთელია, რადგან თავში სისხლი მუდმივად მოძრაობს. მეხსიერების დაკარგვა, გონებრივი მოშლილობანი და მსგავსი ავადმყოფობები ნამაზის მლოცველთა შორის საგრძნობლად ნაკლებია.

3. ასევე ნამაზის მლოცველთა თვალებიც ჯანმრთელია, რადგან მუდმივად იხსნება-იხუჭება და სისხლის მიმოქცევაც მოწესრიგებულია. ამიტო-

მაც თვალის შიგა წნევა არასოდეს მატულობს და თვალის გარსის დამფარავი სითხეც მუდმივად ახლდება. თვალები კატარაქთისა და მსგავსი ავადმყოფობებისაგან დაცულია.

4. ნამაზის დროს შესრულებული იზომეტრული მოძრაობები კუჭის სწორად მუშაობას, საჭმლის სწორად მონელებას, კუჭის წვენის რიტმულ გადაწურვას უწყობს ხელს, გარდა ამისა გასტრიტისა და კოლიტის მსგავსი დაავადებების წინააღმდეგაც ეფექტურია. ასევე თირკმელების სწორ მუშაობას განაპირობებს და თირკმელებში კენჭის წარმოქმნას ეწინააღმდეგება.

5. ნამაზის ლოცვისას შესრულებული რიტმული მოძრაობები მარილების დაგროვებასა და ოსთეოქონდროზის წარმოქმნას უშლის ხელს. მსგავსი უმოძრაობის გამო გამოწვეული ყველანაირი ავადმყოფობის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა.

6. სხეულის ჯანმრთელობისათვის სისუფთავე აუცილებელია. აბდესი და ღუსლი თან ფიზიკური და თანაც სულიერი სისუფთავეა. ნამაზი თვითონ სისუფთავის განსახიერებაა, რადგანაც სხეულებრივი და სულიერი სისუფთავის გარეშე ნამაზის განხორციელება შეუძლებელია. აბდესი და ღუსლი სხეულის სისუფთავეს უზრუნველჰყოფენ. ნამაზის მოვალეობების შემსრულებელი ადამიანი სულიერად დასვენებული და გასუფთავებული ხდება.

7. ნამაზის ლოცვისას შესრულებული მოძრაობები სამედიცინო თვალსაზრისით დამცველ მექანიზმას შეიცავს. აახლებს სისხლის მიმოქცევას და აცოცხლებს სასუნთქ სისტემას.

8. ნამაზის მუდმივი შესრულება ძილსაც აწესრიგებს, რადგანაც სეჯდეს დროს შესრულებული მოძრაობები სხეულში დაგროვილ უარყოფით ენე-

რგიას, სტატიკურ ენერგიას ანადგურებს, და აქედან გამომდინარე ორგანიზმი ახლიდან სიმხნევეს იძენს.

რათა ვისარგებლოთ ნამაზის მიერ ბოძებული სიკეთეებისაგან, საჭიროა ნამაზი დროულად და სისტემატიურად ვილოცოთ, მეტისმეტად ბევრი არ ვჭამოთ და ვიზრუნოთ რომ ჩვენი საკვები იყოს როგორც სუფთა, ასევე ალალი შრომით მოპოვებული. ვერავინ წაიღებს იმქვეყნად ქონებასა და სიმდიდრეს, ეს არც არაფერს ნიშნავს. ჭეშმარიტად ღირსეული საქმე კი გატეხილი გულების გამრთელებაა.

# მეშვიდე ნაწილი

## 32 და 54 ფარძი

როდესაც მოწიფული ასაკის ბავშვი ან ურწმუნო ქალიმე-ი თევჰიდს წარმოსთქვამს, ე.ი. წარმოსთქვამს სიტყვებს: „ლაა ილააჰე ილლალლააჰ მუხამმედუნ რესუულულლაჰ“ (მწამს, რომ ალლაჰი ერთია და მუხამმედი მისი ფეიღამბერია), გაითავისებს ამ სიტყვებსა და მათ მნიშვნელობას ირწმუნებს, მაშინ მუსლიმანი ხდება. ურწმუნოს ყველა ცოდვები უმალვე მიეტევება. მაგრამ ყველა მუსლიმანის მსგავსად როგორც კი შესაძლებლობა მიეცემათ საჭიროა დაიზეპირონ რწმენის ექვსი პირობა ე.ი. ამენთუ, გაიგონ მისი მნიშვნელობა, ირწმუნონ მისი და წარმოსთქვან: ვირწმუნე რომ, სრულიად ისლამი და წმინდა ფეიღამბერის მიერ წარმოთქმული ყველა ბრძანებები და აკრძალვები არის დიდებული ალლაჰის ნება და

შეტყობინება. ამის შემდეგ საჭიროა შეისწავლოს ყველაფერი, რაც ისლამმა ბრძანა და ის, რაც ისლამმა აკრძალა. თუ ყველა ფარძის შესრულების აუცილებლობას არ იწამებს და უარყოფს იმას, რომ არამისაგან შორს დგომაა საჭირო მაშინ, რწმენა ადამიანს დასტოვებს. თუ შესწავლილი თემებისაგან და ქცევებისაგან, რომელიმეს დაიწუნებს ან უარყოფს, მაშინ ის რჯულიდან გავა.

ისლამის ბრძენთმთავრებმა შეარჩიეს 32 და 54 ფარძი, რომლების დაჯერება, შესწავლა და გათავისება ყველა მუსლიმანისათვის საჭირო და აუცილებელია.

## ოცდათორმეტი ფარძი

| | | |
|---|---|---|
| რწმენის პირობა | ექვსი | (6) |
| ისლამის პირობა : | ხუთი | (5) |
| ნამაზის ფარძი | თორმეტი | (12) |
| აბდესის ფარძი | ოთხი | (4) |
| ღუსლის ფარძი | სამი | (3) |
| თეიმუმის ფარძი : | ორი | (2) |

## რწმენის პირობები (6)

1. დიდი ალლაჰის არსებობისა და მისი ერთადერთობის რწმენა.
2. ანგელოზების რწმენა.
3. დიდი ალლაჰის მიერ ბოძებული წმინდა წიგნების რწმენა.
4. დიდი ალლაჰის ფეიღამბერების რწმენა.
5. იმქვეყნის რწმენა.
6. ბედისწერის რწმენა.(ანუ რწმენა იმისა, რომ ყველაფერი კარგიცა და ცუდიც, კეთილიცა და

ბოროტიც დიდებული ალლაჰის ნებით ხდება).

## ისლამის პირობები (5)

7. ქელიმე-ი შეჰადეთის თქმა.
8. ყოველდღე ხუთჯერ დროულად ნამაზის ლოცვა.
9. ქონებიდან ზექათის გაცემა.
10. რამაზანის თვეში ყოველდღე მარხვა.
11. ვისაც საშუალება ექნება, სიცოცხლეში ერთხელ ჰაჯობაზე წასვლა.

## ნამაზის პირობები (12)

ა-) ლოცვამდე შესასრულებელი ფარძები:

12. ხადესთენ თაჰარეთ.
13. ნეჯასეთთენ თაჰარეთ.
14. სეთრ-ი ავრეთ.
15. ისთიყბალ-ი ყიბლე
16. ვაქით.
17. ნიეთ.

ბ-) ლოცვისას შესასრულებელი ფარძები:

18. იფთითაჰ თექბირი.
19. ყიამ.
20. ყირაათ.
21. რუქუღ.
22. სეჯდე.
23. ყადე-ი აახირე.

## აბდესთის ფარძები (4)

24. პირისახის დაბანა.
25. ხელების და მკლავების იდაყვების ერთად

დაბანა.

26. თავის ერთ მეოთხედზე მესჰის შესრულება.

27. ფეხების დაბანა კოჭების ჩათვლით.

## ღუსლის ფარძები (3)

28. პირის წყლით კარდგათ გამოვლება.

29. ცხვირის წყლით კარგათ გამოვლება.

30. მთელი სხეულის გულდასმით დაბანა.

## თეიმუმის ფარზები (2)

31. ნიეთის თქმა.

32. ორივე ხელის მიწაზე დადება, სახეზე გადასმა(მესჰის შესრულება), შემდეგ ხელახლა ხელების მიწაზე გასმა და ორივე ხელის თავიდან ბოლომდე მესჰი.

## ორმოცდათოთხმეტი ფარძი

1. დიდი ალლაჰის ერთადერთობის რწმენა.
2. ალალი ლუკმის ჭამა.
3. აბდესის აღება.
4. დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა.
5. ღუსლის შესრულება სქესობრივი კავშირის შემდეგ.
6. რწმენა, რომ ჰურს არსობისას (რიზყს) დიდი ალლაჰი გვიგზავნის.
7. ალალი და სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა.
8. თევექქულის შესრულება.
9. ალალით დაკმაყოფილება.
10. ყველა ბოძებული სიკეთისათვის (ნიღმეთი)

დიდი ალლაჰის მადლიერება და დიდება.
11. ბედისწერაზე დათანხმება.
12. უბედურებების დროს მოთმენა.
13. ცოდვების მონანიება.
14. ღიბაადეთის ალლაჰისთვის შესრულება.
15. სატანის მტრად ცნობა და აღიარება.
16. ყურანი ქერიმის ყველა ბრძანებების შესრულება.
17. სიკვდილის სამართლიანად აღიარება.
18. მეგობრობა ალლაჰის მოყვარეებთან და მტრობა ალლაჰის მტრებთან.
19. სიკეთის ქმნა დედ-მამისათვის.
20. ის, რაც მოსწონს ალლაჰს, იმის ბრძანება და რაც არ მოსწონს იმის აკრძალვა.
21. ნათესავების მონახულება.
22. ჩაბარებული ამანათის საგულდაგულოდ მოვლა და უღალატობა.
23. დიდი ალლაჰის მუდმივი შიში და რიდი. ამპარტავნობისა და ავარდნილობისათვის თავის დანებება.
24. ალლაჰისა და ფეიღამბერების დაფასება.
25. ცოდვებისაგან შორს დგომა და ღვთისმსახურებათა შესრულება.
26. მუსლიმანი უფროსების მორჩილება.
27. სხვისი სიკეთით სიხარული. შურიანობისთვის თავის დანებება.
28. ღმერთის არსებობის ფიქრი (თეფექქური).
29. სალანძღავი სიტყვების ხმარებისათვის თავის დანებება. ენის მათგან დაცვა.
30. გულსუფთაობა და გულწრფელობა.
31. არასოდეს და არავის მასხარად აგდება.
32. აკრძალულისაკენ თვალი არ გაგექცეთ, სულმა არ წაგძლიოთ.

33. მუსლიმანობა და მიცემული სიტყვის შესრულება.
34. ყურის მორიდება ღმერთის მოუწონარი სიტყვების მოსმენისაგან.
35. ისლამური სიბრძნის შესწავლა.
36. ზომისა და წონის ხელსაწყოების სამართლიანად გამოყენება.
37. მორიდება და ალლაჰის ტანჯვა-განსაცდელის შიში.
38. დახმარება და ზექათის მიცემა გაჭირვებული მუსლიმანებისათვის.
39. საკუთარი თავისა და სურვილების ფლობა.
40. ალლაჰის მოწყალების იმედი. (იმედის მოწყვეტა არ შეიძლება).
41. ალლაჰის სათრისთვის სხვათა გამოკვება.
42. საჭირო რაოდენობის ლუკმა-პურის შოვნისათვის მუშაობა.
43. ქონების ზექათისა და მოსავლის ოშურის გაცემა.
44. მენსტრუაციის და მშობიარობის პერიოდში ქალებთან სექსუალური კავშირის არდამყარება.
45. გულის ცოდვებისაგან განწმენდა-გასუფთავება.
46. ზვიადობის და ამპარტავნობისაგან თავის მორიდება.
47. დაცვა და გაფრთხილება ობლებისა და მცირეწლოვანების უფლებებისა.
48. ჰომოსექსუალიზმის დაგმობა.
49. ხუთი ნამაზის დროულად ლოცვა და სამომავლოდ გადაუდებლობა.
50. არავის ქონებისა და უფლებების არასოდეს მისაკუთრება.
51. მრავალღმერთიანობის დაგმობა.

52. უზნეო საქციელისაგან მორიდება.
53. ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების დაულევლობა.
54. ტყუილუბრალოდ და ხშირად დაფიცების მორიდება.

## ქუფურის შესახებ

### რა არის ქუფური?

ქუფური არის იმის დაუჯერებლობა, რისი დაჯერებაც, რწმენაც აუცილებელია. ცუდ საქმეებს შორის ყველაზე ცუდი დიდი ალლაჰის მიმართ ურწმუნოებაა. ფეიღამბერების და ალლაჰის მიმართ ურწმუნოება ქუფურია. დიდებული ალლაჰის ნაბრძანები რაც კი არის, ყველაფრის გულწრფელად და მთელი არსებით გათავისებას რწმენა ეწოდება. ადამიანმა ალლაჰის ერთი რომელიმე ბრძანება რომ არ დაიჯეროს (არ შეასრულოს-მეთქი არ ვამბობ) ურწმუნო გახდება, მისი ეს საქციელი (არდაჯერება) ქუფურია.

მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი საკითხები, რაც არის ქუფური. ე. ი. ურწმუნოობის მომასწავებელი:

-დიდი ალლაჰი ჩვენ ზეციდან გადმოგვცქერისო -ამ სიტყვების თქმა ქუფურია.

-დიდი ალლაჰი შენც ისე სასტიკად მოგეპყრობა, როგორც შენ მე მექცევიო,სიტყვების თქმა ქუფურია.

-ესა და ეს მუსულმანი ჩემს თვალში ურწმუნოს მსგავსიაო, სიტყვების თქმა ქუფურია.

-ტყუილი სიტყვის შესახებ: დიდმა ალლაჰმა იცის, რომ ეს მართალიაო, თქმა ქუფურია.

-ანგელოზების დამამცირებელი რაიმე სიტყვის თქმა ქუფურია.
-ყურანი ქერიმის ანდა მისი ერთი ასოს შესახებაც დამამცირებელი სიტყვის წარმოთქმა ქუფურია. ერთი ასოს მიმართაც კი დაუჯერებლობა ქუფურია.
-რაიმე მუსიკალური საკრავის თანხლებით ყურანი ქერიმის კითხვა ქუფურია.
-ყურანი ქერიმის განსხვავებული ასოებით წაკითხვა და ნამდვილი ყურანი ეს არისო, მტკიცება ქუფურია.
-ფეიღამბერების დამამცირებელი რაიმე სიტყვის თქმა ქუფურია.
- ყურანი ქერიმში სახელ ნახსენები 25 ფეიღამბერიდან რომელიმეს მიმართ ურწმუნოება ქუფურია.
-ადამიანის შესახებ, რომელმაც ძალიან ბევრი სიკეთე გაგიკეთათ ფეიღამბერზე უფრო უკეთესიაო, თქმა ქუფურია.
-ფეიღამბერები გაჭირვებულები და იძულებულები იყვნენო თქმა ქუფურია, რადგან ისინი თავისივე სურვილით იყვნენ გაჭირვებულები.
-თუ ვინმე, მე ფეიღამბერი ვარო, იტყვის, მისი ამ სიტყვების დამჯერებელიც ურწმუნო ჩაითვლება. ვინაიდან მუხამმედ ფეიღამბრის შემდეგ ფეიღამბერი ამქვეყნად აღარ უნდა მოვიდეს. ის ბოლო ფეიღამბერია.
-საიქიოში მოსახდენი ამბების არასერიოზულად აღქმა ქუფურია.
-საფლავში და წარღვნის დროს მოსახდენი ამბების შესახებ არალოგიკური ან არამეცნიერულიაო, თქმა და არ დაჯერება ქუფურია.
-სამოთხეში დიდი ალლაჰის დანახვის დაუჯე-

რებლობა ან მე სამოთხე არ მინდა ალლაჰის დანახვა მინდაო თქმა ქუფურია.

-ისლამის დაუჯერებლობა და მეცნიერული ცნობები ისლამურზე უფრო უკეთესი და სანდოაო თქმა ქუფურია.

-ნამაზს ვილოცავ თუ არ ვილოცავ, მაინც სულერთიაო, თქმა ქუფურია.

-ზექათს არ გავცემო თქმა ქუფურია.

-ნეტავ პროცენტის აღება, მევახშეობა ალალი ყოფილიყოო, თქმა ქუფურია.

-ნეტავ სისასტიკე და ჩაგვრა ალალი ყოფილიყოო, თქმა ქუფურია.

-არამი ქონების ღარიბისთვის მიცემა და ამის სამაგიეროდ მადლის მიღების მოლოდინი ქუფურია. თუკი ღარიბმა იცის რომ მიღებული ფული არამია და მაინც მადლობის ლოცვას (დუას) წარმოთქვამს ეს ქუფურია.

-ცნობილი სუნნეთებიდან რომელიმეს დაწუნება ქუფურია.

-როდესაც ვინმე ურწმუნოებას მოიწადინებს, ამის გულში გავლებისთანავე ანუ ნიეთის ჩათქმისთანავე ურწმუნო გახდება.

-ვისაც სხვისი ურწმუნოება მოსწონს, ქუფურის გამო თუ უნდა ურწმუნო გახდება.

-შეგნებულად იმ სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ქუფურად ითვლება, ადამიანს ურწმუნოდ აქცევს.

-ურწმუნოთა დღესასწაულის დღეებში, ამ დღესასწაულებების განსაკუთრებულობების ურწმუნოთა მსგავსად შესრულება, ან ურწმუნოთათვის რაიმეს ჩუქება ქუფურია.

-მკრეხელური სიტყვების გამოყენება, რათა გაართო სხვები, აცინოთ და ამხიარულოთ, ანდა

აჩვენოთ თქვენი განსწავლულობა და გონიერება ქუფურია.

-თუკი ცილისმწამებელი (მოღებიბეთე) ვინმე: მე მას ცილი არ დავსწამე, მხოლოდ სინამდვილე გამოვააშკარავეო! იტყვის ქუფურია.

-ბავშვობის დროს გათხოვილი ქალი ან ბავშვობის დროს დაქორწინებული ვაჟი, თუ სრულწლოვანების დროსაც არ ფლობს ინფორმაციას ისლამისა და რწმენის შესახებ, ვერ პასუხობს შეკითხვებზე და ვერაფერს ვერ განმარტავს რჯულიდან გავა და მეუღლე მასთან განქორწინდება.

-ვინც რომელიმე მუსლიმანს უსამართლოდ მოჰკლავს ანდა მოაკვლევინებს და შემდეგ იტყვის სწორად მოვიქეციო, ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმეს მოკვლა საჭირო არ არის, იმის შესახებ: „მოკვლა საჭიროაო" თქმა ქუფურია.

თუკი ვინმე უსამართლოდ გალახავს ან მოჰკლავს ვინმეს, იმის შექება და: კარგად მოიქეცი მან ეს დაიმსახურაო, თქმა ქუფურია.

-ტყუილად და ცრუდ: დიდმა ალლაჰმა იცის, რომ ჩემი შვილივით მიყვარხარო თქმა ქუფურია.

-ნამაზისა და მარხვის მოვალეობად არ აღქმა, არასერიოზულად მიდგომა და მარხვისა და ნამაზის შეუსრულებლობა, ზექათის გაუცემლობა ქუფურია.

-დიდი ალლაჰის გულმოწყალეობაზე იმედის შეწყვეტა ქუფურია.

-თუ დარწმუნებული ხართ, რომ რაიმე აკრძალულია და ცოდვაა, იმის შესახებ: ალალიაო, თქმა ქუფურია.

-ეზანის, მეჩეთის, წმინდა წიგნებისა და სხვა ძვირფასი საგნების დამცირება ქუფურია.

-როცა იცით, რომ აბდესი არ აგიღიათ, ნამაზის

ლოცვა ქუფურია.

-შეგნებულად ყიბლეს გარდა სხვა რომელიმე მხარეს დადგომა და ნამაზის ლოცვა ქუფურია. ვინც იტყვის ნამაზის ყიბლეს მხარეს ლოცვა საჭირო არ არისო, ურწმუნო გახდება.

-რომელიმე მუსულმანის ძაგების მიზნით მასზე „ურწმუნოაო" თქმა ქუფური არ არის, მაგრამ თუ გვინდა, რომ ურწმუნო იყოს და ამიტომ ვიტყვით, ქუფური იქნება.

-ცოდვიანი საქმის სათანადოდ გაუაზრებლობა და მისი ჩადენა ქუფურია.

-დაუჯერებლობა იმისა, რომ საჭიროა ლოცვა, ღვთისმსახურება და ცოდვებისაგან შორს დადგომა ქუფურია.

-დაჯერება იმისა, რომ შეკრებილი გადასახადები ეს მეფის ქონებაა ქუფურია.

-ურწმუნოთა მიერ შესრულებული რელიგიური ღვთისმსახურების მოწონება, მათი მსგავსი ნიშნების გამოყენება ქუფურია

-გარყვნილობის, მევახშეობის, ტყულის თქმისა და სხვა მსგავსი რამეების შესახებ: აჰ, ნეტავ დასაშვები ყოფილიყო და მეც ჩამედინაო, თქმა ქუფურია.

-მე მუხამმედ ფეიღამბერებისა მწამს, მაგრამ ადემი ფეიღამბერი იყო თუ არა, არ ვიციო თქმა ქუფურია.

-ვისაც არ სწამს, რომ წმინდა მუხამმედი ბოლო ფეიღამბერია, ურწმუნოდ ითვლება.

-თუ ვინმე იტყვის: ფეიღამბერი რასაც ამბობს, თუ მართალია, მაშინ გადავრჩითო, ურწმუნო გახდება. ვინაიდან ფეიღაბერი ტყუილს არ იტყვის.

-თუ ვინმე ულვაშებს დაიმოკლებს, მეორე კი ეტყვის: დაიმოკლე და რა სარგებლობა ნახეო, იმ

ადამიანის მდგომარეობა საშიშია.(ულვაშების დამოკლება სუნნეთია. და ეს სუნნეთის არასერიოზულად აღქმას ნიშნავს.)

-თუ ვინმე უიბლეს პირდაპირ გაშლილი ფეხებით დაწვება, მერე ვინმე მივა და ეტყვის: ასე ნუ წევხარ, ცოდვააო, ის კი ეტყვის: ნეტავ ყველა ცოდვები მხოლოდ ამდენი იყოსო, მისი მდგომარეობა საშიშია, რადგანაც აკრძალულ რამეს მნიშვნელობას არ ანიჭებს.

-რწმენა გაბევრდება ან შემცირდებაო, თქმა ქუფურია.

-უიბლე ორია, ერთი ქაღბე, ერთიც იერუსალიმიო, თქმა ქუფურია, ასევე: ახლანდელ ვითარებაში ორი უიბლეაო, თქმა ქუფურია. მაგრამ თუკი იტყვის: ადრე იერუსალიმში უიბლე იყო, ახლა კი ქაღბე უიბლეაო, ეს ქუფური არ იქნება.

-თუკი ვინმე ისლამის ბრძენთაგან რომელიმეს, უმიზეზოდ დაეჯღანება ან გამოაჯავრებს, იმისი მდგომარეობა სახიფათოა.

-თუკი ვინმე: მენსტრუალური ციკლის ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის მქონე ქალებთან სქესობრივი კავშირი ნებადართულიაო იტყვის, ეს ქუფურია და ის ადამიანი ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმე შვილმკვდარ მშობელს: შენი შვილი დიდ ალლაჰს სჭირდებოდაო, ეტყვის ურწმუნო გახდება.

- თუკი ვინმე არამი საქონელის ჭამის დროს ბისმილლას იტყვის ურწმუნო გახდება.

-ვინმეს ქუფურის მოსმენა და მიღება ქუფურის ტოლფასია.

-თუკი ვინმე იტყვის: დიდმა ალლაჰმა იცის, რომ მე ეს საქმე არ ჩამიდენიაო და თვითონ იცის რომ ჩაიდინა ქუფურია.

თუკი ვინმე უოველგვარი მოწმეების გარეშე იქორწინებს, საქორწინო აქტს არ გააფორმებს და იტყვის დიდი ალლაჰი და ფეიღამბერები ჩემი მოწმეები არიანო, ურწმუნო გახდება, რადგანაც ფეიღამბერმა სიცოცხლეში დაფარული საქმეები არ უწყოდა. (დაფარული საქმეები მხოლოდ დიდმა ალლაჰმა იცის.)

-ვინც იტყვის: მე ვიცი უველა მოჰარული და დაფარულიო, ურწმუნო იქნება, თუ იტყვის მე ამბებს ჯინი მატყობინებსო, მაინც ურწმუნო იქნება. არც ფეიღამბერმა და არც ჯინმა დაფარული არ უწყის. (დაფარული მარტო დიდმა ალლაჰმა უწყის.)

-თუკი ვინმე რამის დასამტკიცებლად დიდ ალლაჰს დაიფიცებს, მეორე კაცი კი ეტყვის: მე შენი ალლაჰის ფიცი არ მინდა, კაცობაზე და სინდისზე შემომფიცეო, ის (მეორე) ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმე საძულველ პიროვნებას ეტყვის: შენი სახე ჩემთვის სულის ამომრთმევს წააგავსო, ურწმუნო გახდება, მით უმეტეს, რომ სულის ამომრთმევი ანგელოზი-აზრაილი, რჩეული ანგელოზია.

-თუკი ვინმე იტყვის: ნამაზის ულოცველობა სასიამოვნოაო, ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმე იტყვის: დიდი ალლაჰი ზეცაში ჩემი მოწმეაო, ურწმუნო გახდება, რადგანაც ამ სიტყვებით დიდი ალლაჰის ადგილსამყოფელს საზღვრავს, მაშინ როცა ალლაჰის მფლობელობა უსაზღვრო და შემოუფარგლავია, ის უველგან არის.

- მამა ღმერთიო, ვინც იტყვის ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმე იტყვის: წმინდა მუხამმედმა ჭამის მერე თითი გაილოკაო, სხვა კი ეტყვის: ეგ ხომ

უზრდელობააო, ურწმუნო გახდება.

-ურწმუნოება, მოღალატეობაზე უფრო უკეთესიაო, თუ იტყვის, ურწმუნო გახდება.

-ისლამი არ ვიცი ან არ მაინტერესებსო თუ იტყვის, ურწმუნო გახდება.

-თუკი ვინმეს ეტყვიან: მოდი ისლამის სიბრძნე შევისწავლოთო, და ის კი უპასუხებს: რა ვუყო მე ისლამის სიბრძნესო, ურწმუნო იქნება, რადგანაც ამით ისლამის სიბრძნეს ამცირებს.

-ვინც ისლამის წმინდა წიგნებს, ამცირებს ან იწუნებს ურწმუნოა.

-თუკი ვინმეს შეეკითხებიან: რომელ რწმენას ეკუთვნი, ის კი ვერ უპასუხებს, ურწმუნო გახდება.

-ჭეშმარიტად არამზე და აკრძალულზე ალალიაო, ვინც იტყვის, ურწმუნო გახდება. (თუთუნის შესახებ არამიაო, თქმა სახიფათოა.)

-ყურანი ქერიმის არასათანადო ადგილებზე წაკითხვა არამია, ხოლო გასართობად წაკითხვა ქუფურია.

-ვინც ყურანი ქერიმს თავისი ჭკუის მიხედვით განმარტავს, ურწმუნო გახდება.

-ყურანი ქერიმსა და ხადისებში დაწერილს, ბრძენთა მიერ დადგენილს ვინც არ ირწმუნებს ურწმუნო გახდება.

-ვინც ურწმუნოს პატივისცემით ესალმება, თვითონაც ურწმუნო გახდება.

-ურწმუნოს მიმართ ძალიან საპატივცემულო სიტყვების წარმოთქმა და მაგ. ჩემო ხელმძღვანელო, ქუფურია.

-ვინც სხვის ქუფურს ეაბულდება და იღებს, თვითონაც ურწმუნო ხდება.

-ყურანი ქერიმის გამოსახულების მატარებელი

პლაკატები ან მატერიებიც ძვირფასი და მნიშვნელოვანია. მათი უპატივცემულობა ქუფურია.

-ჯინებთან მოლაპარაკეებთან ან რაიმე სხვა სახის მკითხავებთან წასვლა, და მართალიც რომ გვითხრან (დაამთხვიონ), მათი ნალაპარაკევის დაჯერება ქუფურია, რადგან დიდი ალლაჰის გარდა სხვა ვინმემაც დაფარული იცისო, დაჯერებას ნიშნავს.

-სუნნეთის განზრახ მიტოვება და მისი სათანადოდ შეუფასებლობა ქუფურია.

-ვინც იტყვის: ჯადოქარი რა თქმა უნდა ჯადოს მეშვეობით, რასაც უნდა იმას გააკეთებსო და ვინც ამ სიტყვებს დაიჯერებს ორივე ურწმუნო გახდება.

-თუკი მუსლიმანი, ადამიანს, რომელიც მას ურწმუნოს უწოდებს, „ბატონოო“ ან მსგავსი თანხმობის გამომხატველი სიტყვით გაეპასუხა, თვითონაც ურწმუნო გახდება.

-თუკი შეგნებულად ვიცით, რომ ესა და ეს ქონება არამია, ასეთი ფულით მეჩეთის აშენებას, ქველმოქმედების გაწევას და ამის საპასუხოდ მადლის მიღებას ველოდებით, ესეც ქუფურია.

-თუკი ვინმე არამი გზით შეძენილ ქონებას ვინმე გაჭირებულს აჩუქებს, მანაც იცის, რომ ეს ქონება არამია და მაინც „ალლაჰმა შეგისმინოსო“-ეუბნება, ხოლო მესამე პირი კი: „ამინო“-ამბობს ყველა ესენი ურწმუნო გახდებიან.

-თუკი ქორწინება არამია და ასეთ ქორწინებაზე ალალიაო ამბობენ, ისიც ქუფურია.

-გარდა დიდებული ალლაჰისა, რა საბაბით გამოწვეულიც არ უნდა იყოს, სხვა ვინმესათვის „გამჩენის“ წოდება ქუფურია.

-უაბდესოდ განზრახ ნამაზის ლოცვა ქუფუ-

რია.

-ვინც გახდება საბაბი სხვისი და განსაკუთრებით კი საკუთარი შვილის ურწმუნოებისა, თვითონაც ურწმუნო იქნება.

-მძიმე ცოდვების ჩადენა და გამეორება ქუფურისაკენ გვიბიძგებს, ნამაზის უმნიშვნელოდ ჩათვლა კი ქუფურია.

-ვინმე მიცვალებულისაგან რაიმეს მოლოდინი, ვედრებას ამისრულებსო, თქმა ქუფურია. ვედრების ამსრულებელი მხოლოდ ალლაჰია.

-ვიცით, რომ მიცვალებულის დამარხვა ფარძია. ვისაც მოვალეობის შესრულება ეზარება და ბუდისტების ან სხვათა მსგავსად ამბობს: მიცვალებულის დამარხვა ჩამორჩენილობაა, მისი დაწვა უკეთესიაო, იმას მურთედი ეწოდება და რწმენა მას დასტოვებს.

-ალლაჰის მოციქულთაგან ვინმეს შეურაცხყოფა ან სიტყვიერი უარყოფა ქუფურია.

- მტრობა ევლიებთან ან ისლამის ცოდნის მფლობელებთან ქუფურია.

-ყურანი ქერიმის რელიგიის მსახურებისაგან სავსებით განსხვავებულად წაკითხვა, მისი სიტყვებისა და მნიშვნელობების დარღვევა ქუფურია.

-შეგნებულად ისეთი რამის გამოყენება, რასაც თავის რიტუალებში სხვა რწმენის მიმდევრები იყენებენ, ქუფურია.

-იმის დაჯერება, რომ ამქვეყნად ყველაფერი თავისით ხდება და ყველა ცხოველები ერთუჯრედებიანებიდან დაწყებული, როგორც იქნა ბოლოს და ბოლოს ადამიანებად იქცნენ ქუფურია.

-ვინც ნამაზს შეგნებულად არ იცავს, გავლილ ნმაზებს შეგნებულად არ ანაზღაურებს და მომავალში ტანჯვა-წამებისა არ ეშინია, იმამი ებუ

ხანიფეს მიხედვით ურწმუნოა.

-ვინც ესჰაბი ქირამს დასცინის ესეც ურწმუნოებაა.

-იმის დაჯერება ან თქმა, რომ რაიმე სურათი, ვარსკვლავი, ჯვარი, მზე, ძროხა და მისთანანი შესძლებენ გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მოესურვებათ ან განკურნავენ უოველგვარ დაავადებებს ქუფურია.

-ვისაც არ სჯერა რომ წარღვნის მოახლოებისას ღისა ფეიღამბერი ზეციდან ჩამოვა და ეს ჭეშმარიტებაა, ისიც ურწმუნოა.

- მუსლიმანი გოგონა ან ვაჟი, რომელმაც მოწიფულობის ასაკს მიაღწია, თუ არ იცნობს მუსლიმანობას და არ იცის რომ მუსულმანია ურწმუნოა.

-მუსლიმანი ქალის მიერ თავდაუფარავად ქუჩაში გასვლა და თავის, მკლავების და ფეხების მამაკაცებისათვის გამოჩენა არამია და ცოდვაა. თუ ამას მნიშვნელობას არ მიანიჭებს, მაშინ მას რწმენა მიატოვებს და ურწმუნო გახდება.

-ვინც უურანი ქერიმს არასრულყოფილად და არასწორად კითხულობს, იმისათვის: რა კარგად კითხულობო მთქმელი რჯულიდან გავა, რადგანაც არამსა და აკრძალულს აქებს.

-ვისაც ჯინებისა და ანგელოზების არსებობისა არ სჯერა, ის ურწმუნოა.

-უურანი ქერიმის აეთებში აშკარად გამოხატული მნიშვნელობები არის, მათი შეცვლა და სხვებზე მიბაძვა ქუფურია.

-ის, ვინც მუსლიმანს ურწმუნოს, ან ათეისტს უწოდებს, თვითონ იქნება ურწმუნოცა და ათეისტიც.

-ფეიღამბერების სახელების ჩამოთვლისას ვინ-

მეს მიმატება შეიძლება, მაგრამ ვინმეს უარყოფა: ეს ფეიღამბერი არ არისო, არ შეიძლება, რადგანაც ერთი რომელიმე ფეიღამბერის უარყოფა, ყველა ფეიღამბერის უარყოფას გულისხმობს.

- რომელიმე მუსლიმანი, იქნება ქალი თუ მამაკაცი, თუ შეგნებულად აკეთებს ან ამბობს იმას, რაც არამია და აკრძალულია ისლამის კანონებით, იქნება ეს უცოდინარობის თუ სხვისი გართობის მიზეზით, ქუფურია, მას რწმენა დასტოვებს და მურთედი (რჯულიდან გასვლა) გახდება. ასეთ ადამიანს ადრინდელი ღვთისმსახურების სამაგიეროდ მიღებული მადლიც ესპობა და ეკარგება, რომც მოინანიოს არაფერი შეიცვლება. თუ შემდეგ ისევ მუსლიმანი გახდება, მურთედობის პერიოდში გავლილი ნამაზების ლოცვა საჭიროა არაა, ასევე გამოტოვებული მარხვაც საჭირო არაა, მაგრამ ჰაჯობაზე ხელახლად უნდა წავიდეს, თუნდაც ადრე წასული იყოს. ხელახლა მუსლიმანად გახდენისათვის ქელიმე-ი შეჰადეთის თქმა მისთვის საკმარისი არა იქნება, თავისი საქციელი ალლაჰის წინაშე უნდა მოინანიოს.

როგორც ურწმუნო ერთი სიტყვის-ქელიმე-ი შეჰადეთის წარმოთქმის შემდეგ მუსლიმანი ხდება, ასევე მუსლიმანიც ერთი ქუფური სიტყვის წარმოთქმის მერე ურწმუნო ხდება.

როდესაც რომელიმე მუსლიმანი საუბრობს და მისი საუბრიდან ასი სხვადასხვა აზრის გამოტანა შეიძლება, ამ აზრებიდან ერთიც რომ იყოს ჭეშმარიტად მუსლიმანური და დანარჩენი 99 განსხვავებულიც რომ იყოს, იმ ადამიანს მაინც მუსლიმანი ეწოდება. ე.ი. იმ 99 განსხვავებულად წარმოთქმულ აზრს ყურადღება არ მიექცევა, რწმენის და მუსლიმანობის დამადასტურებელ, რწმენის

გამომხატველ იმ ერთ აზრს მიექცევა მნიშვნელობა. ეს მოსაზრება შეცდომით რომ არ გავიგოთ საჭიროა ყურადღება შემდეგ ორ დეტალზე გავამახვილოთ: ჯერ ერთი ამ აზრის გამომთქმელი მუსლიმანი უნდა იყოს, რომელიმე ურწმუნო ალლაჰის ერთადერთობის წარმოთქმით მუსულმანი ვერ გახდება, მათზე მუსულმანიაო ვერ ვიტყვით. მეორე: წარმოთქმულ სიტყვას ასი სხვადასხვა მნიშვნელობა რომ ჰქონდესო-ვთქვით! და არა ის რომ ასიდან ერთი რწმენის გამომხატველი და 99 კი ურწმუნოობის გამომხატველი რომ იყოსო, ასეთ ადამიანს რა თქმა უნდა მუსლიმანი ვერ ეწოდება.

**რწმენამ რომ ჩვენ არასოდეს მიგვატოვოს, რომ სამუდამოდ ჩვენს გულებში დარჩეს, ამისათვის:**

1. თვალით უხილავი სამყარო (საიქიო) უნდა გვჯეროდეს.

2. თვალით უხიმავი სამყარო რომ მხოლოდ დიდმა ალლაჰმა იცის და მხოლოდ ის ხედავს, გულით უნდა გვჯეროდეს.

3. არამი არამად უნდა ვაღიაროთ და ვირწმუნოთ.

4. ალალი ალალად უნდა ვაღიაროთ და ვირწმუნოთ.

5. ყოველთვის უნდა გვეკრძალებოდეს და გვერიდებოდეს დიდებული ალლაჰისა, მისი რისხვის ყოველთვის უნდა გვეშინოდეს.

6. ყოველთვის დიდი ალლაჰის მოიმედეები უნდა ვიყოთ. იმედი არ უნდა მოვიწყვიტოთ.

- მურთედად შერაცხული რამის უარყოფაც მონანიებად ითვლება. თუკი მურთედი ადამიანი მო-

უნანიებლად მოკვდება, სამუდამოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიტანჯება. რათა ასე არ დაგვემართოს ყურადღებით უნდა ვილაპარაკოთ, ქუფური არ უნდა ვთქვათ, უნდა ვერიდებოდეთ, ცოტა უნდა ვილაყბოთ. ხადისში ვკითხულობთ: „ყოველთვის კეთილად, სასარგებლოდ ისაუბრეთ, თუ არა და გაჩუმდით!“ სერიოზულნი უნდა ვიყოთ, მოშაყირე და ზედაპირული არ უნდა ვიყოთ, ადამიანებისა და საღი გონების საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოთ და უნდა ბევრი და გულწრფელად ვილოცოთ, რათა მოვარიდოთ საკუთარი თავი ქუფურსა და მკრეხელობას.

**მიზეზები რომლებიც არსებული რწმენის მიერ ჩვენს მიტოვებას განაპირობებს:**

1. რწმენაში ცვლილებების შეტანა. (ეჰლ-ი სუნნეთის დადგენილი ნორმებიდან გადახვევა).
2. სუსტი, არამყარი და უმიზნო რწმენა.
3. დიდი ცოდვების ჩადენის გაგრძელება.
4. დიდებული ალლაჰის მიმართ მადლიერების შეწყვეტა.
5. საიქიოში რწმენის გარეშე მოხვედრის არაფრად ჩაგდება. მოურიდებლობა.
6. უდანაშაულოდ სხვისი ჩაგვრა და სისასტიკე.
7. ამბოხება დედ-მამის წინააღმდეგ, მათი დაუმორჩილებლობა და დაუფასებლობა.
8. მართალიც რომ იყოს მეტისმეტი ფიცი-მტკიცი.
9. ნამაზის წესების დაუცველად ლოცვა.
10. ნამაზის უმნიშვნელოდ მიჩნევა, ოჯახობისათვის და ბავშვებისათვის მისი სწავლების უგულებელყოფა, ნამაზის მლოცველთათვის წინააღ-

მდევრობის გაწევა.
11. ალკოჰოლური სასმელების დალევა.
12. მუსლიმანების ჩაგვრა და ექსპლუატაცია.
13. ცრუ და არასწორი ინფორმაციის ევლიაობად და რელიგიურ ცოდნად გასაღება.
14. ცოდვების დავიწყება, მათი არაფრად ჩაგდება.
15. თავმომწონეობა და ამპარტავნობა.
16. საკუთარი ცოდნისა და საქმეების გადაჭარბებითი შეფასება, თავისქება.
17. ორპირობა (მუნააფიყობა) და მოღალატეობა.
18. შურიანობა და მუსლიმანი თანამოძმეების მიმართ სიძულვილი.
19. ისლამის კანონების შემცველი მმართველობის მხრიდან გაცემული ბრძანებების შეუსრულებლობა.
20. დაუფიქრებლად და უსაბაბოდ ვინმეს მეტისმეტი ქება.
21. დაჟინებით ტყუილის მტკიცება.
22. სწავლისათვის თავის არიდება.
23. ულვაშების სუნნეთით გათვალისწინებულზე უფრო მეტად გაზრდა.
24. მამაკაცების მიერ აბრეშუმის ტანისამოსის ჩაცმა.
25. დაჟინებით სალხზე ზურგს უკან ლაპარაკის გაგრძელება.
26. ურწმუნოც რომ იყოს მეზობლის ჩაგვრა და შევიწროება.
27. სულ უბრალო რამეებზე მეტისმეტი განრისხება, განერვიულება.
28. მევახშეობა. პროცენტული აღებ-მიცემობა.
29. ამპარტავნობის საბაბით ტანსაცმლის სახე-

ლოების და შარვლის ტოტების მეტისმეტად დაგრძელება.

30. მკითხაობა და ჯადოსნობა, ჯადოს გაკეთება.

31. ღირსეულ და მუსლიმან ნათესავებთან ურთიერთობის შეწყვეტა.

32. ალლაჰის რჩეული პიროვნებების მიმართ სიძულვილი, ხოლო მისი მტრების სიყვარული, ისლამის მტრების სიყვარული.

33. მუსლიმანი თანამოძმის მიმართ სამ დღეზე დიდხანს შურისძიებისა და ღვარძლიანობის გრძნობა, არდაულაპარაკობა.

34. უზნეო საქციელის (სიმრუშის) გაგრძელება.

35. გაუკუღმართოებული სქესობრივი კავშირი.

36. ეზანის წაუკითხაობა ისლამის სამართლის წიგნებში მითითებული დროის შესაბამისად, ამ წიგნების შესაბამისად წაკითხული ეზანის მიმართ უპატივცემულობა, მისი არაფრად ჩაგდება.

37. არამი საქმის ჩამდენის ნახვისას ჩაურევლობა და მიუხედავად იმისა რომ ძალა გყოფნით, ტკბილი ენითაც რომ იყოს, არამის ჩამდენის გაუფრთხილებლობა.

38. ვისთვისაც რჩევის მიცემის და დარიგების უფლება გაქვთ, (მეუღლე, ქალიშვილები, და სხვ.) იმათთვის თავ და მკლავებ დაუფარავად, მორთულ-მოკაზმულად ქუჩაში გასვლის ნების დართვა და საეჭვო, უწესო ადამიანებთან შეხვედრისათვის ნების დართვა.

## დიდი (მძიმე) ცოდვები

1. უსამართლოდ ადამიანის მოკვლა.
2. გარყვნილება, უზნეო საქციელი.

3. გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი.

4. ღვინისა და ყველანაირი ალკოჰოლური სასმელის სმა. (ლუდის სმა არამია.)

5. ქურდობა.

6. გართობის მიზნით გამაბრუებელი საშუალებებისა და ნარკოტიკული ნივთიერებებისა გამოყენება.

7. სხვისი კუთვნილი ქონებისა და ნივთების მიტაცება.

8. ცრუ მოწმეობა. სხვის ტყუილზე მოწმეობა.

9. უსაბაბოდ, რამაზანის მარხვის დროს მუსლიმანთა თვალის წინ საჭმლის ჭამა.

10. მევახშეობა. პროცენტით ფულის აღებ-მიცემა.

11. მეტისმეტი ფიცი-მტკიცი.

12. დედ-მამის ნების დაუმორჩილებლობა, მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ მოქმედება.

13. კეთილ და ღირსეულ ნათესავებთან ურთიერთობის, მისვლა-მოსვლის შეწყვეტა.

14. შუა ომში ბრძოლის ველის მიტოვება და მტრისგან გაქცევა.

15. უსამართლოდ ობლების უფლებათა გაქელვა.

16. სასწორისა და ზომა-წონის სხვა ხელსაწყოების უსამართლოდ გამოყენება.

17. ნამაზის დროზე ბევრად უფრო ადრე ან დროზე ბევრად უფრო გვიან ლოცვა.

18. მუსლიმანი თანამოძმის გულის გატეხვა, გულის ტკენა. (ეს ქაღბეს დაწვაზეც უფრო დიდი ცოდვააო).

19. ისეთი სიტყვების თქმა, რაც წმინდა ფეიღამბერს არასოდეს არ უთქვამს და ამ სიტყვებზე ფეიღამბრის დამოწმება.

20. ქრთამის აღება.

21. სამართლიანი მოწმეობისათვის თავის არიდება.

22. ქონებიდან ზექათის და მოსავლიდან ოშურის გაუცემლობა.

23. ცოდვის ჩამდენის დანახვისას საკმარისი ძალის შემთხვევაში ჩაურევლობა, მისთვის წინააღმდეგობის გაუწევლობა.

24. ცოცხალი არსების ცეცხლში დაწვა.

25. ყურანის შესწავლის მერე მისი წაკითხვის დავიწყება.

26. დიდებული ალლაჰის მოწყალებისაგან იმედის გაცრუება.

27. იმის მიუხედავად, მუსლიმანია თუ არა ადამიანების ღალატი და გაუტანლობა.

28. ღორის ხორცის ჭამა.

29. ფეიღამბრების ან ალლაჰის რჩეული რომელიმე პიროვნების მიმართ სიძულვილი და მისი გამოჯავრება-დამცირება.

30. კარგად დანაყრების მერეც საჭმლის ჭამის გაგრძელება.

31. მეუღლეების ნების უგულებელყოფა.

32. მეუღლეების ერთმანეთთან შეუთანხმებლად სხვათა მოსანახულებლად წასვლა.

33. პატიოსანი ქალის ცილისწამება, მისთვის მეძავის წოდება.

34. ჭორაობა, მუსლიმანთა შორის ენის მიტანმოტანა.

35. სასირცხვილო ადგილების სხვათათვის ჩვენება. სხვის სასირცხვილო ადგილებზე ყურებაც არამია.

36. ლეშის ჭამა და სხვათათვის ჭმევა.

37. ანაბარის (ემანეთი) გაუფრთხილებლობა,

ღალატი.

38. სხვა მუსლიმანის უსამართლოდ შევიწროება.

39. შური და გაუტანლობა.

40. ტყუილის თქმა.

41. დიდებულ ალლაჰთან თავის გატოლება, შედარება, მრავალღმერთიანობის რწმენა.

42. ამპარტავნობა, საკუთარი თავის გადაჭარბებულად შეფასება, ყველაზე უპირატესად შეფასება.

43. სასიკვდილო ავადმყოფის ქონებაზე თვალის დაჭერა.

44. მეტისმეტი ხელმომჭირნეობა და სიძუნწე.

45. ვისთანაც მოგისდებათ ყველასთან გადაჭარბებული ლაქლაქი.

46. ალლაჰის მიმართ მოურიდებლობა, მისი სასჯელის შიშის არ ქონა.

47. არამის არამად აუღიარებლობა.

48. ალალის ალალად აუღიარებლობა.

49. მარჩიელების სიტყვის დაჯერება.

50. რწმენის უარყოფა, მურთედობა.

51. უმიზეზოდ უცხო ქალზე ყურება.

52. ქალებისთვის მამაკაცის ტანსაცმელის ჩაცმა.

53. მამაკაცებისათვის ქალის ტანსაცმელის ჩაცმა.

54. ქაღბეში ცოდვის ჩადენა.

55. დროზე ბევრად ადრე ეზანისა და ნამაზის შესრულება.

56. სახელმწიფოს მმართველთა მიმართ ურჩობა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა.

57. მეუღლის სხეულის რომელიმე ნაწილის დედამისის სხეულის ნაწილზე მიმსგავსება.

58. მეუღლის დედის გამოჯავრება და დაცინვა.
59. ერთმანეთის ნიშანში ამოღება.
60. ძაღლის მონარჩენების ჭამა და სმა.
61. გაწეული სიკეთის მუდმივი დაყვედრება, ყელში ამოყვანა.
62. მამაკაცებისათვის აბრეშუმის ტანსაცმელის ჩაცმა.
63. უცოდინარობის ჯიუტად დაცვა და დაჟინება.
64. დიდი ალლაჰის ან ისლამის მიერ ნებადართული სახელების გარდა სხვა სახელების დაფიცება.
65. უცოდინარობა, სწავლისთვის თავის არიდება.
66. უსწავლელობის ცოდვად არ ცნობა.
67. პატარ-პატარა ცოდვების დაჟინებით განმეორება.
68. თუ აუცილებლობა არ არის ხმამაღალი ხარხარი.
69. სქესობრივი კავშირის მერე ერთი ნამაზის სალოცავი დროის გასვლის მიუხედავად დაუბანელად სიარული.
70. მენსტრუალური ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის მქონე მეუღლესთან სქესობრივი კავშირი.
71. მუსიკალური ინსტრუმენტების ხმარება, დაკვრა. უწესო სიმღერების სიმღერა.
72. თვითმკვლელობა.

დროებითი, წინასწარ დადგენილი ვადიანი ქორწინება ანუ „მუთა ქორწინება" არამია. ქალების სასირცხვილო (პირისახე, ხელები და ფეხები უნდა უჩანდეთ მხოლოდ) ადგილების დაუფარავად

ქუჩაში გასვლა და ვიწრო ტანსაცმლის ჩაცმა, მორთვა-მოკაზმვა და ზედმეტი სუნამოების გამოყენება არამია.

ვიწრო კაბაში გამოწყობილი ქალის ვნების გარეშე შეხედვაც კი არამია, სხვა რომელიმე ადგილებზეც ვნებიანი მზერა არამია. ვნების აღმძვრელი სურათების ხატვა და დაბეჭდვა არამია. (თუკი არამ რამეზე ვიტყვით: მერე რა მოხდაო, ეს ქუფურია.)

ღუსლისა და აბდესის დროს საჭიროზე მეტი წყლის გამოყენება ისრაფია, მფლანგველობაა.

რომელიმე ევლიას ძაგება, მისთვის უსწავლელის წოდება, ესის წაგრძელება, არარეალური დასკვნების გამოტანა, მათი მაქებართათვის წინააღმდეგობის გაწევა, მუსლიმანების ჩაგვრა და შევიწროება, სხვათა კუთვნილი ქონების მიტაცება, შური, ღვარძლიანობა, ტყუილის თქმა და ცილისმწამებლობა არამი და აკრძალულია.

ეს ათი ქცევა არის მიზეზი უკანასკნელი ამოსუნთქვის დროს ადამიანის ურჯულოდ სიკვდილისა:

1. დიდი ალლაჰის მიერ დაწესებული ბრძანებებისა და აკრძალვების შეუსწავლელობა, ამ ცოდნისათვის თავის არიდება.
2. რწმენის ეჰლ-ი სუნნეთთან შეუსაბამობა.
3. მატერიალიზმი, ფულზე, დიდკაცობაზე, სიამოვნებაზე ფიქრი.
4. საკუთარი თავის, სხვა ადამიანების ან ცხოველების ჩაგვრა და წვალება.
5. დიდი ალლაჰისა და სხვა თქვენი მოკეთეების მიმართ უმადურება, დაუნახავობა.

6. რწმენის დაკარგვის შიშის უქონლობა. მოურიდებლობა.

7. ხუთი დროის ნამაზის დროულად ულოცველობა.

8. მევახშეობა და პროცენტით ფულის აღებ-მიცემა.

9. მორწმუნე მუსლიმანების დამცირება, მათთვის განუვითარებლებისა და ჩამორჩენილების წოდება.

10. გარყვნილების შემცველი ნახატების, ნაწერების შექმნა და გავრცელება, გარყვნილების შემცველი სიტყვების წარმოთქმა.

ეჰლ-ი სუნნეთის რწმენის მიხედვით ცხოვრებისათვის შემდეგ დეტალებზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ:

1. დიდებული ალლაჰი ზათი და სუბუთი თვისებებით შევგიძლია წარმოვიდგინოთ.

2. რწენა არ იზრდება და არ მცირდება.

3. დიდი ცოდვის ჩადენით რწმენა არ დაგტოვებთ.

4. მთავარი და ძირითადი თვალით უხილავის რწმენაა.

5. რწმენაში შედარება გამორიცხულია.

6. დიდებული ალლაჰი სამოთხეში დაგვენახება.

7. ალლაჰზე მინდობა (თევექქული) რწმენის პირობაა.

8. ღიბაადეთები რწმენის ნაწილი არ არის.

9. ბედისწერის რწმენა, ეს რწმენის პირობაა.

10. ღიბაადეთების სწორად შესრულებისათვის რომელიმე მეზჰების ამორჩევა და მიყოლა აუცილებელია.

11. ესხაბი ქირამი, ფეიღამბრის მოდგმა და ფეიღამბრის მეუღლეები ყველანი უნდა გვიყვარდეს.

12. ოთხი ხალიფეს უპირატესობანი ხალიფეობის რიგის მიხედვით დგინდება.

13. ნამაზის, მარხვის, ქველმოქმედების (სადაყის) სამაგიეროდ დამსახურებული მადლის სხვათათვის ჩუქება შეიძლება.

14. მირაჯი სულიერად და სხეულებრივად განხორციელდა.

15. ევლიათა საოცრება (ქერამეთი) სინამდვილეა.

16. წმინდა ფეიღამბრის შეფაათი სინამდვილეა.

17. მესთების გარედან მესჰის შესრულება ნებადართულია.

18. სასაფლაოს დაკითხვა სინამდვილეა.

19. საფლავისეული ტანჯვა წამება სულსაც და სხეულსაც მოიცავს.

20. ადამიანებისა და მათი საქმეების გამჩენი ალლაჰია. ადამიანი გადასწყვეტს რომელიმე საქმის შესრულებას, ალლაჰი იმ საქმეს გააჩენს. მაგ. ადამიანი გადასწყვეტს გავლას, ალლაჰიც იმას გავლის ძალას მისცემს, გაუჩენს.

21. პური არსობისა (რიზყი) შეიძლება არამიც იყოს და ალალიც.

22. მიცვალებული ევლიების სულების მოხსენიება და მათი სახელით ალლაჰზე ვედრება შეიძლება.

## ცუდი ქცევები:

1. ქუფური.
2. უსწავლელობა.

3. შერცხვენის შიში. (ზოგჯერ შერცხვენის შიშით ადამიანი სამართლიანსა და უფლებამოსილს უარყოფს.)

4. რწმენის კანონებში ცვლილებების შეტანა.

5. მლიქვნელობის სიყვარული. (ამპარტავნობა, საკუთარი თავის ქება და მეტისმეტი სიყვარული).

6. მიწიერი სურვილების მონობა. მათზე გადაყოლა.

7. მიბაძვითი რწმენა. (უცნობი ადამიანების მიბაძვა.)

8. კარგი და მადლიანი საქმეების შესრულების შემდეგ, შემაქონო სხვებზე ჩვენება ან ლაპარაკი (რია), რწმენის პირადული მიზნებისათვის გამოყენება.

9. რაც შეიძლება მეტი მიწიერი (ამქვეყნიური) სიამოვნებების მისაღებად, უფრო დიდხანს სიცოცხლის სურვილი.

10. მიწიერი სიამოვნებების არამი გზებით ძიება და მიღება.

11. ამპარტავნობა. (საკუთარი თავის სხვაზე უპირატესად მიჩნევა).

12. მეტისმეტი რიდი და მოკრძალება.

13. თავმომწონეობა. (საკუთარი ღვთისმსახურებების ქება და მოწონება.)

14. შურიანობა. (ეჭვიანობა, შური, სიძულვილი, სხვისი ცუდად ყოფნის სიხარული.) ერთი ბრძენი ამბობს: „სამი ვინმეს ლოცვა (დუა) არ მიიღება: არამის მჭამელის, ფარულ საქმეთა ჩამდენის და მოშურნისაო"

15. სხვათა დამცირება და სხვათა არასრულფასოვნად აღქმა.

16. სხვათა უბედურების, ზიანის სიხარული.

17. მეგობრობის შეწყვეტა, ბუტიაობა.

18. მშიშარობა და სიმხდალე.

19. გადაჭარბებული სიმკაცრე და დაუზოგავობა, ამით სხვათა დაზარალება.

20. შეუბრალებლობა და დაპირებული რამის შეუსრულებლობა.

21. ღალატი, ორპირობის ნიშნები, არასანდოობა, სიტყვის მიცემა და მისი შეუსრულებლობა.

22. დაპირების დარღვევა. (მიცემული სიტყვის უკან წაღება. წმინდა ფეიღამბერი ბრძანებს: **„ორპირობაზე (მუნააფიყობაზე) სამი რამე მიგვანიშნებს: ტყუილის თქმა, ანაბარის გაუფრთხილებლობა და ღალატი, შეპირებული სიტყვის გადათქმაო.“)**

23. ცოდვები არ მეპატიებაო, ფიქრი.

24. უოველთვის ქონებაზე საუბარი. (ქონებაზე და მატერიალზე გადაყოლა.)

25. სასიკეთო საქმის გადადება. წმინდა ფეიღამბერი ბრძანებს: „სანამ ოთხი რამე წამოგეწევოდეთ, მანამ ამ ოთხი რამის ფასი და უადრი იცოდეთო: **„ავადმყოფობამდე ჯანმრთელობის ფასი, სააქაოში საიქიო სიკეთის დამსახურების ფასი, სიბერემდე ახალგაზრდობის ფასი და გაღარიბებამდე სიმდიდრის ფასიო“.**

26. უსამართლოთა სიყვარული. (უსამართლოთა შორის ყველაზე ცუდი მჩაგვრელი და სასტიკი ადამიანია, ასევე არამის ჩამდენს უსამართლო ანუ ცოდვიანი ეწოდება.)

27. სწავლულთა მიმართ მტრობა. (ისლამის სწავლულთა და ბრძენთა სიძულვილი და მათი აბუჩად აგდება).

28. ადამიანთა შორის მტრობის და პრობლემების გაღვივება, ერთმანეთზე წაკიდება.

29. ქალის საკმარისობის შემთხვევაში ცოდვათა

ჩამდენისთვის წინააღმდეგობის გაუწევლობა, მის ცუდ საქმეში ჩაურევლობა.

30. ჯიუტობა და გაუგონრობა. (სამართლიანი სწორი აზრის და სიტყვების მიუღებლობა, თავისის დაჩემება.)

31. ორპირობა, საქმისა და სიტყვის შეუსაბამობა (მუნააფიყობა).

32. საკუთარ ცოდვებზე, საკუთარ თავზე და სხვა არსებებზე არასოდეს ჩაფიქრება და არასოდეს განსჯა-უზრუნველობა.

33. მუსლიმანების დაწყევლა.

34. მუსლიმანისათვის ცუდი, დამამცირებელი სახელის შერქმევა.

35. ბოდიშის მოხდის უარყოფა.

36. ყურანი ქერიმის არასწორად წაკითხვა და გაგება.

37. დაჟინებით არამი საქმეების ჩადენა.

38. ზურგსუკან ძაგება და ცუდი ლაპარაკი, ღეიბეთი).

39. ცოდვათა მოუნანიებლობა.

40. ქონებისა და ფულის ფლობის მოუთოკავი, მეტისმეტი სურვილი.

ცუდ თვისებებს უნდა მოვერიდოთ, კარგი თვისებები უნდა შევიძინოთ და განვავითაროთ. წმინდა ფეიღამბერი ბრძანებს: „ლოცვათა და ღვთისმსახურებათა რაოდენობა ადამიანს ცოტაც რომ ჰქონდეს, თუკი კარგი თვისებების მატარებელია, სამოთხეში წოდება აუმაღლდებაო."

ღვთისმსახურებათა შორის ყველაზე მარტივი და ყველაზე სასარგებლო ცოტა ლაპარაკი და კარგი თვისებების მქონეობაა.

კარგი თვისებების ქონა ნიშნავს დავუახლოვდეთ ჩვენგან შორს მდგომთ, მივუტევოთ ჩვენს

მწყენინებლებს და სიკეთე გაუწიოთ ჩვენს მოშურნეებს.

# მ ე რ ვ ე ნ ა წ ი ლ ი

## ნამაზის ლოცვები და სურები

**დაიწერება თუ არა ნამაზის ლოცვები და სურები არაბულის გარდა სხვა ასოებით?**

როდესაც ვცდილობდით დაგვეწერა სურეები და ლოცვები ქართული ასოებით, ვნახეთ, რომ ეს შეუძლებელია. როგორ და სადაც კი არ უნდა გაგვეკეთებინა ქართულ ასოებზე მახვილები და მინიშნებები, სიტყვები მაინც სწორად ვერ იკითხებოდა. ამიტომაც ყურანი ქერიმის ასოების მსგავსად წაკითხვისათვის დიდი გამოცდილება და მრავალჯერადი გამეორებაა საჭირო. ეს სწავლის პროცესი ყურანი ქერიმის ასოებისა და სიტყვების შესწავლით იწყება, ეს კი უდიდესი განძი და მადლია, ეს არის სიკეთე, რომლის სამაგიეროდ ჯილდოებს ისლამის წიგნები და ჰადისები გვიხსნიან და გვიმარტავენ.

გამოდის, რომ საჭიროა ყველა მუსლიმანმა ყურანი ქერიმის წაკითხვა არაბული ასობგერებით შეისწავლოს. წმინდა ფეიღამბერი ასე ბრძანებს: „ბავშვებისათვის ყურანი ქერიმის შემსწავლელები ანდა ბავშვის ყურანის შესასწავლად მცოდნესთან გამგზავნელები იღებენ უდიდეს მადლს, ყურანის თითო ასოსათვის ქაღბეს ათჯერ მონახულების მადლს. ასეთ ადამიანებს წარღვნის დღეს თავზე გვირგვინი დაედგმებათ, ამას სხვა ადამი-

ანებიც დაინახავენ და ინატრებენ, შეჰხარებენო."
სხვა ჰადისში ასეა ნაბრძანები: „ვინც თავის ბავშვებს სარწმუნოებას არ ასწავლის ჯოჯოხეთში მოხვდებაო".

## ნამაზის სურები და მნიშვნელობები

### ფაათიხას სურე

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِينَ (١) اَلرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ (٢)

مَالِكِ يَوْمِ الدِّينِ (٣) إِيَّاكَ نَعْبُدُ وَإِيَّاكَ نَسْتَعِينُ (٤)

اِهْدِنَا الصِّرَاطَ الْمُسْتَقِيمَ (٥) صِرَاطَ الَّذِينَ اَنْعَمْتَ عَلَيْهِمْ

غَيْرِ الْمَغْضُوبِ عَلَيْهِمْ وَلَا الضَّالِّينَ (٦)

*რახმანი[1] და რახიმი[2] ალლაჰის სახელით:*

1. ქება-დიდება მხოლოდ დიდებული ალლაჰის ხვედრია.
2. ის რახმანი და რახიმია.
3. განკითხვის დღის მეუფეა.
4. (დიდო ღმერთო!) მხოლოდ შენზე ვლოცულობთ, მხოლოდ შენგან დახმარებას მოველით.
5. გვიჩვენე ჩვენ სწორი გზა.
6. გზა, რომელსაც ადგანან ისინი, ვისაც შენ

1. **რახმანი:** ამქვეყნად ყველა გაჩენილებზე სარჩოს (რიზყის) მიმცემი.
2. **რახიმი:** მოწყალე, მწყალობელი, შემბრალებელი.

სიკეთე უბოძე და არა გზა, რომელსაც შენი რისხვის დამმსახურებელნი მიუყვებიან.

## სპილოს სურე

بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

أَلَمْ تَرَ كَيْفَ فَعَلَ رَبُّكَ بِأَصْحَابِ الْفِيلِ (١) أَلَمْ يَجْعَلْ
كَيْدَهُمْ فِي تَضْلِيلٍ (٢) وَأَرْسَلَ عَلَيْهِمْ طَيْرًا أَبَابِيلَ (٣)
تَرْمِيهِمْ بِحِجَارَةٍ مِنْ سِجِّيلٍ (٤) فَجَعَلَهُمْ كَعَصْفٍ
مَأْكُولٍ (٥)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

1. განა არ ნახეთ, რა მოსწია ალლაჰმა სპილოს პატრონებს?
2. განა არ გააქარწყლა მათი ბოროტი განზრახვები?
3. ალლაჰმა მათ ჩიტები გამოუგზავნა.
4. ეს ჩიტები სპილოს პატრონებს აგურისაგან გაკეთებულ ქვებს აყრიდნენ თავზე. ალლაჰმა ისინი გათელილი ფოთოლის მსგავსად აქცია.

სპილოს ამბავი: ხაბეშის მმართველის-ნეჯაშის ხელისუფლებაში იყო იემენის გუბერნატორი, სახელად „ებრეჰე“, მას აწუხებდა ის, რომ ადამიანები მექქას მოსანახულებლად მოდიოდნენ. ადა-

მიანების ამ ჩვეულებიდან გადაჩვევის მიზნით ებრეჰემ ქალაქ სანში ლამაზი ეკლესია ააშენა, მაგრამ ხალხი არ შეცდა, უფრო მეტიც: ფუქაის ტომიდან ერთმა ბიჭმა-ნუფეილმა, ეკლესიის კედლებს ღამით სიბინძურე წაუსვა. ებრეჰემ ამაზე გაბრაზდა, უამრავი ლაშქარი შეკრიბა და მექქასკენ გაეშურა. ლაშქარს წინ დიდი სპილო მიუძღოდა. სპილოს წინ წამძღვარებით ებრეჰე გამარჯვებას იმედოვნებდა.

ამგვარად ლაშქარი მექქას მიუახლოვდა, სპილო ქალაქის შესასვლელთან დაბლა დაწვა და უამრავი მცდელობის მიუხედავად ფეხიც ვერ მოაცვლევინეს, ხოლო სხვა მიმართულებით სირბილ-სირბილით მიდიოდა. ამ დროს დიდმა ალლაჰმა ებაბილის ჩიტები გამოგზავნა. ჩიტებს ნისკარტებითა და კლანჭებით ქვები მოჰქონდათ და ებრეჰეს ლაშქარს აყრიდნენ. და როგორც აქთი გვაცნობებს ლაშქარი დამარცხდა, როგორც უმწეო და გათელილი შემოდგომის ფოთოლი.

## ყურეიშის სურე

بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

لِإِيلَافِ قُرَيْشٍ (١) إِيلَافِهِمْ رِحْلَةَ الشِّتَاءِ وَالصَّيْفِ (٢)

فَلْيَعْبُدُوا رَبَّ هَذَا الْبَيْتِ (٣) الَّذِي أَطْعَمَهُمْ مِنْ جُوعٍ

وَآمَنَهُمْ مِنْ خَوْفٍ (٤)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

1-4. ყურეიშში ზამთარ ზაფხულ წასვლა სანდოა, ადვილია. ამიტომაც ხალხმა ამ სახლში (ქაღბეში) ალლაჰზე ილოცონ. ხოლო დიდებული ალლაჰი მათ შიმშილისაგან იხსნის და ყოველგვარ საფრთხესა და შიშს მოუსპობს.

## მაუნის სურე

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَرَاَيْتَ الَّذِي يُكَذِّبُ بِالدِّينِ (١) فَذٰلِكَ الَّذِي يَدُعُّ الْيَتِيمَ

(٢) وَلَا يَحُضُّ عَلٰى طَعَامِ الْمِسْكِينِ (٣) فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ

(٤) اَلَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ (٥) اَلَّذِينَ هُمْ

يُرَاؤُنَ (٦) وَيَمْنَعُونَ الْمَاعُونَ (٧)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

1. გინახავს ოდესმე მუსლიმანობის გამამტყუნებელი, მისი არაფრად ჩამგდები?

2. ის არის ობლების მჩაგრავი,

3. გაჭირვებულის დახმარების მოწინააღმდეგე.

4-5. ვაი, იმ ნამაზის მლოცველებს, ვინც ნამაზს არაფრად აგდებს და უმნიშვნელოდ თვლის.

6-7. ისინი ნამაზს სხვაზე ჩვენების მიზნით ლოცულობენ. ისინი სასიკეთო საქმეებისაც ეწინააღმდეგებიან.

# ქევსერის სურე

بِسْمِ اللهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

إِنَّا أَعْطَيْنَاكَ الْكَوْثَرَ (١) فَصَلِّ لِرَبِّكَ وَانْحَرْ (٢)

إِنَّ شَانِئَكَ هُوَ الْأَبْتَرُ (٣)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

**1-3.** (ეი მუხამმედ!) უეჭველია, ჩვენ შენ ქევსერი (იმქვეყნად წყლის აუზი) გიბოძეთ. ახლა შენ ალლაჰისათვის ნამაზი ილოცე და მსხვერპლი (ყურბანი) შესწირე. თუ ვინმე შენზე ბრაზობს და გადაშენებულს (ებთერს) გიწოდებს, იცოდე, რომ თვითონ ისინი არიან გადაშენებულები.

(როდესაც წმინდა ფეიღამბრის ვაჟიშვილი ქაასიმიც გარდაიცვალა, ას ბინ ვაილმა თქვა: ახლა ფეიღამბერს გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩაო, ის ებთერიაო. ეს სიტყვები სხვა ცოდვილებმა და კერპთაყვანისმცემლებმაც გაიმეორეს, რადგანაც, როდესაც მუსლიმანებს უამრავი პრობლემა ჰქონდათ და შევიწროვებულნი იყვნენ, იმათ უხაროდათ. ამ სურემ ცოდვილთა და კერპთაყვანისმცემელთა ცრუ იდეები უარჰყო, გაამტყუნა. ძალიან მოკლე სურეა და ამის მიუხედავად მრავალ ჭეშმარიტებაზე მიგვანიშნებს).

## ქააფირუნის სურე

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

قُلْ يَا اَيُّهَا الْكَافِرُونَ (١) لَآ اَعْبُدُ مَا تَعْبُدُونَ (٢)

وَلَآ اَنْتُمْ عَابِدُونَ مَآ اَعْبُدُ (٣) وَلَآ اَنَا عَابِدٌ مَا عَبَدْتُمْ (٤)

وَلَآ اَنْتُمْ عَابِدُونَ مَآ اَعْبُدُ (٥) لَكُمْ دِينُكُمْ وَلِيَ دِينِ (٦)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

**1-2.** (ეი მუხამმედ!) თქვი რომ: ეი ურწმუნოებო! მე თქვენს სათაყვანებელს არ ვეთაყვანები.

**3.** თქვენც ჩემს სათაყვანებელს არ ეთაყვანებით.

**4.** მეც თქვენს სათაყვანებელს არასოდეს ვცემ თაყვანს.

**5-6.** თქვენც ჩემს სათაყვანებელს არ ეთაყვანებით. თქვენ თქვენი რწმენა, მე-ჩემი.

## ნასრის სურე

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اِذَا جَاءَ نَصْرُ اللّٰهِ وَالْفَتْحُ (١) وَرَاَيْتَ النَّاسَ يَدْخُلُونَ

فِى دِينِ اللّٰهِ اَفْوَاجًا (٢) فَسَبِّحْ بِحَمْدِ رَبِّكَ وَاسْتَغْفِرْهُ

(٣) اِنَّهُ كَانَ تَوَّابًا (٤)

*რახმანი და რახიმი ალლაჰის სახელით:*

